„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

# განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2010 წ. დეკემბერი * №27 * ფასი 1 ლარი







## კონსტიტუციით თამაში

გვ.3

## სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დაჯილდოვებული "გმირები"

გვ. 15-16

# რუსეთუმეთა პოლიტიკური სტრიპტიზი

ლეილა ცომაია



თუ, აწ განსვენებულმა ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა, ზუსტად განსაზღვრა საქართველოს ჭადრაკის დედოფლის, ნონა გაფრინდაშვილის, ფუნქცია და როლი მის გვერდით, დღეს აშკარაა მცდელობა გაფრინდაშვილის პოლიტიკურ ფიგურად ქცევის. უდავოდ ჭკვიანმა ბიზნესმენმა პატარკაციშვილმა კი, საკუთარ პოლიტიკურ ამბიციებში, გაფრინდაშვილი მ ხ ო ლ ო დ **სახელ** გამოიყენა, რისთვისაც მან არც საზღაური დაიშურა...

ნონა, აქტიური პოლიტიკური მოღვაწე ხდება, რაშიც იკვეთება პირადი ნებელობა. ამაში დასაძრახი არაფერია, მაგრამ იგი, პოლიტიკაში, ახალფეხადგმულივით ბორძიკობს და ნაკლებსაიმედოა, რომ მან ოდესმე მუხლი გაიმაგროს. თუ ნონას, მასავით გენიოსი მოჭადრაკის გარი კასპაროვის მაგალითით და წამხედურობით უჩნდება პოლიტიკური ამბიცია, უნდა შევკადროთ, რომ კასპაროვი, რუსეთის ფედრაციის პროგრესული პოლიტიკური ლიდერია, ანგაჟირებული პირი არ არის და ოპოზიციონერობის საზღაურად მხოლოდ რეპრესიებს იღებს. ურეიტინგო პოლიტიკური გვამების (ბურჯანაძე, ბათიაშვილი, შაშიაშვილი...) შირმა-თეჯირად ქცევა დივიდენდებისათვის კი, ნონა გაფრინდაშვილის, სპორტული ბრწყინვალებით დამკვიდრებულ სახელსა და დიდებას გაახუნებს.

გაგრძელება მე-2 გვ.





დასაწყისი გვ. 1

25 ნოემბრის თავყრილობის პასუხისმგებლობის ტვირთი, ამ აქციის მთავარ აგიტატორ-პროპაგანდისტ ნონა გაფრინდაშვილს აეკიდა. ნონას მიერ პარლამენტთან სახალხო შეკრებისაკენ მრავალკვირიანი მოწოდება, ხალხმა ოპოზიციის ლეთარგიული მდგომარეობიდან გამოსვლის საიმედო სიმპტომად მიიჩნია. ჩამოსულთა და თბილისის მაცხოვრებელთა ერთობილობამ, პარლამენტთან შთამბეჭდავი რაოდენობა შეადგინა – ხალხის მასამ ოცი ათასს გადააჭარბა.

რუსეთუმე ოპოზიციონერების (ბურჯანაძე, გაფრინდაშვილი, ბათიაშვილი, შაშიაშვილი, ძიძიგური...) მოწოდებები შეკრებისაკენ გაჯერებული იყო სააკაშვილის „**გადაგდების**" შეუვალი მუქარით.

თეატრალი პოლიტიკანები (კაც–ლელიკო ჯაფარიძე, დიმა ჯაიანი, რეზო ესაძე, გოგი ქავთარაძე, ნუკრი ქანთარია, გია ბურჯანაძე...) გულზე მჯიღების ცემით ირწმუნებოდნენ, რომ 25 ნოემბერს, ისინი ფეხის მომცვლელები აღარ იქნებოდნენ პარლამენტის აქციიდან, ვიდრე სააკაშვილის გადაგდებამდე. თუ დიქტატორი სააკაშვილი უიარაღო ადამიანების სისხლს დაღვრიდა, მაშინ პირველები თავად შეეწირებოდნენ და ა.შ. (იხ. 25 ნოემბრამდელი პრესა, 2010).

ხალხის რევოლუციური სულისკვეთებით მანიპულირება, მათი საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება და მერე ჭიტლაყის ამოკვრა (კრება დასრულდა! აბა, ახლა დაიშალეთო!) ოპოზიციისავე ბუმერანგად იქცევა, რაც მოკლავს და დაასამარებს ოპოზიციურ მოძრაობას.

იქნებ, ამ ავანტიურისტ რუსეთუმეთა მიზანიც ეგ არის! იქნებ, სწორედ ამისთვის ფინანსდებიან ეს ფსევდო–ოპოზიციონერები! იქნებ, ეს არის, სწორედ, პრევენცია ჭეშმარიტი ლიდერის გამოჩენისა და მისი აღზევების წინააღმდეგ, რისთვისაც, მეტროპოლია ფინანსებს არ იშურებს.

ალმაშფოთებელი იყო ბურჯანაძე–ბათიაშვილ–გაფრინდაშვილის დემაგოგია ხალხის სიმცირის მოტივითა და ბრალდებით, ცოტა მოხვედითო. მაშინ, როცა ხალხი მოსალოდნელზე მეტიც მოვიდა და აქციის „აგორების" შემთხვევაში, მომიტინგეთა მასა წალეკავდა საძულველ ხელისუფლებას. ფსევდო–ოპოზიციის რეალური გეგმა–მიზანი, როგორც გამოჩნდა, ამჯერადაც მხოლოდ დაგუბებული საპროტესტო ტალღის ამოშვება იყო. ვინც ამას მიხვდა და იქვე ხმამაღლა გამოხატა პროტესტი, ლიდერებმა იქეთ შეუტიეს და მიკროფონებით ყველას პროვოკატორები ეძახეს, ხოლო კაც–ლელიკო ჯაფარიძე კი, პროვოკატორად მონათლულ მომიტინგეებს, საცემრად იხმობდა.

საკუთარი „ჯიბის ოპოზიციით" გულდამშვიდებული ხელისუფლება მხოლოდ კაბინეტების ტელევიზორებიდან ისმენდა „ამბებს" მღელვარების ეპიცენტრიდან და ერთი პოლიციელიც კი არ გამოუყვანია პარლამენტის შორიახლოს.

25 ნოემბრის კრება–სპექტაკლი, რომლის ლეგიტიმაციისათვის სრულიად საქართველოდან უხმო წარმომადგენლობას ბურჯანაძემ და დასმა მისმა, ორ საათში დასრულდა. დაქანცულ–დამშეულ ხალხზე არავის უზრუნია. ხალხი ორი დღე ვერ გამოერკვა, რამეთუ მათ გულწრფელად იწამეს ნონა გაფრინდაშვილისა და პოლიტიკურ ლიდერთა ქადილი, რომ 25 ნოემბრიდან იწყებდნენ პერმანენტულ აქციებს სააკაშვილის „გადაგდების" მოთხოვნით. ამ ნანატრი სურვილით, ხალხის დიდი უმრავლესობა, ნასესხები ფულით ჩამოვიდა თბილისში და მზად იყვნენ ფეხით გაბრუნებულიყვნენ უკან, ოღონდ კი საძულველი სააკაშვილის გადაგდებისთვის მიეღწიათ. მათ იმდენად უჭირდათ გაფრინდაშვილისა და ბურჯანაძის ტყუილის დაჯერება, რომ არ დაიშალნენ, ორი დღე იდგნენ პარლამენტთან, იქნებ დღეს ლიდერები დაიღალნენ და ხვალ განაახლონ აქციაო. მეორე დღეს, მათთან მხოლოდ „ფორუმელები" – გუბაზ სანიკიძე და კახა შარტავა მივიდნენ (ისინი იმ ღამითაც გვიან ღამემდე დარჩნენ ჩამოსულ ხალხთან).

მასობრივმა უმუშევრობამ, საკომუნიკაციო გადასახადების ზრდამ, პროდუქტებსა და სამრეწველო საქონელზე ფასების ყოველწლიურმა მატებამ, ლარის გაუფასურებამ ხალხს დაუცველობისა და სასოწარკვეთილების განცდა გაუმძაფრა. აღარას ვამბობთ პოლიტიკურ კრიზისზე. ამგვარი სოციალური ფონი პოლიტიკური პროტესტის მაპროვოცირებულ ფაქტორად იოლად შეიძლება იქცეს გონიერი და ჭეშმარიტი ლიდერის ხელში.

ის, რაც 25 ნოემბერს „რუსეთუმეთა" კოჰორტამ (ბურჯანაძე, ბათიაშვილი, გაფრინდაშვილი, ძიძიგური...) ოცი ათასამდე მომიტინგეს ჩაუტარა, იყო პოლიტიკური „სტრიპტიზი".

შეურაცხყოფილმა ხალხმა, ისინი ერთიანად მოისროლა სანაგვეზე და სააკაშვილთან ერთად, მათაც ზიზღითა და სიძულვილით მიაფურთხა.

# თბილისში, ავტობუსებით მგზავრობის სოციალისტური ხანა დაბრუნდა

ჰოლანდიური ყვითელი ავტობუსები, რომლის შეძენა დედაქალაქის მერიას მილიონობით ლარი დაუჯდა, ლამის გაქრეს თვალსაწიერიდან.

ავტობუსების ჭარბი რაოდენობით შესყიდვით, თბილისში, მგზავრობის პრობლემა სრულად გადაწყვეტილი და აღმოფხვრილი იყო; ყველა უბანსა და გზა–წვრილშიც კი, ავტობუსები, ზუსტი გრაფიკით მოძრაობდა. ერთადერთი, რაც მგზავრებს აწუხებდა და მძიმე ტვირთად აწვა მათ მწირ ოჯახურ ბიუჯეტს, მგზავრობის ძალზედ გაზრდილი საფასური იყო. საფასური კი, დღეს კიდევ უფრო გაიზარდა, მაგრამ მგზავრობა, სოციალისტური ხანის მსგავსად ჯოჯოხეთური გახდა.

მას შემდეგ, რაც დედაქალაქის მერიამ, მოსახლეობის გაუფრთხილებლად გაანახევრა ავტობუსების რაოდენობა, გააუქმა 48 სამარშრუტო ხაზი და შეკვეცა ავტობუსების მოძრაობის მანძილიც, მგზავრები სრულიად დაუცველნი გახდნენ.

თბილისში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მხრივ, სოციალისტური ეპოქის ანალოგიური ვითარებაა; მგზავრებს, სასურველი ავტობუსის მოლოდინში, ლამის თვალები ამოულამდეთ, ხოლო ავტობუსების სალონში შეღწევისას სრულ ჭყლეტასა და ჯგლეთაში უწევთ მგზავრობა. ყვითელსამოსიანი კონტროლიორ–ინსპექტორები კი ულმობლად ნადირობენ უბილეთო, გაწამებულ მგზავრებზე, აჯარიმებენ. მაშინ, როცა ამგვარი მოწამეობრივი და სახიფათო მგზავრობისათვის, მოქალაქეები ნამდვილად არ უნდა იხდიდნენ ასეთ გაზრდილ–გაძვირებულ საფასურს. დარღვეულია მათი უფლებები, დაუცველია მათი არსებობა.

არჩეული მერის გიგი უგულავას სატრანსპორტო სისტემაში სრული ქაოსი და რეგრესია.

როგორც ჩანს, ასეთივე სოციალისტური ქაოსი ემუქრება, ნაციონალ უგულავას ხელში, საზოგადოების სოციალური მომსახურების სხვა დარგებსაც.

**ქეთევან ჭანტურია**



# კონსტიტუციით თამაში



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ინიციატივით, ჩვენს ქვეყანას, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახალი კონსტიტუცია უნდა მიეღო. ეს სახელმწიფოებრივ–სამართლებრივი აქტი ერის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა, რაც სრულიად მიუღებელი იყო კორუმპირებული ნომენკლატურისთვის, ყოფილმა პარტიულმა და სამეურნეო ფუნქციონერებმა, პრივილეგირებმა და კორუმპირებულმა ინტელიგენტებმა, კრიმინალურმა ელემენტებმა იგრძნეს რა რეალური საფრთხე ერის ხელში სრული ძალაუფლებისას გადასვლისა 1991–1992 წლების დეკემბერ–იანვარში განახორციელეს ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება. სახელმწიფო ხელისუფლების უზურპატორმა, რეპრესიულ–ტერორისტულმა ორგანომ – ე.წ. სამხედრო საბჭომ საკუთარი დიქტატორული რეჟიმის დასაფარავად ჩაიდინა ერთ–ერთი უმძიმესი დანაშაული, ე.წ. სამხედრო საბჭომ 1992 წლის 21 თებერვალს აღდგენილად გამოაცხადა 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კონსტიტუცია. ე.წ. სამხედრო საბჭო არ იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების სამართალმემკვიდრე. მას, არც ხალხის ნდობის დემოკრატიული მანდატი გააჩნდა, მაგრამ სამშობლოს ღალატის მიზნით ე.წ. სამხედრო საბჭომ (თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი), ე.წ. დროებითი მთავრობის თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ და ამ დანაშაულებრივ ქმედებაში მათმა თანამონაწილემ – 1990 წლის 30 სექტემბერს ვითომ არჩეულმა ე.წ. ეროვნულმა კონგრესმა (ირაკლი წერეთელი, გია ჭანტურია, ირაკლი ბათიაშვილი, ირინა სარიშვილი) განახორციელეს „სამართლებრივი" ავანტურიზმი და 1921 წლის კონსტიტუცია აღდგენილად გამოაცხადეს.

სამშობლოს მოღალატეთა ამ ბანდის დანაშაულებრივი ქმედებით მალე ისარგებლა საბჭოთა კავშირის სუკ–ის სტაჟიანმა აგენტმა, სეპარატისტთა მოთავემ და შეთავსებით „ხეთოლოგმა" ვ.არძინბამ. მან 1992 წლის 23 ივლისს მართლსაწინააღმდეგო და ანტიდემოკრატიული მეთოდებით აფხაზეთში მოახდინა ანტიკონსტიტუციური გადატრიალება და ამოქმედებულად გამოაცხადა 1925 წელს აფხაზეთის საბჭოების მიერ არმიღებული, ერთ–ერთი სავარაუდო პროექტი კონსტიტუციისა. თამაშმა „კონსტიტუციებით" სრულიად საქართველო და მისი განუყოფელი ნაწილი აფხაზეთი კატასტროფამდე მიიყვანა. როგორც დღეს ჩანს, ეს ტრაგედია, პოლიტიკანებისათვის გაკვეთილად არ გამოდგა.

1995 წელს ე. შევარდნაძის ანტიდემოკრატიულმა რეჟიმმა პოლიტიკური კორუფციის გზით ქვეყანას თავს მოახვია ფსევდოსამართლებრივი აქტი, რეალურად კი ნომენკლატურის დიქტატურის პოლიტიკური შირმა – „კონსტიტუცია", ამ „კონსტიტუციაში" პოლიტიკური ავანტურისტის ე. შევარდნაძისა და მისი მემკვიდრის მ. სააკაშვილის რეჟიმების მხრიდან იმდენი „შესწორება" შევიდა, რომ დღეს მოქმედი პარლამენტის ვიცე–სპიკერმა პაატა დავითაიამ მას „გაბახებული კონსტიტუციაც" კი უწოდა.

2010 წელს მ. სააკაშვილის ნაციონალური რეჟიმის წინ მთელი სიმძაფრით დადგა საკითხი ისეთი პოლიტიკური სტრუქტურის ფორმირებისა, რომელიც ამ რეჟიმის კომპრადორულ ბიუროკრატიას მისცემდა კიდევ უფრო მეტ გარანტიებს, ვითომცდა ცვლილებების ფონზე, არსებული სისტემის უცვლელობისა.

2009 წლის 8 ივნისს მ. სააკაშვილის განკარგულებით შეიქმნა სახელმწიფო კომისია. მასში არასამთავრობო სექტორიდან შეყვანილ იქნენ მხოლოდ ისეთი ორგანიზაციები, რომელნიც ლიბერტარიანული იდეოლოგიის რუპორებსა და აგენტებს წარმოადგენენ. მათ შორის, განსაკუთრებით გამოსაყოფი არიან „ახალი თაობა – ახალი ინიციატივა", ფონდი „ალპე", „თავისუფლების ინსტიტუტი", „კავკასიის ინსტიტუტი". ისეთი ორგანიზაციები, რომელნიც არ მოიაზრებიან ლიბერტარიანული ორბიტის სისტემაში, ამ კომისიაში არ მოუწვევიათ. მეტიც, ამ კომისიაში ერთი ადგილიც კი არ მოინახა ისეთი მრავალრიცხოვანი ორგანიზაციებისათვის, როგორიც არის პროფკავშირები.

მ. სააკაშვილის მიერ ფორმირებული კომისიის ფორმალური თავმჯდომარე ა. დემეტრაშვილი (ეს ინდივიდუუმი ე. შევარდნაძის რეჟიმის დროს ე.წ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და ამ რეჟიმის ანტისამართლებრივი მაქინაციების „კონსტიტუციურ" საფარველში მომქცევი იყო) გახდა, ხოლო კომისიის მდივნად თ. შარმანაშვილი (ედპ) მოგვევლინა, მაგრამ ფაქტობრივად კომისიის მეურვეობა მ. სააკაშვილის რეჟიმის იდეოლოგიურ ტრესტს „თავისუფლების ინსტიტუტს" დაეკისრა. ლიბერტარიანიზმის დროშისა და ლოზუნგების – „ბაზარი – ღმერთია" და „ადამიანი ბაზრისთვის" – ქვეშ მოქმედი საბაზრო ფუნდამენტალისტების ბანდა – ე.წ. „თავისუფლების ინსტიტუტი" – არსებული რეჟიმის მთავარი იდეოლოგიური ტრესტია, შესაბამისად მის მიერ მომზადებული ახალი კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები რეალურად გახდა მოქმედ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების ბაზისი.

შენიღბვის მიზნით კომისიის სხდომაზე ლევან რამიშვილისა და კომპანიის მიერ წარმოდგენილ იდეოლოგიურ პროდუქტს მხოლოდ 4 წევრმა (ყველა მათგანი ამ დროს პარლამენტის წევრი იყო), დაუჭირა მხარი, მაგრამ საბოლოოდ პარლამენტის მიერ განხორციელებული ცვლილებები მთლიანობაში აღმოჩნდა „თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ ლობირებული იდეოლოგიის შესაბამისი. ლევან რამიშვილისა და კომპანიის მიერ ლობირებული პრინციპები პირდაპირ არის მიმართული ეროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების, ხალხის დემოკრატიული უფლებების წინააღმდეგ, შესაბამისად, საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს, თუ რა იდეოლოგიური პრინციპების დიქტატს ანხორციელებს მ. სააკაშვილის კომპრადორული ბიუროკრატიის წამყვანი იდეოლოგიური ტრესტი – „თავისუფლების ინსტიტუტი".

„დემოკრატია მძიმე ტვირთად არ უნდა დააწვეს ბაზარს";

„კონსტიტუცია არ უნდა უშვებდეს იოტისოდენა იმედს, რომ ადამიანი ინტელექტუალურ და მორალურ სრულყოფილებამდე შეიძლება ამაღლდეს";

„სახელმწიფომ არ უნდა იზრუნოს საყოველთაო კეთილდღეობაზე".

აი, ასეთ „იდეებზეა" აგებული ლევან რამიშვილისა და კომპანიის ახალი კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, მათი იდეოლოგიით ხალხი და დემოკრატია მუდმივად დათრგუნული, ხოლო სახელმწიფო მხოლოდ რეპრესიული ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს.

მ. სააკაშვილის რეჟიმის იდეოლოგიური ტრესტის მესვეურები უკიდურესად აღშფოთებულნი არიან, რომ „საარჩევნო კონკურენციის პირობებში, ხელისუფლება, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, ხალხს მეტს და მეტს უკეთებს". ამის აღსაკვეთად კი ლევან რამიშვილი და კომპანია აუცილებლად მიიჩნევს კონსტიტუციაში მოცემული მე–2 თავის „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები" რეფორმირებას, კონკრეტულად კი, კონსტიტუციაში არსებული ყველა სოციალური უფლების გაუქმებას. საბაზრო ფუნდამენტალისტებს პირდაპირ ყელში ძვალივით აქვთ გაჩხერილი, თუნდაც ის მინიმალური უფლებები სოციალურ სფეროში, რაც საქართველოს მოქალაქეს გააჩნია. ამ უფლებების გარეშე ადამიანი სრულიად დაუცველი ხდება, როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორის ვოლუნტარისტული და სუბიექტივისტური ქმედებების წინაშე. „თავისუფლების ინსტიტუტი" სოციალური უფლებების გაუქმების აუცილებლობას, შემდეგი ვითომ არგუმენტებით ცდილობს დაამტკიცოს:

ა) განუსჯადია;

ბ) უარყოფს ხელისუფლებათა დანაწილებას;

გ) ანტიდემოკრატიულია.

ამ „არგუმენტების" საჯარო გამოფენით, „თავისუფლების ინსტიტუტმა", ნათელი გახადა მ. სააკაშვილის რეჟიმის იდეოლოგიური საფუძვლები.

ლევან რამიშვილისა და კომპანიის პირველი არგუმენტი განუსჯადობის შესახებ, ეყრდნობა ყალბ დებულებას, თითქოსდა სასამართლოს არ შეუძლია განსაჯოს, არის თუ არა კონკრეტული ზარალის მიმცემი ადამიანისათვის სოციალური უფლების წართმევა, ეს რომ ასე არაა, ადასტურებს ის, რომ სოციალური უფლებების არსებობის პირობებში შეუძლია მხოლოდ ადამიანს მისი სოციალური ინტერესების შელახვისას მიმართოს სასამართლოს, რადგან კონსტიტუციით დაცული სოციალური უფლება უშუალოდ მოქმედი სამართლის სტატუსის მატარებელი ხდება, შესაბამისად, ადამიანს ეძლევა საშუალება სახელმწიფოს, ან კერძო სექტორის მხრიდან, კანონსაწინააღმდეგო ქმედების შემთხვევაში, უფლებებში აღდგენის მიზნით მიმართოს სასამართლოს. თუ ლიბერტარიანელი მ. სააკაშვილი, ლ. რამიშვილი და სხვანი მას ამ უფლებებს წაართმევენ, მაშინ ადამიანი „მოლაპარაკე იარაღის" დონემდე ქვეითდება. ეს ლიბერტარიანელები ბევრს და მონდომებით ლაპარაკობენ ადამიანის ნეგატიურ უფლებაზე, როგორც საყოველთაო უფლებაზე, როგორიც არის რწმენის თავისუფლება, მაგრამ დუმან ისეთ სოციალურ უფლებაზე, როგორიც არის განათლების უფლება. განა გაუნათლებელი ადამიანისთვის ეს ნეგატიური უფლება რეალური იქნება? სოციალური უფლებები არ ჰქონდათ მონებს, თუნდაც მათ დემოკრატიულ რესპუბლიკებლი ეცხოვრათ. ამას უსურვებენ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას მ. სააკაშვილის რეჟიმის იდეოლოგიური ფუნქციონერები.

ლევან რამიშვილისა და კომპანიის მეორე არგუმენტი ხელისუფლების დანაწლების თაობაზე, ასევე აბსურდულია. თუ კონკრეტულად რა საფრთხეს უქმნის საკანონმდებლო,. აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დანაწილებას, მოქალაქეთა მხრიდან სოციალური უფლებების ქონა, ამაზე „თავისუფლების ინსტიტუტი" დუმს, თუმც ბევრს ლაპარაკობენ ნეგატიური სამოქალაქო უფლებების აუცილებლობაზე, მაგრამ თუ ნეგატიური გვერდის პოზიტიური უფლებები არ იქნა, განსაკუთრებით კი სოციალური მოქალაქე შესძლებს კი რეალურად, რომელიმე პოლიტიკური უფლებით სარგებლობას? ეს ლიბერტარიანელმა ფუნქციონერებმა იციან და ამ არგუმენტის უკან მათი ანუ შეიარაღებული უმცირესობის დიქტატურა იმალება, საფარად კი ხელისუფლებათა დანაწილების აუცილებლობის არგუმენტს იყენებენ.

ლევან რამიშვილისა და კომპანიის მესამე არგუმენტიც ფარისევლურია. მათ ვინც დემოკრატია ბაზრის ქვემოთ დააყენეს დემოკრატიის დამცველთა ნიღაბი მოირგეს. მათ ფეხქვეშ გათელეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. მ. სააკაშვილის რეჟიმი და მისი იდეოლოგიური ტრესტი ამით ებრძვის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ინიციატივით 1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპულიკის უზენაესი საბჭოს მიერ რატიფიცირებულ ადამიანის უფლებების ამ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს. დემოკრატიის ბაზრის ქვემოთ დაყენება ნიშნავს იძულებული შრომის დამკვიდრებას,. ეს ნიშნავს, რომ ბაზარი, რომელსაც მხოლოდ პროდუქტის გაცვლის მექანიზმის ფუნქცია აქვს, იძენს აბსოლუტურ მნიშვნელობას და დგება ხალხის ძალაუფლებაზე მაღლა. ხელისუფლება ხალხიდან და ხელისუფლება ხალხისთვის იცვლება ბაზრის ტირანიით დემოკრატიისადმი. საბაზრო ეთიკის დიქტატი დემოკრატიაზე ყველაზე მოკლე გზაა ადამიანების დეჰუმანიზაციისა და დემორალიზაციისკენ. არსებული შრომის კოდექსის პირობებში, როცა ადამიანს სამუშაო ადგილის დაკარგვის შიშით ხმის ამოღების საშუალება არა აქვს, როცა ზეგანაკვეთური შრომა მას არ უნაზღაურდება, როცა მას აღარ აქვს 8 საათიანი სამუშაო დღე, როცა მას არა აქვს სამართლიანი ანაზღაურების უფლება, ყველა სხვა მინიმალური სოციალური უფლების წართმევით იგი დგება შიმშილის დისციპლინაზე დამყარებული საბაზრო ეთიკის დიქტატის ქვეშ და მისი შრომა უკვე აბსოლუტურად იძულებით ხასიათს იძენს.

მექანიზმი ბატონდება სიცოცხლეზე, ტოტალიტარიზმი ბატონდება თავისუფლებაზე, თანასწორობაზე, თანადგომა-

*დასასრული მე-4 გვ.*

# კონსტიტუციით თამაში

*დასაწყისი მე-3 გვ.*

ზე. ფართო მასები კარგავენ წარმოსახვით იმედსაც კი, რომ მათ ოდესმე ექნებათ კეთილდღეობა, კანონის წინაშე თანასწორობა, პიროვნული ღირსების დაცვის უფლება.

სოციალურად უუფლებო ადამიანი, რომ ღარიბი და უბედურია, ამის შესახებ ზუსტად მიუთითა XVIII საუკუნის თვალსაჩინო ინგლისელმა ეკონომისტმა ადამ სმიტმა: „ეჭვგარეშეა, რომ ვერც ერთი საზოგადოება ვერ იქნება აყვავებული და ბედნიერი, როდესაც მისი წევრების ნაწილი ღარიბი და უბედურია“,

მ. სააკაშვილის რეჟიმის, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე იდეოლოგიური და პროპაგანდისტული ფუნქციონერები, ამ მიმართულებით უბიძგებენ ჩვენს ქვეყანას.

იაფი ნედლეული და დაბალი ხელფასი მშრომელებისათვის, ფსევდოსამართლებრივი ბერკეტები და სოციალური უფლებების არ არსებობა, აი რა არის ტრანსნაციონალური საფინანსო ორგანოების ვალებში ყელამდე ჩაფლული საქართველოსთვის გამიზნული. მ. სააკაშვილის რეჟიმი, თავისი ფსევდოინტელექტუალებით, ამ სოციალური დაკვეთის შესრულებაზე არიან მობილიზებულნი.

ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგიური პროდუქტი ხალხის დემოკრატიულად გამოხატული პოლიტიკური ნების – საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის უკომპრომისო მოწინააღმდეგეა. ლევან რამიშვილისა და კომპანიისათვის იდეალური იქნებოდა არა ხალხის ლიბერტარიანული, არჩეული წარმომადგენლობითი ხელისუფლების მმართველობა, არამედ ე.წ. ვეტო (ანუ აკრძალვის უფლების მქონე) მოთამაშეთა ანსამბლის მხრიდან უზენაესი კანონის მიღება და ზოგადად პოლიტიკურ–სამართლებრივი პროცესების მართვა. ეს ადასტურებს, რომ არსებული პოლიტიკური და სოციალურ–ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ნაციონალური რეჟიმი, პანიკურ რეფლექსებს ავლენს და ამ რეჟიმზე დამოკიდებული ინდივიდუუმები უკონტროლო, იმპულსური ქმედებების ზღვარზე იმყოფებიან. არსებული პარლამენტის მხრიდან კონსტიტუციის მორიგმა გადაწერამ ნათლად აჩვენა ეს „რეფორმა“ ემსახურება პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურის ფასადის შეცვლას, რათა არსებითი მხარე, კარკასი და საყრდენი ფუძე უცვლელი დარჩეს.

მ. სააკაშვილმა გულუხვად დაასაჩუქრა ა. დემეტრაშვილი, რომელსაც ქ.ბათუმში „კონსტიტუციური კვლევის ცენტრი“ უფეშქაშეს (სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებით, ხოლო თ. შარმანაშვილი (ედპ), რომელსაც დიპლომატიის ისევე ესმის როგორც აქლემს აგრონომიისა, სომხეთში ელჩობა ებოძა. როგორც ძველი ლათინები იტყოდნენ, კომედიის დასასრული. არც „თავისუფლების ინსტიტუტი“ დარჩა გულნაკლული გიგა ბოკერია ამ „ინსტიტუტის“ „რუხი კარდინალი“ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად დაინიშნა, გაზრდილი ფუნქციით, კერძოდ მას ევალება რეჟიმის მიმართ არსებული საფრთხეების ანალიზი და შეფასება.

ქართველი ერისთვის ნათელი უნდა გახდეს, რომ კონსტიტუციით მანიპულაციების რეალური ალტერნატივა მხოლოდ ეროვნული, სოციალური და დემოკრატიული ძალების მიერ საერთო პროგრამის საფუძველზე საზოგადოებრივ–პოლიტიკური ინიციატივის საკუთარ ხელში აღებაშია.

**დავით არაბიძე**

# სიტყვა ყოველთა წმინდათა კვირიკეს

მათე 10, 32–33; 37–38; 19, 27–30

დაურღვეველია ძალი ქრისტეს ეკლესიისა! მის წინააღმდეგ აბჯარს ისხამდნენ ხილული და უხილავი მტრები; ხმალს ჭედდნენ და ისარს უშენდნენ ძლიერნი და ბრძენნი ამა სოფლისანი. მაგრამ ეკლესია უძლეველი რჩებოდა. მან, წამებულმა ჭეშმარიტებისთვის, იესუ ქრისტეს ვნებებით კურთხეულმა, დაინარჩუნა ქრისტიანულ ჭეშმარიტებათა საგანძური, გამოჰფინა რა მხედრობა კეთილთა მოღვაწეთა. ისინი, ცხოვრობდნენ რა ღვთის მცნებებით, იყვნენ რა მისი სახელის აღმსარებელნი წინაშე კაცთა, იბრძოდნენ მისთვის ვიდრე სიკვდილამდე.

ქრისტეს ამგვარი მოღვაწენი და სათნომყოფელნი იყვნენ ყოველგვარი საზოგადოებრივი წოდებისა და მდგომარეობისანი, მიწათმოქმედიდან – ვიდრე მეფემდე. მათი მედღესასწაულე დასი აწ ჩვენი წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მოიხსენიება.

როდესაც გაგონდება მონათხრობი ქრისტეს ეკლესიის ბედზე, მთელი მისი არსებობის მანძილზე, როდესაც უდარებ ამა მონათხრობს იმას, რისი მოწმენიც დღეს ვხდებით, თავისთავად, ჩნდება აუცილებელი მოთხოვნა, პასუხი გაეცეს სამ კითხვას სარწმუნოების საქმეში:

რას წარმოადგენს ქრისტეს ეკლესია?

ვინაა მისი მტერი?

და როგორ შეიძლება მტერი ჰყავდეს ეკლესიას, როდესაც თავი მისი – უფალია?

1. უფალმა ღმერთმა, შემქმნელმა „ერთისაგან სისხლისა ყოველთა ტომთა კაცთასა“, კეთილინება, რათა ერთსისხლისანი ერთსულნიც ყოფილიყვნენ. მაცხოვარი ჩვენი იესუ ქრისტე თავისი მსახურების საქმეს ესრეთ განაგებდა, რომ „იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“ (იოანე 10, 16). ამ ერთობის სახელით ამოირჩია მოციქულები, რომელთაც თავიანთი ქადაგებით თავს იდვეს ყველა ადამიანი მიეყვანათ შემეცნებამდე, ერთი ჭეშმარიტი ღმერთისა, „რომელი წარმოგზავნა ღმერთმა მამამან“ – იესუ ქრისტესი, ყოველნი მიწისგვარისნი ერთი ოჯახის თანამოზიარე ძმებად ექციათ, რომელთა მამაი ღმერთი არს. ეს ქრისტიანული საზოგადოებაა. თვით უფალმა მას სამწყსო უწოდა, რითაც სამუდამოდ განსაზღვრა თავისი ეკლესიის ხასიათი, ხასიათი სრული ერთსულოვნებისა და მწყემსისადმი სრული მორჩილებისა. ამ სიცოცხლის მომნიჭებელი მწყემსისგან, ვინც დაიმწყსის, „ცხოვრებად თუ საღვთისმოსაოდ“ კეთილსახმარ ნიჭსა თუ ძალას იღებენ, – სწორედ მათზეა დაფუძნებული ქრისტიანული საზოგადოების კეთილად მოწყობა. აი, ეკლესიის ზოგადი განსაზღვრებაც - კრებული თანამოაზრეთა და ერთმორწმუნეთა. პირველ ხანებში ისინი ერთმანეთს, ყოველგვარი ცრუმორცხვობის გარეშე „წმინდანებს“ უწოდებდნენ.

2. ვინ კადნიერდება, ღვთის საქმეს შეჰრიოს საქმე ვნებისა, დაბრმავებისა, უგუნურებისა და ავისზრახვისა? – მტერი ეკლესიისა. ვინაა მტერი ესე, ეგოდენ თავხედი, ღმერთთან ბრძოლას რომ ბედავს, და იმდენად ძლიერი, რომ ერთი შეხედვით, წარმატებაც კი აქვს ამ ბრძოლაში?! ღვთის თქმულისაებრ, „მტერი ესე ეშმაკი არს“. რა ესაქმება ეშმაკს ეკლესიასთან? იგივე, რაც ბოროტმოქმედს ჩვენი ხანმოკლე ცხოვრების ბილიკზე კეთილ ადამიანებთან, – სხვისი ჩათრევის ავისმოსურნე სურვილი წარწყმედაში, ბოროტმოხარული დაცინვა მსხვერპლის უბრალოებასა და სისუსტეზე. ბოროტი ბუნებრივად ბოროტს თანაუგრძნობს, ხოლო კეთილისაგან პირს იქცევს და ამიტომაც სდევნის და აცთუნებს მას. ბოროტსა და უზნეოს სურს, ყველა თავისნაირი იხილოს, – არა მარტო ღვთის სასუფეველიდან გარდამოთხეული, არამედ ღვთის წინააღმდეგ ამხედრებული... სწორედ აქ დაიწყო ბრძოლა... სუსტ ადამიანს ბოროტმოქმედი სისუსტეებით ესხმის თავს, ძლიერს – ვნებებით, გონიერს – ცთომილებებით, სულელს – სიჯიუტით, მართალს – სამარცხვინო ოცნებებით, დასაქმებულს – უსულგულობით, სწავლულს – ურწმუნოებით, უმეცარს – ცრურწმენებით, პატიოსანს – თავმოყვარეობით, ჩვენი ცხოვრების მოუწყობლობის პირველწყაროთი; ოჯახებს – შვილების მშობლებთან განხეთქილებით, მთელ საზოგადოებას – სიახლეებისადმი ჟინით, დაუმორჩილებლობით, თავკერძა ანგარებით, მეგობართმოძულეობით, არამართლმსაჯულებით, განხეთქილებებითა და ჯანყით; მთელ კაცობრიობას – სიკეთისათვის სასარგებლო ღვაწლისადმი, ღვთისმოსაობისადმი, ღვთისმსახურებისადმი, საღვთო მოძღვრებისადმი ზურგშექცევით, – ერთი სიტყვით, ამსოფლიურისადმი მიჯაჭვულობითა და ღვთისადმი გულისგაციებით. განა ამითვე გარეშეცვულად არ ვხედავთ დღეს ქრისტეს წმინდა ეკლესიას?

3. ამგვარად მიჰყავს მტერს ბოლომდის თავის საქმე და ადამიანთა შორის თანამოაზრეებს მოიძიებს. აღაგზნებს მათ, მხოლოდ ბოროტებისთვის იცხოვრონ და იმოქმედონ. ნუთუ ვისმეს არ სმენია ბოროტმოწადინეობითი ცნობები: „ერთი სამსახურიდან გაათავისუფლეს, სხვა საჯაროდ შეურაცხყვეს, მესამე აბუჩად აიგდეს“... და მსგავს ცნობებსაც საზოგადოება ისეთივე მომწამვლელი სიტკბოებით ეწაფება, როგორც ლოთი – ღვინოს.

სადამდე შეიძლება მივიდეს ყოველივე ეს? როდესაც აშკარა უსამართლობას ვისმენთ, ვამბობთ ხოლმე: „ღმერთი არ დაუშვებს!“ მაგრამ თუკი გვაქვს უფლება რაიმეზე ვთქვათ ამგვარად, ყველაზე მეტად ეკლესიაზე, რადგან ეკლესია ღვთითაა დაწესებული. ქრისტემ იმდენად შეიყვარა ეკლესია, რომ „თავი თვისი დასდვა მისთვის“, – და განა შესაძლებელია, რომ მან იგი ოდესმე დატოვოს? შეუძლებელია! რამეთუ თვით იგი ეტყვის ეკლესიას მოციქულთა სახით: „მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“ და უწინასწარმეტყველა, რომ ყოვლადწმიდა და სამოციქულო ეკლესია დასასრულამდე იარსებებს და „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათე 16, 18).

ამ წმინდა დაჯერებულობით ცხოვრობდნენ, იბრძოდნენ და ცხოვნდებოდნენ წინაპარნი, მამანი და დედანი ჩვენნი; ამავე დაჯერებულობით ვიცხოვრებთ ჩვენც, – როგორც მორწმუნეთა საზოგადოებაში – ეკლესიაში უფლისადმი ერთსულოვანი ლოცვების აღმვლენელნი, მაშენებლისადა სასიკეთოდ, – პატიოსან შრომასა და ერთმანეთისადმი უანგარო სიყვარულში, რომელიც მტრის ყოველგვარ მანქანებას არღვევს. ძვირხილულებს (ვნებულებს, წამებულებს) კი თანავუგრძნობთ მთელი ჩვენი სულით, მთელი ჩვენი ცხოვრებით, მოყვარული და წმინდა გულით ვიდრე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე! ამინ.

# შეცდომების გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (№26) გამოქვეყნებული წერილის - „ბატონო ბესარიონ, შეთქმულებასა და მკვლელების მფარველობაში გადანაშაულებთ!“ - პირველივე აბზაცში კომისიის სახელწოდება არასრულყოფილია და სრულყოფილად ასე უნდა იკითხებოდეს: „დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია“ (გვ.4). ამავე წერილის მეორე სვეტის მე-10 სტრიქონში ამოვარდნილია სიტყვა „პრეზიდენტის“ და უნდა იკითხებოდეს: „რესპუბლიკის პრეზიდენტის მკვლელობის“....

მე-6 გვ. გამოქვეყნებულ სტატიაში „კვლავ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ“ (ავტ. აკაკი ვარაზაშვილი), მეორე სვეტის მეორე აბზაცის („ამასობაში...“) მე-6 სტრიქონში „იმის საწინდრად გამოაცხადონ, რომ თურმე, რუსებს **არ“** ნაცვლად უნდა იყოს **„ისე“**.

მე-9 გვ.-ზე დაბეჭდილ ლალი ბარძიმაშვილის წერილში „მარტოობის ორდენის კავალრები“... პირველი აბზაცის მე-3 სტრიქონში „მოიარას“ ნაცვლად უნდა იყოს „მოირა“. მე-8 აბზაცის („ტერენტი გრანელი“...) მე-5 სტრიქონში „მორადგადაცდომილ“-ის ნაცვლად უნდა იყოს „მორალგადაცდომილი“. მისი ქვემოთა აბზაცის („მიხ. ჯავახიშვილს“...) მე-15 სტრიქონში „ღვთისადმი“ს ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „ღვთისდარი“. მე-2 სვეტის მეორე აბზაცის მე-20 სტრიქონში „შიმშილის“ ნაცვლად უნდა იყოს „შიმშილში“. ხოლო მე-4 აბზაცის ბოლოდან ზევით მე-4 სტრიქონში „მეტყველებსა“-ს ნაცვლად უნდა იყოს „მეტყველებს“. მე-15 გვ-ის ბოლო სვეტში „სოლიდური საშუალება“-ს ნაცვლად უნდა იყოს „სოლიდურ საშუალოებს“.

მე-19 გვ-ზე ლია ანდღულაძისადმი მიძღვნილ სტატიაში („დიდსულოვანი და დიდბუნებოვანი“) მე-2 სვეტის ბოლოდან მე-2 სტრიქონში „და არ წყალობდა და არ ცნობდა“-ში ამოვარდნილია სიტყვა „მეცნიერად“ და სრულყოფილად ასე უნდა იკითხებოდეს: „და მეცნიერად არ სცნობდა“...

მკითხველებს ბოდიშს ვუხდით გაპარული სამწუხარო შეცდომებისათვის (**რედ.**). ...

# ღმერთმა ნუ შეგასწროთ სტალინის ძეგლის აღდგენას!

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. N26-ის გვ. 5*

ღმერთმა ნუ შეგასწროთ სტალინის ძეგლის აღდგენას!

სტალინის ბიოგრაფიის მომენტების გაყალბებას უარყოფითად შეხვდნენ ძველი ქართველი ბოლშევიკები: ფილიპე მახარაძე და სხვები. ფილიპემ პროტესტიც კი გამოთქვა ფაქტების დამახინჯების გამო, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. სტალინს ცხადია, ხელს არ აძლევდა ამ ამბის გახმაურება და საკითხის მოგვარება ლავრენტი ბერიას მიანდო. ბერიამ შესაშური მონდომებითა და ოპერატიულობით სტალინის ნება აღასრულა. მალე ფილიპე მახარაძემ ტონი შეცვალა და ყველა ის სიყალბე, რაც ლავრენტი ბერიას მოხსენებასა და ივანე ტოვსტუხას მიერ დაწერილ სტალინის ბიოგრაფიაში იყო ჩადებული, თავის ნაშრომში გადმოიტანა. ასე დაკანონდა სიცრუე, რომელიც დიდხანს ურყევ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული.

***ვახტანგ გურულის მასალების მიხედვით.***

საუკუნეა სტალინის პატიოსნებაზე, სამართლიანობაზე ყეფით გამოგვიჭედეს ყურები. არადა, ხედავთ, როგორ გაუყალბებია საკუთარი ცხოვრების გზაც კი? ასეთივე ყალბი, თაღლითი და გაიძვერა აჰკიდებია დღესაც მის სახელს.

არსებობს ასეთი ვერსიაც: სტალინის ოფიციალურ ბიოგრაფიაში დაბადების თარიღად მიჩნეულია 1879 წლის 21 დეკემბერი. გორის ამაღლების ეკლესიის მატრიკულ წიგნში, დაბადების თარიღად დაფიქსიერებულია 1878 წლის 6 დეკემბერი. მცდარი თარიღი პირველად 1922 წელს გაჩნდა, როდესაც ლენინმა სტალინი პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობაზე წარადგინა. ახალი ანკეტის შედგენისას მოხდა შეცდომა, რომლის გამოსწორებაც შემდგომში სტალინმა საჭიროდ არ ჩათვალა. სხვა ვერსიის თანახმად, დაბადების თარიღის შეცვლა სტალინს გიორგი გურჯიევმა ურჩია. არსებობს კიდევ ასეთი მოსაზრებაც, რომ სტალინმა დაბადების წელი შეგნებულად გადმოიტანა, რათა გამქრალიყო ეჭვები პჟერვალსკის შესახებ, რომელიც 1878 წლის დასაწყისიდან სამკურნალოდ იმყოფებოდა კავკასიაში. გორში თავად მიმინოშვილების ოჯახში სტუმრობისას მას გაუცვნია 22 წლის ეკატერინე გელაძე...

ახლა კიდევ ერთ მაგალითსაც გავეცნოთ სტალინის „კეთილი და ღვთისმოსავი გულის“ შესახებ.

იყო ასეთი ძველი ბოლშევიკი ბუდუ მდივანი, რომელიც თავისი ჯურის მგლების ხროვას შეეწირა.

### როგორ გადაუხადა სტალინმა „მადლობა“ თავის გადამრჩენელს

მეტეხის ციხის ერთ ბნელ საკანში, წარმოსადეგი მამაკაცის მხრებზე, ჩია ტანის, ნაყვავილარი სახის კაცი იდგა და პატარა სარკმლიდან ჰაერს ხარბად ისუნთქავდა. ანთებით დასუსტებულ მის დაჩრდილულ ფილტვებს სუფთა ჰაერი სჭირდებოდა, პატარა სარკმელი კი ჭერთან ახლოს იყო. ის მაშინ, ჯერ კიდევ სოსო ჯუღაშვილი იყო – ყოფილი სემინარიელი, ტერორისტი და რევოლუციონერი. ახოვანი მამაკაცი კი, ვის მხრებზეც იგი იდგა, მისი თანამებრძოლი ბუდუ მდივანი გახლდათ. ეს იყო XX საუკუნის 10-იანი წლები. სოსომ და ბუდუმ მეტეხის ციხიდან გაქცევა გადაწყვიტეს, მაგრამ მტკვარი ჰქონდათ გადასაცური. გორში გაზრდილმა სოსომ ცურვა არ იცოდა. ბუდუმ ზურგზე შეისვა სოსო და მტკვარი ისე გადაცურა. გოგირდის აბანოებთან, ბუდუს, მეუღლე, ცუცუნია ფაეტონით უცდიდათ. მაშინ სოსო ცოლ-ქმარს მრავალ მადლობას უხდიდა...

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა პატარა სოსო დიდ საბჭოთა ბელადად იქცა, ერთგულ მეგობარს ამაგი „დაუფასა“. 1936 წელს, ჯერ ბუდუ დაიჭირეს, შემდეგ მისი ხუთი შვილი და ცოლი. შინსახკომის ციხეში, ცოლ-შვილს, მის თვალწინ აწამებდნენ. მერე, ოთხი შვილი თვალწინ დაუხვრიტეს. მოგვიანებით, იგივე ბედი ეწია ცოცხლად დარჩენილ ერთადერთ ქალიშვილს გადასახლებაში. სიცოცხლეს გამოასალმეს ბუდუ და მისი მეუღლეც“.

***ირინე მჭედლიძე***

არსებობს გადმოცემა, როდესაც ბუდუ მდივანი დასახვრეტად გაამზადეს, მას ბოლო სიტყვა შესთავაზეს: „დასახვრეტი კი არა ოთხად ვარ გასაგლეჯი, ის არაკაცი, კაცად რომ ვაქციეო“.

მაგრამ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გენუის კონფერენციიდან დაბრუნებულმა ბუდუ მდივანმა პირადად მოითხოვა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის, ნეტარხსენებული ამბროსი ხელაიას დაპატიმრება.

ბუდუ მდივანმა, მშობლიური პარტიის დავალებით, საქართველოს სხეულს ჩამოათალა მისი ორგანული, განუყოფელი ნაწილი ჰერეთი: 1921 წლის 5 ივლისს, ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს სსრ-სა და აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზეც განიხილეს სასაზღვრო ზოლის საკითხი. ამავე წლის 15 ნოემბერს კი, საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკების საზღვრების თაობაზე შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სსრ რევკომის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ბუდუ მდივანმა და აზერბაიჯანის იმავე უწყების თავმჯდომარემ მურხატარ გაჯიზადემ. ამ შეთანხმების თანახმად, ზაქათალის ოლქი (ყოფილი ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი), ყარა გარეჯის საძოვრები აზერბაიჯანს გადაეცა.

ასევე არ შერჩა საქართველოს ცოდვა სადისტ ლევან ღოღობერიძეს, რომელმაც ასეთი რამ განაცხადა: „Вы знаете, товарищи, что в Грузии дворянство составляет 6 процентов населения. Это необыкновенный процент, которого нет ни в одной другой стране. Даже в Польше, стране панов, число дворян достигает 4 процентов. Мы должны сократить в Грузии процент дворянства» – Леван Гогоберидзе. შთამომავლობაც მისეული დარჩა ქართველთა ამ სისხლისმსმელს.

არანაკლები ბოროტება ჩაიდინა მან ბოლშევიკ ოკუჯავების ოჯახის მიმართ, ამოწყვიტეს მთელი ოჯახი, 8 შვილიდან, დახვრეტას გადაურჩა 2 მცირეწლოვანი შვილი.

იმ უკიდეგანო ბოროტების იმპერიაში, დასახვრეტი და დასაჭერი რომ აღარ დარჩათ, ადამიანის სისხლს დაჩვეული ბოლშევიკები ერთმანეთს დაერივნენ და ამით დაიურვეს სისხლის წყურვილი!

საქართველოში ბოლშევიკების შემოთახსირებას, ვერც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გადაურჩა. გაწყვიტეს ათასობით სასულიერო პირი, გაძარცვეს საეკლესიო ხაზინა, სიწმინდეები და ეს ხდებოდა რუსეთის იმპერიის მოშიმშილე რეგიონების მაცხოვრებელთა „დასახმარებლად“, რაც ერთმორწმუნე მეფის რუსეთმა დააკლო საქართველოს ეკლესიას, ის ბოლშევიკებმა დაუმატეს. ამ პერიოდში გაიძარცვა და დაიხურა ასეულობით ეკლესია-მონასტერი. ათასობით მოქმედი ტაძრიდან დახურვას გადაურჩა მხოლოდ თხუთმეტიოდე. და ისინიც შევიწროებულნი და დამცრობილნი.

საფლავებიდან იღებდნენ წმინდანთა ძვლებს, შეურაცხყოფდნენ და ბილწავდნენ. იმ დროისათვის, ქუთაისში, კაცობრიობის ისტორიაში არგაგონილი სისასტიკე და უგნურება მოხდა. სტალინელმა ბოლშევიკებმა, საფლავებიდან ამოიღეს და გაასამართლეს (?!) წმინდანების, დავით და კონსტანტინე მხეიძეების ძვლები, თან, ორი კვირის განმავლობაში, დასჭყაოდნენ – თუ წმინდანები ხართ თავი იმართლეთო (?!).

გააბრიყვეს მოსახლეობის ერთი ნაწილიც, არ შეიძლება მღვდლის მიერ წესაგებული მიცვალებულის საფლავში გაჩერებაო და მიცვალებულთა ნეშტები კომუნისტურ სასაფლაოზე სასულე ორკესტრის თანხლებით გადაასვენებინეს. ბოლშევიკებმა, ქართული ეკლესიები გადააქციეს აბანოებად, საწყობებად, ცხოველთა სადგომებად, თეატრებად და საკონცერტო დარბაზებად.



სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, საქართველოში შეიქმნა ავტონომიები, რომლებიც საქართველოს დღესაც სისხლიდან ცლის.

კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ უბედურ ბუდუ მდივანს ავტონომიების შესახებ: „დროის ამ მონაკვეთში, ცხინვალის რაიონში და თავად ცხინვალში, ოსი საერთოდ არ მოიხსენიება. 1914 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული კამერალური აღწერის თანახმად, მხოლოდ ჯავის რაიონის მთიან ნაწილში, 28 ოსი ოჯახია ფიქსირებული. მდგომარეობა მკვეთრად იცვლება 1922 წლიდან. 1922 წლის დასაწყისში, სტალინი, მოსკოვიდან საქართველოში ბოლშევიკების თავკაცს ბუდუ მდივანს ურეკავს და აცნობებს, რომ გადაწყდა ოსებისათვის ავტონომიური ოლქის შექმნა და დედაქალაქის შერჩევას ავალებს. 1922 წლის ზაფხულში განმეორებით ურეკავს ბუდუ მდივანს და უმოქმედობას უსაყვედურებს. ბუდუ მდივანი ატყობინებს, რომ დედაქალაქის შერჩევა ჭირს, რადგან ოსები ძირითადად მთებში ცხოვრობენ. ერთადერთი მსხვილი დასახლებული პუნქტი ცხინვალია, მაგრამ იქ თითო-ოროლა ოსური ოჯახი თუ მოინახება“. მიუხედავად ამისა, სამხრეთ ოსეთის ოლქი მაინც შეიქმნა. შემდგომი პერიოდი მოიცავს ოსების მასობრივ ჩასახლებას ცხინვალის რაიონიდან ბორჯომის მთელ ხეობაში, ვიდრე ბაკურიანამდე ჩათვლით“

***ბიძინა სავანელი, პროფესორი***

როგორც ვხედავთ, ამ ძაღლთაპირის მიზანი იყო საქართველოს ნაკუწებად ქცევა. ამის შესახებ საკმარისია გავეცნოთ ინგუში ისტორიკოსის სულთან ხამშიევის ნაშრომს, რომლიდანაც მოვიყვანთ ქართველთყლაპია სტალინისა და ორჯონიკიძის მიმოწერებს-დეპეშებს.

Письмо Г.К. Орджоникидзе
И.В. Сталину.
9 сентября 1925г.
Дорогой Сосо!

Самый модный вопрос в данный момент в Грузии – это автономия Мингрелии. Застрельщиками являются несколько никому не известных мингрельцев, плюс несколько человек коммунистов, плюс часть меньшевиков, с оружием в руках боровшихся против нас в дни августовского восстания. Вся мингрельская интеллигенция, а о грузинской нечего и говорить, решительно против…

Письмо И.В. Сталина
Г.К. Орджоникидзе.
17 сентября 1925г.

Жалею, что шутки о Мингрелии приняты всерьез легковерными товарищами. Можешь заявить от меня, что я не высказывался и не намерен высказываться в пользу автономии Мингрелии. Можешь заявить об этом в форме, в какой найдешь целесообразным. Насчет Осетии поговорим по приезде.

სტალინის მსახვრალი ხელი, ვერ ასცდა, საბჭოური იმპერიის საპყრობილეში გამომწყვდეულ ათობით ეროვნების შვილებს: გადაასახლეს 172000 კორეელი, 905 000 გერმანელი, 400 000 ჩინელი, ინგერმანდიელი, ბერძენი, გერმანიის მოკავშირე სხვა სახელმწიფოების ეროვნებები, 101 000 ყალმუხი, 70 000 ყარაჩაელი, 685 000 ჩეჩენ-ინგუში, 37 000 ბალყარელი, 191 000 ყირიმელი თათარი. სასამართლოებისა და სამხედრო ტრიბუნალების მიერ გასამართლებულთა საერთო რიცხვი 1941-1953 წლებში შეადგენს 1 1925 382 ადამიანს.

„ამ გაუგონარი რეპრესიების შესახებ გადმოგვცემს ალ. სოლჟენიცინი: „რევოლუციამდელ რუსეთში სიკვდილით ისჯებოდა დაახლოებით 17 კაცი წელიწადში“. ეხლა მოვუსმინოთ „ჩეკას“ ანგარიშს, რომელსაც აბარებს მთავრობას თავისი „რევოლუციური მუშაობის“ შესახებ 1918-1919 წლებში (ვ. ი. ლენინის მმართველობის წლებში). ისინი ბოდიშობენ, რომ გასამართლების გარეშე ყოველთვიურად მხოლოდ ათასზე მეტ კაცს ხვრეტდნენ. საანგარიშო მოხსენების სახით ეს წიგნი ჩეკამ გამოსცა 1920 წელს და ინახებოდა არქივში. ჩეკას ამ წიგნით თავისი ერთგულების გამოჩენა აინტერესებდა მთავრობის წინაშე. მაგრამ რა ძვირფას მასალას აწვდის იგი მომავალ ისტორიას თავისი მხეცობის შესახებ, ამაზე ალბათ, არც დაფიქრებულა. რა თქმა უნდა, თვეში ათასი კაცის მოსპობა გაუგონარი ბარბაროსობაა, მაგრამ თუ ავიღებთ სტალინური ტერორის მძვინვარე წლებს (1937-1938 წწ.), ეს ციფრი უკვე ისეთ დონეს აღწევს, რომ მსოფლიო ისტორიაში ძნელია იპოვო მშვიდობიანი ხალხის ჟლეტის სხვა ამგვარი მაგალითი. აღნიშნულ ორ წელიწადში დახვრეტილთა რაოდენობა რომ გავყოთ თვეებზე, მივიღებთ 40-ათასზე მეტ დახვრეტილ კაცს, ყოველ თვეში!!!

ამასთან დაკავშირებით მე გაგახსენებთ, რომ შუა საუკუნეების, ყველასათვის ცნობილი ინკვიზიცია, სიმკაცრის წლებში მხოლოდ ათამდე კაცს სპობდა თვეში. აბა დაუკვირდით, რამდენად გაუსწრეს წინ კომუნისტებმა ინკვიზიტორებს მშვიდობიანი ხალხის ხოცვა-ჟლეტაში. მაშასადამე, თუ ინკვიზიცია თვეში სპობდა 10-მდე კაცს, კომუნისტებმა, ჯერ იგი 1000-მდე გაზარდეს, ხოლო შემდეგ თვეში 40-ათასს გადააჭარბეს. ამასთან, ინკვიზიცია სიკვდილით სჯიდა მხოლოდ იმ პირებს, ვინც ებრძოდა სახელმწიფოში გაბატონებულ კათოლიკურ სარწმუნოებას. კომუნისტები კი, ლენინურ-სტალინური ტირანიის წლებში, ადამიანებს იჭერდნენ, ხვრეტდნენ, ანდა ციმბირში ასახლებდნენ მარტო იმისათვის, რომ იგი იყო ნათავადარი ან მღვდელი, ხოლო ხშირად უწიგნურ გლეხსაც არ ინდობდნენ შიმშილის გრძნობის გამომჟღავნებისათვისაც კი…“ (ალ. სოლჟენიცინი, ამერიკის პროფკავშირების წინაშე წარმოთქმული სიტყვიდან).

***მიხეილ მჭედლიშვილი***

*„საქართველო ბოროტების იმპერიის 500-წლოვან მარწუხებში“*

საქართველოში განხორციელებული ხოცვა-ჟლეტის შესახებ, მიხეილ მჭედლიშვილს მოჰყავს ამონარიდები ალ. პაპავას წიგნიდან: „1936-37-38 წლებში 2,5 მილიონიანმა საქართველომ 268-ათასი ადამიანის მსხვერპლი გაიღო, ამასთან, დიდი ნაწილი საზოგადოების ნაღები იყო. შეადარეთ: მთელ ევროპაში 400 წლის მანძილზე, როცა იქ ინკვიზიციის კოცონი გიზგიზებდა, მხოლოდ 80-ათასამდე ე. წ. ერეტიკოსი აწამეს. საქართველოში კი 2,5 მილიონმა მოსახლეობამ სამი წლის მანძილზე 268- ათასი ადამიანი დაკარგა.

სტალინის უგუნური თაყვანისმცემლები, ასეთ სისულელესაც კი როშავენ, თითქოს სტალინმა ბევრი რამ არ იცოდა, მას იაგოდა, ეჟოვი და ბერია ატყუებდნენო. ჭეშმარიტად უბადრუკი არგუმენტია! ჯერ ერთი, რა გენიალური ხელმძღვანელი ხარ, თუ მილიონებს გიხვრეტენ და შენ ეს არ იცი; მეორეც, რა ხელქვეითები გყავს ისეთები, რომლებიც არაფერს გეკითხებიან და თვითნებობენ?

არა, ბატონებო, სტალინმა ყველაფერი იცოდა, ყველაფერი მისგან მოდიოდა და, უწინარეს ყოვლისა, გლობალური ტერორის პირდაპირი და უშუალო ავტორი, ორ-

*დასასრული მე-6 გვ.*

*დასაწყისი მე-5 გვ.*

განიზატორი, გამტარებელიც და თეორეტიკოსი თვით იყო. რასაკვირველია, ყოველი ცალკეული პიროვნების დაპატიმრებისა და დახვრეტის სანქციას სტალინს არ თხოვდნენ, მაგრამ მასობრივი რეპრესიების აუცილებლობა მისი თეორიიდან მოდიოდა და მისი დირექტივებიდან გამომდინარეობდა, ხოლო ზოგიერთების დასჯის შესახებ, განკარგულებას, პირადად იძლეოდა. ასეთებს შორის იყვნენ ბ. მდივანი და მ. ტოროშელიძეც სხვა მრავალ მოღვაწეებთან ერთად…" (ალ. პაპავა, იქვე).

დღეს, როდესაც ჩვენი სამშობლო ისევ სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე დგას და რუსეთის მოდერნიზებულ ველიკოდერჟავულ იმპერიასთან პირისპირ შთენილისთვის ჰაერივით საჭიროა მსოფლიო საზოგადოების თანადგომა და მხარდაჭერა, საქართველოში კვლავ დაძრწის აჩრდილი სტალინისა.

დღეს, როდესაც სტალინის მიერ განადგურებული, რეპრესირებული და გენოციდგამოვლილი ხალხების მხარდაჭერასა და თანადგომას საქართველოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ერთი ორომტრიალი აქვთ ატეხილი კერპთაყვანისმცემელ სტალინელებს, ამ ხალხს საკუთარი ერი ფეხებზე ჰკიდიათ და სტალინისაგან გაუბედურებული ხალხების ტრაგედიები ხომ ჩირადაც არ ულირთ!

გაიხსენეთ, სტალინის მიერ შიმშილითა და ცეცხლით განადგურებული 7 მილიონი უკრაინელი, ამას დამატებული რეპრესირებულთა რაოდენობაც!

გაიხსენეთ, სტალინის მუხანათობა ფინელი ხალხის მიმართ, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე და ამ ქვეყნის ტერიტორიები შეეწირა!

გაიხსენეთ, სტალინ-ჰიტლერის ჩადენილი დანაშაული პოლონელი ხალხის წინააღმდეგ, კატინში სტალინის მიერ ამოხოცილი 20 000 პოლონელი ოფიცერი. აჯანყებული ვარშავისადმი ღალატი და გერმანელებისადმი ხელშეწყობა პოლონელების ხოცვაჟლეტაში!

გაიხსენეთ, ბალტიისპირეთის ქვეყნების დაპყრობა და ამ ხალხების ინტელექტუალური პოტენციალის ამოწყვეტა, მესაკუთრეთა კლასის განადგურება!

გაიხსენეთ, დღესაც ჩრდილოელ დათვთან მარტოდ-მარტო მორკინალი ჩვენი კავკასიელი ძმები, რომელთაც გაუგონარი, კაცთა მოდგიმსათვის არ ნახული და არ გაგონილი უბედურება დაატეხა თავს მსოფლიოს ხალხთა „მამამ და მარჩენალმა" სტალინმა!

ყველა ამ ხალხებს სტალინის სახელის ხსენება კვლავ უხსნის სამარადჟამოდ მოუშუშებელ ჭრილობებს.

ჩვენთან კი, საქართველოში, ისევ დაძრწის აჩრდილი კაცობრიობის ჯალათად მოვლენილი სტალინისა.

ეს სირცხვილია საქართველოსი, ეს სირცხვილია ქართველი ერის!

ეს კათაკმევლები და კერპთაყვანისმცემლები ეთაყვანებიან იმ კაცს, რომელსაც საკუთარი დედაც კი არ უყვარდა და რომელსაც საკუთარი დედაც არ სწყალობდა.

ოცდაათიან წლებში, როდესაც სტალინი საქართველოში ჩამოვიდა, დედამ ჰკითხა: შვილო რად მუშაობ კრემლში?

მე მეფის თანამდებობაზე ვმუშაობ – უპასუხა სტალინმა.

**– ყველასათვის უკეთესი იქნებოდა შენ რომ მღვდელი გამხდარიყავი** – მიუგო კეკემ.

არ აპატია სტალინმა საკუთარ დედას ეს სიტყვები და მის დაკრძალვაზეც არ ჩამოსულა. როგორი ზნეობის ქალიც არ უნდა ყოფილიყო კეკე, მის სულიერ სიმაღლეზე მეტყველებს ის, რომ ეულად დარჩენილი მოხუცი, არ ღებულობდა ბოლშევიკების მიერ დანიშნულ პენსიას.

კეკეს უნდოდა მისი შვილი სასულიერო პირი გამოსულიყო, სურდა ემსახურა საკუთარი ხალხისათვის, მაგრამ სოსომ ეშმაკის გზა აირჩია, აირჩია ბარაბას გზა და ამ გზით მავალი, უკან, მოძმეთა სისხლსა და ძვლებს ტოვებდა.

ორგულობა, ცბიერება, გაუტანლობა, ღალატი, არაკაცობა გახდა მისი ცხოვრების მამოძრავებელი სულისკვეთება. საკუთარი წინსვლისა და კარიერისთვის არაფერს ერიდებოდა. ავგულობა მისი სულის განუყრელ ნაწილად იქცა. გულქვა და ბოროტი რომ იყო, ამას, თვით აღნიშნავდა:

**– „სოსო, ამ არსებამ შეარბილა ჩემი ქვის გული. იგი მოკვდა და მასთან ერთად, უკანასკნელი, თბილი გრძნობა ადამიანთა მიმართ" –** უთქვამს მას თავისი პირველი ცოლის დაკრძალვაზე სიყრმის ამხანაგ იოსებ ირემაშვილისთვის (იოსებ ირემაშვილი, „სტალინი და საქართველოს ტრაგედია" (გერმანულ ენაზე) 1932). შწორედ, ეს იოსებ ირემაშვილი, გერმანიაში გამოცემულ თავის წიგნში წერს, რომ სტალინის დედაც და მამაც ოსები იყვნენო.

ჭეშმარიტებას უფრო მეტი ნათელი რომ მოეფინოს, საჭიროა, სტალინის ქალიშვილის აზრიც იცოდეს ქართველმა საზოგადოებამ საკუთარ მამაზე. აი, რას წერს სვეტლანა ალილუევა: „როგორი აუტანელი უსამართლობაა – გძულდეს საქართველო და ყველა ქართველი მხოლოდ იმიტომ, რომ ეს „სტალინის სამშობლოა"!

საქართველო – ეს ძველი ქრისტიანული ქვეყანაა, დღესაც ისეთივე, როგორიც მრავალი საუკუნის წინ.

სტალინმა, თავისი სამშობლო, ადრეულ სიჭაბუკეშივე მიატოვა, მიეტმასნა რუსეთის სოციალ-დემოკრატებს, წავიდა ჩრდილოეთში, მრავალჯერ მოხვდა გადასახლებაში ციმბირში და სამუდამოდ შეიყვარა რუსეთი და რუსები, რამეთუ მას ძალაუფლება უყვარდა და სურდა ყოფილიყო ძლიერი. საქართველოს დახვეწილი არტისტული კულტურა მას სიცოცხლის ბოლომდის სძულდა, ემოციური, რაინდული ქართველები მას გულზე არ ეხატებოდა, მას სჭირდებოდა ძლიერები და ცინიკურები, რათა გაემარჯვა. სიმღერის, ცეკვისა და ღვინის ქვეყანა კი სხვა ჯიშის ადამიანებს შობდა".

*სვეტლანა ალილუევა, ფრაგმენტი წიგნიდან „შორეული სიმღერა"*

მამისგან განსხვავებით, თავად სვეტლანა, სულაც არ თვლიდა თავს რუსად:

„უკვე ოცდაათი წელია, რაც ამერიკის მოქალაქეობა მაქვს. არ მსურს რუსულად ლაპარაკი. მე ყოველთვის მძულდა რუსეთი, საბჭოთა რუსეთი. მე არასდროს დავბრუნდები რუსეთში, რაც არ უნდა ბევრი ილაპარაკონ ამის შესახებ. მე არ ვარ ეთნიკური რუსი".

***სტალინის ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა: „მე ყოველთვის მძულდა საბჭოთა რუსეთი"***

სვეტლანა შესაშური სამართლიანობით აღწერს სტალინის ოჯახსა და იქ გამეფებულ ძალმომრეობას:

„ოჯახში, სადაც მე გავიზარდე, ყველაფერი არანორმალური და დესპოტური იყო, დედის თვითმკვლელობა კი იყო ნათელი სიმბოლო უსასოებისა. გარშემო კრემლის კედლები, სახლში, სკოლაში, სამზარეულოში საიდუმლო პოლიცია. გამოფიტული, გამძვინვარებული ადამიანი, ძველი კოლეგების, მეგობრების, ახლობლებისა და მთელი სამყაროსაგან კედელ აღმართული. თავის თანამეინახეებთან ერთად, ქვეყანა აქცია საპყრობილედ, სადაც ისჯებოდა ყოველივე ცოცხალი და მოაზროვნე. ადამიანი, რომელიც იწვევდა შიშსა და სიძულვილს მილიონობით ადამიანში – ეს ჩემი მამაა… ოცი წელი მე ვიყავი მოწმე საკუთარი მამის განადგურებისა და ყოველ ცისმარე დღეს თვალს ვადევნებდი, თუ როგორ ტოვებდა მას ყოველივე ადამიანური და ის თანდათანობით იქცეოდა საკუთარი თავისავე შავ მონუმენტად… მაგრამ ჩემს თაობას ასწავლეს აზროვნება, რომ ეს მონუმენტი თვით არის კომუნიზმის დიადი იდეალების განსხეულება, მისი ცოცხალი განსახიერება".

*ფრაგმენტი წიგნიდან „მხოლოდ ერთი წელი"*

სტალინისა და სტალინიზმის აპოლოგეტი გაზეთი „ასავალ-დასავალი", დაარსების დღიდანვე ეწევა სტალინის პიროვნების კულტისა და სტალინიზმის პროპაგანდას. თავისი ყოველი ნომრის ფურცლებზე ათავსებს სტალინის მადიდებელ პუბლიკაციებს. თუ ვინმე სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამს, რედაქცია მაშინვე პრესის თავისუფლებას იშველიებს ფარად და მახვილად, დემოკრატიის მონაპოვარი ხომ საჯაროობა და სიტყვის თავისუფლებაა-ო და ამით მალავს თავის შავ-ბნელ მიზნებს. თუმც გასაკვირი არაფერია, ამ გაზეთში კომსომოლის სული ბუდობს დღესაც. მის ფურცლებზე თავი მოუყრია ძველ კომუნისტებს, კომსომოლებს, მოქკავშირელებს…

მავანნი აღშფოთებას ვერ მალავენ, აქაოდა ქურდულად, ვერაგულად, ღამით აიღო მიშამ სტალინის ძეგლიო. იმას კი ივიწყებენ, რომ სტალინი და მისი დამქაშები ღამ-ღამობით აუბედურებდნენ მილიონობით ადამიანს, აგზავნიდნენ მოუსავლეთში, საკონცენტრაციო ბანაკებში…

ბოლშევიზმმა და სტალინიზმმა, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე, გადააგვარა და გახრწნა საზოგადოება, ცხოვრების წესად და კანონად აქცია თვალთმაქცობა, მლიქვნელობა, დასმენა-მაბეზღარობა, შური და გაუტანლობა, ორპირობა და გაიძვერობა, რისგანაც თავი დღესაც ვერ დაგვიღწევია.

სტალინმა აღასრულა თავისი დანაპირები: დღესაც ხნავენ საქართველოს წაღმა – უკუღმა!

სტალინი ისტორიული მოვლენაა, ისტორიის საკუთრებაა, გენიალური მხედართმთავარი, დიდი ბელადი იყოო….

„ყოვლისმცოდნე და ყოვლისგამრიგე" სტალინელებო, ისტორიის საკუთრებაა მისი ნომერ პორველ მტრად შერაცხული ჰიტლერიც, რომლის დაბადების დღეზე, 1939 წელს, სტალინმა ასე ადღეგრძელა ფიურერი – „მინდა ისე ვუყვარდე ჩემს ხალხს, როგორც ფიურიერი თავის ხალხს"-ო. დიახ, ისტორიის საკუთრებაა ჰიტლერიც, მაგრამ გაბედოს გერმანიის, გერმანულენოვანი ქვეყნის, რომელიმე გაზეთმა და ოდნავი სიმპათია გამოამჟღავნოს თავის ფურცლებზე, კაცობრიობის მეორე დაუძინებელი მტრის მიმართ და, რა დღესაც დააყრის დასავლური დემოკრატია, იმასაც ვიხილავთ! საქართველოში კი, ყველაფერი დაშვებულია, ყველაფერი მისაღებია, გარდა ჭეშმარიტი ეროვნულისა!

ცნობისათვის: ამ ორ ნაძირალას, ერთმანეთი, ჯერ კიდევ 1913 წელს გაუცვნიათ ვენაში. ხედავთ, მონათესავე სულებს შორიდანვე უცვნიათ ერთურთი.

დღეს გერმანელს, ავსტრიელს ჰიტლერის სახელს რომ უხსენებ, უსაშველო სირცხვილის გრძნობა ეუფლებათ. საქართველოში კი არსებობს ვინმე გრიშა ონიანი, რომელიც ყოველგვარი სირცხვილის ქეჯნის გარეშე აცხადებს: „თუ ვინმე აიღებს სტალინის უკანასკნელ ძეგლს, მე პოლიტიკურ თავშესაფარს ვთხოვ ცხინვალს"-ო.

ისტორიის დეპოში, ავადმოსაგონარი დროის ღრიჭოში ჩარჩენილი გრიშა ძია, ამ მანქურთების ამქრის მებაირახტრეა, მას არ ანაღვლებს მისი კუმირის მიერ სამშობლოს სხეულიდან ამოკვეთილი სასიკვდილოდ მოფართხალე შიდა ქართლი, გული, საქართველოს ყასაბი, ჯაყოებისაკენ მიუწევს!

მეორე „ქართულად მოაზროვნე" და საქართველოს დიად მომავალზე „დამაშვრალ" მსახიობ-მეცნიერ ზურაბ ქაფიანიძეს, ასეთი ხვაშიადი ჩაუდევს გულში – ეს ხელისუფლება რომ წავა, მაშინ აღვადგენ სტალინის ძეგლს-ო.

ღმერთმა არ შეგასწროთ საქართველოში სტალინის ძეგლების ხელმეორედ აღმართვა!

ღმერთო, დაიფარე საქართველო მისი მეორედ მოსვლისაგან!

აღშფოთებულან ქვებუდნები და ქვეგამხედვარენი – ეს რა ჩაიდინა, სტალინის ძეგლი დაანგრიაო, თითქოს ამ ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე აღსაშფოთებელი და საგანგაშო არაფერი მომხდარიყოს ჩვენს ქვეყანაში. თითქოს, გუშინ არ ყოფილიყო, როს ახლადფეხადგმულ საქართველოს, ქაშუეთის ქონგურებიდან ჭურვები დაუშინეს. მაშინ ხომ შამპანურების ბათქებით აძევებდნენ სამშობლოდან, საქართველოს უკანასკნელ ჭირისუფალ ზვიად გამსახურდიას.

აშკარა და უცილობელი ჭეშმარიტებაა – ყველა ის მანქურთი, რომელიც დღეს საქართველოში სტალინის ძეგლის გადმოყირავებას მისტირის, ის ორჯონიკიძის მე-11 არმიის ჯარისკაცია, მან გამოკრა სასხლეტს თითი და შუბლი განუგმირა ლევან რაზიკაშვილს, დიდი ვაჟას ძეს! მან აუგო წესი წმინდა ილია მართლის დისწულს კოხტა აფხაზს, მან მოუსწრაფა, კოჯორსა თუ ტაბახმელაში, ლამაზი სიცოცხლე მარო მაყაშვილს! მან აცვა ჯუარს საქართველოს სულიერი მწყემსი, კეთილი ნეტარხსენებული ამბროსი ხელაია, მან დაცხრილა, შორაპნის გზაზე, ვაგონებში გამომწყვდეული მამულიშვილები და სისხლის ღვარცოფით გადალეკა ქართული მიწა!

მას, ვინც დღეს კვლავ ავადსახსენებელი სტალინის სახელს მისტირის, ხელები აქვს გასვრილი ახმეტელის, მიქელაძის, ტიციანის, ჯავახიშვილის და ასიათასობითი ნამდვილი ქართველის სისხლში, ის არის სტალინური „ტროიკის" წევრი!

ეს ის ხალხია, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს დამოუკიდებელი საქართველოს მეორე რესპუბლიკის დამხობასა და განადგურებაში, სიხარულით შეხვდნენ მკვდრეთით აღმსდგარი საქართველოს ხელმეორედ დასამარებას!

ეს ის ხალხია, ვინც თბილისის აეროპორტში ფიანდაზები დაუფინა, მოსკოვიდან, რკინის ფასკუნჯით ჩამოფრენილ დემონთკრატ შევარდნაძეს!

ეშმას ნაშირეთა ამ კასტამ გადაწვა კოლხური კოშკი!

ეს ის ხალხია, რომლის სულიერი შთამომავლები, საქართველოს, მორიგ სასჯელად და თავსდატეხილ უბედურებად მოევლინა! – „ვარდოსნები", ამ წუთებშიაც გუდავენ სულთმობრძავ საქართველოს!

გასაკვირი და უცნაურია, რომ ე. შევარდნაძის ინკუბატორში შობილმა სააკაშვილმა აღგავა პირისაგან მიწისა სტალინის უკანასკნელი კერპები. მაგრამ, როგორც ჩანს, ამგვარებიც ხდება კაცობრიობის ისტორიაში, ერთი ბოროტება, საკუთარი თავის კეთილშობილად წარმოჩინებისთვის, ებრძვის თავის ტყუპისცალ მეორე ბოროტებას. თურმე, ასეც სჩვევია კახპა ისტორიას, ვინ გაიგებს მის კაპრიზებს?!

განა ეს ხელისუფლება ახალი დემონთკრატიული მეთოდებით არ ანადგურებს ყოველივე ქართულსა და ღვთიურს?

ბევრი რამ აკავშირებს ერთმანეთს სტალინსა და სააკაშვილს – საქართველოს სიძულვილი, ამ საკითხში კი მცირედი განსხვავებაა მხოლოდ – სტალინი ღიად და აშკარად გამოხატავდა ამას, მიშა კი ფლიდია და ფარავს. სტალინმა 1922 წელს შექმნა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი", 2007 წელს კი, მიშას პარლამენტმა შექმნა „სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეული", რომლის სათავეში ჩააყენა, 1989-1991 წლებში, ქართველთა სისხლში ნაბანავები, რუსეთის მოქალაქე დიმიტრი სანაკოევი.

საქართველოს დღევანდელი „საჭეთმპყრობელი", ქართულ მიწაზე მდგარ ყოველ ძეგლში, მის მოწინააღმდეგეს ხედავს. იგი ავადაა, სწორედ ისეთივე შიშით, როგორიც ჯულაევს სჭირდა.

„დემოკრატი" სააკაშვილი, სტალინისეული მეთოდებით, უზნეო ინტრიგებით მართავს ქვეყანას, სხვაობა მათს შორის გვარსა და სახელშია მხოლოდ.

ეს სტალინისტები სდუმდნენ, როდესაც სააკაშვილი დაერია დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, მემედ აბაშიძის ძეგლებს. ხმა არ ამოუღიათ, როდესაც თბილისში ალიევის ძეგლი წამოჭიმეს.

სულთმობრძავი, სასომიხდილი და გონდაკარგული ბორგავს დღეს საქართველო, დაჩეხილ-დანაკუწებული სისხლისაგან იცლება!

დღეს, საქართველოს, ძეგლებისათვის არ სცალია, ეშმა ეპოტინება გლობალისტურ სარეცელზე შეგდებულ ჩვენს მამულს, ათასგვარი ანესთეზიებით აძინებენ საღათას ძილით, რათა არ მოვიდეს გონსა და არ მოიხედოს სააქაოსკენ, არ გადაუძახოს ეს სისხლისმსმელი წურბელები ისტორიის სანაგვეზე.

მონური სულისა და ფსიქოლოგიის ვარლამ არავიძეები, დოქსოპულოები კი მისტირიან შავ-ბნელ წარსულსა და მყრალ კერპებს.

ჩვენ კი ასე დავასრულებთ ჩვენს წერილს – ის, ვინც დღეს კვლავ შესტრფის, შენატრის სტალინს, სტალინიზმის და ბოლშევიზმის აპოლოგეტი –საქართველოს მტერი და მოღალატეა!

დადგა დრო, ყველას და ყველაფერს თავისი სახელი ეწოდოს, სამუდამოდ დაიმსხვრეს კერპები და საქართველოს ხსოვნიდან ამოიშანთოს ყალბი გმირები!

საქართველომ – ფარნავაზის, დავითის, ილიას, ზვიადის გზით უნდა იაროს!

**ალექსანდრე სანდუხაძე**

# ერთიანი კავკასიის იდეის პერიპეტიები

ერთიანი კავკასიის იდეა, რომელიც ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან გაეროში სულ ახლახან იქნა გაჟღერებული, რა თქმა უნდა, კავკასიელ ხალხთა ხანგრძლივი თანაცხოვრების ისტორიაში პირველი არ არის. მაგრამ დღეს მას განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა ენიჭება, რასაც მალე კონკრეტული ნაბიჯებიც მოჰყვა საქართველოსგან, ჩრ. კავკასიის ე. წ. ავტონომიურ რესპუბლიკებში მცხოვრები ხალხებისათვის უვიზო რეჟიმი შემოიღო.

აღნიშნული გადაწყვეტილება, რომელსაც შორს მიმავალი მიზნები აქვს, ეტყობა, რომ ნაჩქარევად არ არის მიღებული და შედეგებიც წინასწარ არის გათვლილი. მის მთავარ ლაიტმოტივად ჰუმანიტარული მოსაზრებები დასახელდა. მაგრამ გადაწყვეტილებას აშკარად გამოკვეთილი ანტირუსული ხასიათი, რომ აქვს ამის შენიღბვა შეუძლებელია და ის პირდაპირი მნიშვნელობითაც გაიგეს კრემლში მოკალათებულმა ოკუპანტებმა.

რუსეთს, იმ ავბედითი, 1801 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მიმართ თავისი განსაკუთრებული სიძულვილი არასოდეს შეულამაზებია და ამის სხვადასხვა მიზეზთა შორის ერთ–ერთი სწორედ ის იყო, რომ რუსი დამპყრობელის აზრით, კავკასიაში, ქართველებს გამორჩეული ადგილი ეკავათ და არამარტო გეოგრაფიულად, რაც მათ საშუალებას აძლევდა აქ მცხოვრებ ხალხთა გაერთიანებასაც ჩადგომოდნენ სათავეში. ეს კი კავკასიის დამორჩილებასა და ოკუპაციას, რუსული გათიშე და იბატონეს პირობებში, სათუოს ხდიდა.

ახლა კი ჩვენ გადავწყვიტეთ, ისტორიულად არაერთხელ შესრულებული მისია – კავკასიაში მოთავე–წინამძღოლისა კვლავაც ვიტვირთოთ და განვახორციელოთ კიდეც! ცხადია, რომ ამ ეტაპზე ამას მხოლოდ იდეის, ჩანაფიქრის სახე აქვს, მაგრამ ყველა დიდი საქმე სწორედ, იდეის გარშემო კონცენტრირდება, ხორცს ისხამს და მოვლენათა სწორი განვითარების პირობებში არ არის გამორიცხული, ბოროტების იმპერიის მეორედ დაშლის აკვანიც აქ, კავკასიაში დაირწეს.

ბუნებრივია, რომ საქართველოს ამ გადაწყვეტილებას გამოხმაურება რუსეთშიც მოჰყვა და პროვოკაციად მონათლეს. ცოტა მოგვიანებით საყვედურებიც მოაყოლეს და განაცხადეს, რომ სახელმწიფოთა შორის ნორმალურ ურთიერთობაში – არ შეიძლება ერთი ქვეყანა მეორე ქვეყნის მოსახლეობის ნაწილს გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდეს, დანარჩენს კი არაო; ლათინო–ამერიკულ სერიალებში მოდაშია ამნეზიით დაავადება, ეს სერიალები კი რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რუსეთში ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს, და თუ არა მათი გავლენა, რითი უნდა აიხსნას რუს პოლიტიკოსთა მოკლე და ალაგ–ალაგ მახსოვრობა. განა თვითონ პირველებმა, ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევით, აფხაზ და სამაჩაბლოში მცხოვრებ ოს სეპარატისტებს რუსეთში უვიზო შესვლის უფლება არ მიანიჭეს? აკი მაშინ ჯერ კიდევ ხმამაღლა აღიარებდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ესეც არ იკმარეს, მსგავსი ჰიტლერსაც არ უკადრებია, ჩეხებს იქ მცხოვრებ გერმანელების დაცვას რომ ედავებოდა; რუსები მივიდნენ, ვითომ არაფერიო! საქართველოს მოსახლეობას რუსული პასპორტები დაურიგეს და რუსეთის მოქალაქეებად გადაწერეს. საინტერესოა ასეთი საქციელი, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის რომელი ნორმატივებით უნდა აიხსნას. მაგრამ ეს ხომ რუსეთია ჩამოყალიბების დღიდან ყველას, რომ თითს უქნევს და ჭკუას ასწავლის! ერთი ციცქნა საქართველო აქ რა მოსატანია, ან რომელი საერთაშორისო კანონები დააკავებს რუსულ დათვს მთელ კავკასიაში ნადირობა თუ მოუნდა. მაგრამ ნუ იტყვით – ისევ კავკასიელები და მათი ერთიანობა, პატარა საქართველოც მზად არის მიიღოს ეს გამოწვევა და თიხის ფეხებზე შემდგარ გოლიათს ხელთათმანიც კი ესროლოს.

ჩრ. კავკასიაში, რომ ფეთქებად საშიში მდგომარეობაა – ეს არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს და ამას კრემლშიც აღიარებენ. აღნიშნული რეგიონი ოკუპანტისათვის დღეს უფრო დიდი თავსატეხია, ვიდრე დაპყრობილი ტერიტორიისაგან მიღებული, გნებავთ მატერიალური, სტრატეგიული თუ მორალური სარგებლის განცდა. რუსი პოლიტოლოგების ერთი ნაწილი იმ ჭკუაზეც კი დადგა, რომ კრემლს ურჩევენ უარი თქვას ჩრდილოეთ კავკასიაზე და თუნდაც მეამბოხე რესპუბლიკები თავის ნებაზე მიუშვან.

ბუნებრივია კრემლში ნებით ამის გაკეთებას არავინ აპირებს, იქ, საღ აზრზე უფრო, დამპყრობელის ინსტიქტებით ხელმძღვანელობენ. კრემლს უამრავი თავსატეხი აქვს და გამოსავალს ვერ პოულობს. ის ვერ ახერხებს ელემენტარული წესრიგი დაამყაროს თავისავე ტერიტორიად მიჩნეულ ქვეყნის ნაწილში, სადაც გამუდმებული აფეთქებები და ტერორისტული თავდასხმები ხდება. ეს მის საერთაშორისო ავტორიტეტსა და იმიჯზე უარყოფითად მოქმედებს. რუსეთში ჯერაც კარგად ახსოვთ, თუ რა დღეც დააწია ჩეჩნებს სტალინმა, როცა რამოდენიმე დღეში ისინი თავის გუდა–ნაბადით შუა აზიაში გადაასახლა. ამის გამეორებაზე კვლავ არ იტყოდნენ უარს. მაგრამ ბოდიში! იმიტომ კი არა, რომ დღეს კავკასიელები უფრო უყვართ, არამედ იმიტომ რომ ამისი, არც თავი აქვთ და არც უნარი, თორემ ყველანაირ საზოგადოებრივ აზრსაც არაფერში მოერიდებოდნენ რაც, თუნდაც ჩეჩნებთან უახლოეს ორ ომშიც გამოჩნდა, როდესაც ჩეჩენ უმამაცეს მებრძოლებს ვერაფერი დააკლეს – ქალებსა და ბავშვებს დაერივნენ, ასი ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები უმოწყალოდ დახოცეს.

რუსეთი ისტორიულად ჩრ. კავკასიელი ხალხებისათვის, თუ არ ჩავთვლით ოსებს, ყოველთვის ასოცირდება დაპყრობასთან, აწიოკებასთან, ჟლეტასთან, ყველა იმ უბედურებასთან, რომელიც შეიძლება ერთმა ეთნოსმა მეორეს დაატეხოს. გენოციდის კოშმარები გერმანელმა ფაშისტებმა ევროპას რომ ჩაუტარეს – იმდენად საშინელი იყო, რომ მსოფლიო საზოგადოებამ პირობა დადო – მსგავს განუკითხაობას ხალხებს შორის ურთიერთობაში არ დაუშვებდა, მაგრამ კრემლის კარგად შეზარხოშებული მესვეურებისათვის და მათი ლოთი გენერლებისათვის – რას ფიქრობს მსოფლიო ვერაფერი შემაკავებელია და XXI საუკუნეშიც ჩეჩენ ხალხს ნამდვილი გენოცდი მოუწყვეს.

რუსი ჩვენთვისაც დამპყრობელია და თან სასტიკი, მაგრამ ჩვენ მათში,თუნდაც პირველ ხანებში ერთმორწმუნესა და ქრისტიანებს ვხედავდით. ჩრ. კავკასიელებისათვის კი რუსი დამპყრობელთან ერთად – ურჯულო, გიაური იყო და არის. რომლისთვისაც უცხოა სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა, მუსულმანურ მოსახლეობას ან ფიზიკურად უსწორდებოდა, ანდა აიძულებდა დაეტოვებინა მშობლიური ადგილები და ოსმალეთში გახიზნულიყო.

თავის დროზე საბჭოთა კავშირის დაშლა, მრავალ მნიშვნელოვან ობიექტურ, თუ სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმაც დააჩქარა, დღეს კი, ჩრ. კავკასიაში მიმდინარე პროცესები – ამ ხალხთა დაუოკებელი სული და ლტოლვა თავისუფლებისაკენ დაუდებს საფუძველს რუსეთის ფედერაციის დაშლას. ჩვენ გვეძლევა შანსი ეს პროცესი შეუქცევადი გავხადოთ, ამით კი საქართველოს გამთლიანებაც სისრულეში მოვიყვანოთ.

რუსეთში ხვდებიან და უკვე ხმამაღლადაც ალაპარაკდნენ, რომ ჩრ. კავკასიელთა დაშოშმინების პუტინისეულმა პოლიტიკამ სრული კრახი განიცადა. კადიროვი უმცროსისათვის განსაკუთრებული უფლებების დელეგირებამ, მისგან გემის ვირთხის მსგავსი ზომბის შექმნის იდეამ, რომელსაც თავისიანები უნდა გაენადგურებინა, მიზანს ვერ მიაღწია. ჩეჩენმა ხალხმა ამასაც გაუძლო და კვლავ რუსული იმპერიის დაუძინებელ მტრად რჩება. კადიროვმა კი მისთვის უკონტროლოდ გამოყოფილი ასეულობით მილიონი პირადი გამდიდრებისა და კორუმპირებული კლანის შესაქმნელად გამოიყენა. რაც ჩრ. კავკასიაში რუსული პოლიტიკის მიმართ კიდევ უფრო მეტ ზიზღს და წინააღმდეგობას იწვევს.

როდესაც კრემლმა ძალისმიერი პოლიტიკით ჩრ. კავკასიაში მისთვის სასურველი შედეგი ვერ მიიღო, იგი ცდილობს მსოფლიოს წინაშე წარსდგეს, როგორც ჩრ. კავკასიის მომრიგებელ–მომწესრიგებელი. სურს დაარწმუნოს მსოფლიო, რომ არა ის, ღმერთმა უწყის რა პროცესები დაიწყებოდა, რომლის უარყოფითი შედეგები შორს გასცილდებოდა რეგიონის მაშსტაბებს. თუმცა კრემლმა მთელი ამ ხნის განმალვობაში ჩრ. კავკასიის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ერთი ნაბიჯიც არ გადადგა. მით უმეტეს, ცნობილია, რომ აქ მცხოვრები ადამიანების უდიდეს ნაწილს იარაღისაკენ მისწრაფება და სიყვარული გენეტიკურად ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. ძალმომრეობის პირობებში კი, ხსენებული ხალხები, რომელთაც თვითრეალიზაციის მშვიდობიანი პირობები არ შეუქმნეს – ბრძოლაში ხედავენ ხსნასაც და მომავალსაც. არადა, ის რესურსები, რაც კადიროვისა და მისი შეიარაღებული ბანდის შესანახად წელიწადში გამოიყოფა, – სულ ეყოფოდა, თუნდაც ჩეჩნეთში მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემის მოგვარებას, მაგრამ ეს არ კეთდება და ამას თავისი ახსნა აქვს. ჯერ ერთი – კრემლის მიზანია ჩრ. კავკასია მოსახლეობისაგან დაცალოს, სოციალურად დაუცველ ადამიანებს გადასარჩენად უცხოეთისაკენ უბიძგოს. მაშასადამე, არაძალისმიერი გენოციდი პერმანენტულად გააგრძელოს. სტალინის კიდევ ერთი სიბრძნე – არ არის ხალხი, არ არის პრობლემა, რუსებს ძალიან კარგად ახსოვთ და მეორე, მართალია, ტერორისტული აქტები კრემლს მოსვენებასა და მოთმინებას აკარგვინებს, თუმცა უპრობლემო ჩრ. კავკასია ოკუპანტების აზრით მათთვის უფრო დიდი თავსატეხი შეიძლება გახდეს. ასეთ შემთხვევაში ე. წ. ავტონომიები უკვე კონსტიტუციურად, ძალადობის გარეშე მოითხოვენ რუსეთის შემადგენლობიდან გამოსვლას – ამაზე კი კრემლს პასუხი არა აქვს. ეს მისთვის მოვლენათა განვითარების ყველაზე საშიში სცენარია, რომელსაც უსათუოდ მოყვება დომინოს ეფექტი და რუსეთის ფედერაცია ისევე დაიშლება არაერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, როგორც ეს საბჭოთა კავშირის შემთხვევაში მოხდა. მაგრამ სანამ ეს მოხდება, კრემლი მანიპულირებს და ცდილობს ჩრ. კავკასიელ მებრძოლთა შეურიგებელი ბრძოლა თავისუფლებისათვის იარაღით ხელში (რომელიც სამწუხაროდ ტერორიზმის ელემენტებსაც მოიცავს, იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა, რასაც თან სდევს ადამიანთა გატაცება და სხვა უკანონობანიც) იმის სამტკიცებლად გამოიყენოს, რომ ჩრ. კავკასიაში არ არიან თავისუფლებისათვის მებრძოლნი, რომ ისინი ჩვეულებრივი ექსტრემისტები და ბანდიტები არიან და, რომ რუსეთი ყველა კანონის დაცვით ცდილობს მათგან ქვეყნის გადარჩენას. ასეთი პოლიტიკა, მებრძოლთა გადაცთომები მუშაობს და კრემლს საშუალებას აძლევს მსოფლიო საზოგადოებას მისთვის სასურველი კუთხით დაანახოს აქ მიმდინარე პროცესები. ოკუპანტებს ხახვივით შერჩათ ჩრ. კავკასიელთა არაერთი გენოციდი და მათ შორის სულ უახლესიც. სამწუხაროდ, ევროპა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ მკაცრად აკრიტიკებდა რუსეთს ჩრ. კავკასიაში და განსაკუთრებით კი ჩეჩნეთში ჩატარებული წმენდისათვის. დღეს, მსგავს პროცესებს შეგუებულია და რეაგირებაც ნულის ტოლია. ასე რომ, დასავლეთში ეტყობა მართლაც აშინებთ ჩრ. კავკასიური პრობლემები და რუსეთს ევროპისათვის ჩვეული უდარდელობით ბევრ დანაშაულზე თვალებს უხუჭავენ.

ახლა მთავარი კითხვა – ჩრ. კავკასიელთა უვიზო შემოსვლა საქართველოში არის თუ არა საფრთხის შემცვლელი?! რა თქმა უნდა არის და ამას ვერ გავექცევით. საინტერესოა, რომ ამასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა ერთ–ერთმა ქართულმა პოლიტიკურმა მიმდინარეობამ, რომელმაც ეს გადაწყვეტილება რუსულ პროვოკაციად გამოაცხადა, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ რუსები საქართველოსკენ გზას გაუხსნიან მარტო ტერორისტებს, ეს უკანასკნელნი კი სამი თვის განმავლობაში ტერორისტული აქტების მოწყობით იქნებიან დაკავებულნი. თუმცა, აღნიშნულია ისიც, რომ ჩრ. კავკასიელებთან კონტაქტები უსათუოდ მისასალმებელია და, რომ საქართველომ მათი ინტერესები ყველა საერთაშორისო დონეზე უნდა დაიცვას.

როგორც ვხედავთ – რუსული პროპაგანდისტული მანქანა თავის საქმეს აკეთებს და ჩრ. კავკასიელებს არამარტო ევროპაში, ჩვენც ეჭვის თვალით ვუყურებთ. მით უმეტეს, რომ გარკვეული მიზეზებიც გვაქვს. რუსეთის მიერ პროვოცირებული ე. წ. აფხაზეთის კონფლიქტის დროს, ოკუპანტმა მშვენივრად გამოიყენა ჩრ. კავკასიელთა არაინფორმირებულობა, საქმე ისე წარმოაჩინა, რომ ვითომ ქართველები ვჩაგარავდით აფხაზებს და მისდა სასიხარულოდ მოახერხა ჩრ.კავკასიელ მებრძოლთა ერთი ნაწილის საქართველოს წინააღმდეგ დაძვრა. სამწუხაროდ, ისინი გვიან მიხვდნენ რუსულ პროვოკაციას, რომ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლით – საკუთარი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძოდნენ და ჩაიდინეს ის, რაც ასორმოცდაათი წლის წინ ჩავიდინეთ ჩვენ ჩრ. კავკასიაში.

მაშასადამე, საფრთხე რომ კრემლი ჩრ. კავკასიელებს მის მიერ გაწვრთნილ ტერორისტებსაც მოაყოლებს, რა თქმა უნდა არსებობს. არც ის არის გამორიცხული, რომ მათ საქართველოში ტერორისტული აქტებიც მოგვიწყონ. ეს უსათუოდ გათვლილი იქნება საზოგადოებრივი აზრის შესაცვლელად. რომ აი, რა მოგვიტანა საზღვრების გახსნამ და ა. შ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს დეოკუპაციის დაჩქარება, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა – სწორედ, ჩრ. კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე იქნება ბევრად დამოკიდებული.

ერთიანი კავკასიის იდეა, – ის პოლიტიკური გზავნილია, რომელსაც კრემლი ყველაზე მეტად უფრთხის; ცხადია, რუსეთში მშვენივრად უწყიან, რომ აქ ერთიანი სახელმწიფოს შექმნაზე არ არის ლაპარაკი. მაგრამ კავკასიური სოლიდარობაც მათთვის ძირშივე მიუღებელია, იმიტომ რომ მთელ მის საოკუპაციო ძალისხმევას დიდ საშიშროებას უქმნის.

უვიზო რეჟიმი ნიშნავს, რომ საქართველოში შემოვა არამარტო ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობა, რომელიც წვრილმანი ვაჭრობით შეეცდება ხელის მოთბობას, არამედ ახალგაზრდები, სხვადასხვა წრის ინტელექტუალები. სურვილის შემთხვევაში, ჩრ. კავკასიელ აბიტურიენტებს, მათთვის ხელსაყრელი პირობებით საშუალება უნდა მიეცეს ისწავლონ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენთან განათლება მიღებული და უკან სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდა, როდესაც ჩრ. კავკასიის დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი – ას ტანკზე უფრო ეფექტურია.

საქართველო დღეს თავისი განვითარებით არ არის სრული ევროპული ქვეყანა. მაგრამ უკვე მიღწეულით მას შეუძლია, ჩრ. კავკასიელთა კოლონიური მდგომარეობის გათვალისწინებით, მათთვის სამაგალითო გახდეს. ამიტომ, იქიდან შემოსულ საზოგადოების გონიერ წარმომადგენლებს უსათუოდ გაუჩდებათ იმისი შეგრძნება, რომ დამოუკიდებლობის პირობებში მათთაც შეუძლიათ იგივე პროცესები თავიანთ სამშობლოში წამოიწყონ. რაც მათ მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნას მეტ სტიმულსა და მიზანდასახულობას მიანიჭებს. რა პასუხი ექნებათ კრემლში – არა! დამოუკიდებლობა მარტო ერთ მუჭა ოს და აფხაზ სეპარატისტებს ეკუთვნით, თქვენ არაო! ამას, რა თქმა უნდა, არავინ დაეთანხმება.

საქართველომ სწორი ნაბიჯი გადადგა (ამ ნაბიჯებით ვიდოდნენ ზვიად გამსახურდია და ჯოხარ დუდაევი) და ის საფრთხეები, რომელიც რუსეთმა შეიძლება გაათამაშოს იმისი საპირწონე ვერ იქნება, რასაც ჩვენ მივიღებთ, როდესაც ჩრ. კავკასიელთა დამოუკიდებლობისათვის შეურიგებელ ბრძოლას მთელი კავკასიისათვის სიკეთის მომტანი შედეგები მოყვება. საქართველო ვალდებულია და შეუძლია კიდეც ჩრ. კავკასიელებს ამ ბრძოლაში მხარში დაუდგეს. ამით ჩვენ იმ ისტორიულ შეცდომასაც გამოვასწორებთ, როდესაც რუს ოკუპანტებს, ჩვენდა საუბედუროდ კავკასიის დამოჩრილებაში ვეხმარებოდით.

**აკაკი ვარაზაშვილი**

# რა გვიხსნის, ანუ არჩევანის შემზარაობა

*„ქვეყანას გული გადაუბრუნდა“.*
*(აკაკი)*

არსებობს აზროვნების სხვადასხვა საფეხური. ყველაზე მძიმე მიწიერი კატეგორიებით ხედვა და სულიერი შეზღუდულობაა. დღეს, უბრალოდ პატიოსანი და სინდისიერი ადამიანი გაიშვიათდა. სანატრელია მასშტაბურად მოაზროვნენი, გადარჩენილი სული ხომ სხვასაც იხსნის. დაცოტავდა სიკეთის მქნელი. ჩამოდგა უხერხული დრო. ჩვენს სახარბიელოდ არ არის ჟამი. ამაოდ ვჭირისუფლობთ გალეწილ, მიწასთან გასწორებულ ქვეყანას.

აშკარაა ყველაზე საჩოთირო თემებზე გახსნილად საუბარი, რაც არც თუ უწყინარი მიზნით ხდება. უსუფთაო გულის ამბები სულს ამღვრევს. უზნეობის მოკიჟინე საკმარისზე მეტი აღმოჩნდა. ყველაზე ეგოისტურის გაფეტიშება ხდება. სამწუხაროდ, ქართველობა ხშირად ვერ ითვალისწინებს სადაა საზღვარი ჩვენისა და უცხოსი... დღევანდელი გაუცნობიერებლობა ხვალ სასჯელად გვექცევა. ლამის ტრადიციად იქცეს სხვადასხვა უწმაწურობა. ტაბუდადებული დღეს აღარაფერია, ეროვნული საქმის გარდა. მთლიანად წვდომადი და ნივთიერ–ხორციელი სახე მიიღო დღეს ყველაფერმა. თავს უხერხულად აღარავინ გრძნობს. მეტყველება–აზროვნებაც აქეთ მიდის – არაღირებულისკენ, არასულიერისკენ, გამარტივებისაკენ. სხვა ცნობადები გვყავდა, სხვაგვარად იდიდეს. ყოველთვის მიჭირს გავიგო ღრმად მიწიერი და უღირსი ამბები. ვის სურს გვაქციოს უნებელო საზოგადოებად?! დავივიწყეთ, რომ ყველაფერთან შეგუების პროცესი დამღუპველია. საქართველოს მოწამლული საკენკი შეატყუეს და ჭრის მისი მარცვლების ავბედითობაც. სკოლაში რელიგიაზე საუბარი აიკრძალა, პედაგოგის „ეთიკაც“ მკაცრად „განსაზღვრეს“. მანდატურები პედაგოგებსაც მეთვალყურეობენ. სხვადასხვა არხებზე უმანკოების წინააღმდეგ გადაცემებმა იმატა. ამ ინსტიტუტის გაუქმებაზეც მარდად ალაპარაკდნენ, ახმაურდნენ. დაიკარგა დროში პასუხისმგებლობის განცდა – ამ ამბავს როგორ შეხედავენ შემდგომ შვილები? აქ საუბარი არაა მეორედ ქორწინებაზე, სხვა რამის შემოთავაზება ხდება. და ამაში რა შეიძლება იყოს კარგი? მრავალპარტნიორობის ინსტიტუტი მისაღებია? ბედის განზრახ გაფუჭება და გვირგვინახდილობა რით გამართლდება შემდგომ? ქორწინება ხომ ერთ–ერთი საღვთო საიდუმლოა. „ქართული მიდგომაც“ კარგად დაამუნათეს, გამოირიცხა თავშეკავების ლამაზი შესაძლებლობა, სიყვარულის იდუმალება–მიუწვდომლობის მთელი ხიბლი. „ოდეს ტურფა გაიაფდესო“ – თქვა დიდმა წინაპარმა. განა შეიძლება უდიერი დამოკიდებულება ასეთი მიდგომებისადმი? ერთი გენიოსისა არ იყოს – „ზოგჯერ საუკუნეც ცდება“. დასავლეთიდან მტვრიანმა ქარმა დაუბერა. ყველას უნდა ჰქონდეს „თავის საუკუნესთან ბრძოლის უნარი“, როგორც ითქვა ჭკვიანი მოღვაწისაგან. ემილ ზოლა – კლასიკოსი მწერალი სწორედ ამას გულისხმობდა, როცა წერდა: „ეს, გასართობები, რომლებმაც ქალების უმეტესი ნაწილი უფრო გარყვნეს, ვიდრე გამოასწორეს“. მახსენდება მისი რომანი „ფული“, სადაც სწორედ ფულის გიჟური მოთხოვნილება გაამათრახა და იწინასწარმეტყველა, რომ „მომავალი კაცობრიობის სასუქი ფული“ იქნებოდა. მან კარგად შენიშნა, რომ „ვინც სიმდიდრე დაყნოსა დამპალი ვაშლებივით აფუჭებენ ერთმანეთს“. ვეთანხმები, რომ „ზოგ წრეში დაუსჯელად ვერ იცხოვრებს ადამიანი“, რომ თუ რწმენით იპყრობდნენ, ახლა „ფულით დაიპყრობენ“, ცხადია, ასეთი არსებობა ვერ გასცდება ამქვეყნიურის საზღვარს, ამაზეც ცოტა ფიქრობს... მომრავლდნენ ფულის კაცები, კუჭის კაცები, მაგრამ სულის კაცები სადღა არიან? ვინ ვისი ალაგი მოიკავა? აქვე ადუღებენ სამერმისო კუპრს. ხომ არსებობს ისეთი რამეებიც, რაც არ ექვემდებარება დროს? ადამიანის სულის მოშლა და გაფუჭება არავის ეპატიება თუმცა იგი ყოველთვის ისეთია როგორიც თავად უნდა რომ იყოს, მაგრამ ჩვენ რისკენ ვუბიძგებთ? რას ვთავაზობთ? სულხან–საბა ცოდვას ასე განმარტავს:

„ცოდვა ბუნების გარეგანი – სოდომური.

ცოდვა შემთხვევითი – ანაზდეული ქმნილი და არა ჩვეულებითი.

ცოდვა ჩვეულებითი – შეჩვეული და მრავალგზის ქმნილი“.

სწორედაც, ცოდვა „შემთხვევითი“ ცდილობენ ჩვეულებითი გახადონ. დღეს მოწოდების სიმაღლეზე არ დგას არავინ! ეტყობა, ევროპისკენაც ძალიან ბნელი დერეფნებით მივდივართ. მორალური ულონობა დაგვღუპავს. ერთ–ერთ გადაცემაში იმაზეც იყო ბჭობა, (ეკა ხოფერიას გადაცემა), რუსულენოვანი ძიძა უფრო სახარბიელოა, თუ ინგლისურენოვანი. ხდება სულიერი ცოდნის გაქარწყლება და არც დამცავი ფაქტორი არსებობს, აღარც იდეასთან განმარტოებული გმირები გვყავს, დროის ურჩობა ფატალიზმად რომ ექცეოდათ და გაქვავებულ ყოფას რომ ებრძოდნენ მარტომხედრები. ცნობიერება არ სურთ იმ მადლამდე მიუშვან, თუ სულის სასარგებლო რაა. მკვიდრდება ვარსქენის სინდრომი – უსირცხვილობის, ცქირების ბნელმოქმედება ახლაც გვიტევს და არ არსებობს სხვა ხვედრი, ამის საპირისპირო... ყველაზე მდაბიო და სათაკილო ქვეენაინსტინქტებია წახალისებული. მოდი და ისევ ემილ ზოლა არ გაიხსენო – „ბრიყვები კი უფრო ზევით იწევენ, რათა უფრო მაღლიდან დაეხეთქონ ძირს“. მუდამ ასე იყო, ერთი ხელი რომ კულტურას ქმნიდა და სანთელს ანთებდა, პირჯვარს იწერდა, მეორე – უღირსის ხელი ეკლესიებიდან ჯვარს ხსნიდა. ესეც კოშმარული სინამდვილე იყო! დიდი ერისკაცებიც ასეთმა ხელმა მოკლა! ცხოვრება ყოველთვის ნამდვილ გმირებს ეჯიბრება. სამშობლოს საკურთხეველთან ეცემოდნენ დაფლეთილი რაინდები. ამ თავგანწირვაში იყო გადარჩენის ნიშანი. მათ ჰქონდათ ცხოვრებასთან ომი და იცოდნენ ღირსების ფასი. არ ისურვეს არსებობა ჭაობში. ბრიყვთა აღზევებაში კი სიკვდილის ნიშანი მალავს თავს! სამწუხაროდ, არც ზნეობის მტერს ჰყავს მძინარე აუდიტორია, ის მოქმედებს! ინგლისურენოვანი ძიძა კარგ რამეს კი ასწავლის ჩვენს შვილებს; აი, სადამდე მივიდა საკუთარის უარყოფა და სნობიზმი. ჩვენი „შორსმჭვერეტელობა“ უცხოეთის საზღვრებს აღარ სცილდება ამადაც... ზოგიც ასე აღზევდა და მისი გონება–ქონებაც ასე დამმობილდა. გონება ქონებისათვის გაცვითეს...

არსებობა ითვალისწინებს თანამოძმეთა და ქვეყნის




ხვედრის გაზიარებას; ღალატის გზა კი დაღუპვის გზაა, აქ ჩანს გარდაუვალი სიკვდილის ცნება, რომელიც თანსდევს ღალატს. არა და დღეს ყველგან ღალატობენ რაღაცას – ზნეობას, ადამიანობას, მოყვასის სიყვარულს და ა.შ. ღალატი სიკვდილის აქტია და სამუდამო დავიწყება. ამის სარწმუნოდ დიდ ერისშვილსა და ბუნების მგოსანს ვაჟას მოვუხმობ. ბუნება არ თანამონაწილეობს წიწოლას – „უჯიშო, სირცხვილიანის“ ტრაგედიაში, ბუნება არ იზიარებს მის სიკვდილს. მისთვის მთელი გარემოა გაქვავებული, არ უთანაგრძნობს ცოცხალი სამყარო – ღამეს სძინავს, მთვარე ჩასვენებულა, იორი ყურსაც არ უგდებს. არაფერი არ უშლის ხელს, რომ გადააფიქრებინოს ბნელი ზრახვა. ხეზე თავის ჩამოხრჩობა – ესეც ღალატის სიმბოლო, (იუდამაც ხეზე ჩამოიხრჩო თავი), ესაა ფეხშეშლილი კაცის ხვედრი!

განა ამაოდ გვაფრთხილებენ გენიოსები?! სულმოკლეობა და სიხარბე ზნეობის ადგილს იჭერს. ვიღაცა მავანის ლუკმას ითვისებს, სხვა – თბილ ადგილს, ზოგი სულს ამახინჯებს; მოყვასს სწირავენ სასიკვდილოდ, საშიმშილოდ, მარტოობისათვის...

ყოველგვარ მამულიშვილურ გამოვლინებას თავის მომაკვდინებელიც ჰყავს. ისევ ვაჟას გავიხსენებ – ალეგორიულ მეტაფორას იისა და გველის. იაში მამულიშვილი იგულისხმება, იას ზიანს აყენებს გველი, მაგრამ ვერ სპობს, საწამლავი არ კლავს მას. მაგრამ ცხოვრებაში ვაი, რომ ჭრიდა ხშირად შხამი. სამწუხაროდ, ეს მშვენიერი ლექსი „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“ მისაღები გამოცდებიდან ამოიღეს. ისიც მინდა ვთქვა, რომ ღალატი არ იყო ქართველთა ორგანული თვისება, ამიტომაც იშვიათია ისტორია – ლიტერატურაში მაგალითები ამისა, რაც რუსეთმა მოიკიდა ფეხი, მერე გამრავლდა ეს ცოდვა. ბევრზე ჭრიდა მოსყიდვა და თანამდებობრივი ბანგი. მაგრამ მისი შავი ბილიკი მოკლეა. დღეს ყველაზე მეტად მოგვერია გარემო, ახლა გვჭირდება თუნდაც არა გამორჩეულობა–განსაკუთრებულობა, უბრალოდ ადამიანობა! წმინდანებს ადრე „მოარულ ეკლესიებს“ ეძახდნენ, კვლავ გვინდა ასეთი მადლით დაძრულნი! გვიტევს ადამიანობის საზიანოდ ტელევიზია, პრესა, კომპიუტერი, რა აღარ შემოგვასაღეს... ფული გახდა ღერძი ცხოვრებისა, ახალგაზრდობის მთავარ სურვილადაც ის იქცა. ფული, „რომელიც სისხლზე მაღლა, ცრემლებზე მაღლა დგას და უსაზღვრო სიძლიერის გამო ადამიანურ სინდისზე მეტად უყვართ!“ (ემილ ზოლა). ამაზე დიდი რაღა შეიძლება თქვას მწერალმა! მაგრამ ასეთი მორალური ცნებები როდი გვიჯდება გვამში! დღეს ჟურნალისტები ნადირობენ სულზე, არჩევანიც აღარ კეთდება სიკეთის სასარგებლოდ, რისი პოპულარიზაციაც ხდება, კარგად უწყის საზოგადოებამ. სულიერი ცხოვრების გზაზე სადღაც შევდექით და ცუდ დროს შევისვენეთ! სულში ბიწიერი ნაკადი იჭრება. ზნეობრიობა ირონიის საგანი ხდება. გამოვუდექით ამაო ცხოვრებას. ყველგან თავს მალავს წუმპე. სიცარიელე შემოგვესაზღვრა. დროის სიჭრელე–სისულელე თვალშისაცემია. ზნეობრივ და სულიერ საკითხებს ამდენი შემდავებელი არასდროს ჰყოლია. ურცხვმა სითამამემ ყველაფერს გადააჭარბა და გადაუარა. გვავიწყებენ წამზომის სიჩქარით მოარულ დროს და აღარც შორეთი გვახსოვს. სხვა პროგრამა შედის ფსიქიკაში. ეს ხომ თვითსიკვდილია. რას ვუცქერთ დაყურსულები?! მთელი საქართველო უძალო ბრინგად იქცა და აღარც უცხო საწყისის აღზევებას ვებრძვით. ხორცი გახელდა და სული ჩაცხრა, ჩაინავლა. აღარ გვახსოვს რომ „დაუძინებელ არს ეშმაკი ბოროტისათვის“, მომრავლდნენ ისეთნი – „ეშმაკნი რომ დამკვიდრებულ არიან მათ შინა“! („სიბრძნე ბალავარისა“), „რომელნი ეძიებენ აქა სიმდიდრესა, მდიდარ თუ იყვნენ, გლახაკვე არიან გონებითა და ვერ განძღებიან“, „რომელმან მოიგონ აქა პატივი, მუნ ჰპოვონ შეურაცხებაი“, ხოლო ყოველივეს დაღუპავს ის, ვინც „თავისასა ეძიებს და არა კაცთასა“; „სიყვარულსა არა აქვს საზღვარი“, ამიტომაც მისთვის უნდა „დაუტეო გახრწნადი“ ზღვარდებული ქვეყანა – „ეს სიბრძნე ბალავარისას“ ძვირფასი შეგონებებია და ყველას ვთხოვ მის წაკითხვა–შესწავლას. სამწუხაროა, რომ სკოლაში არ ისწავლება ეს უძლიერესი ნაწარმოები, რომელშიც საოცარი იგავებია. ცხოვრების არსსა და სულიერი მიმართულების სწორად ძიებაზეა ის დაწერილი. ერთ–ორ გრანდიოზულ ადგილს სულიერი ზრდისა თუ უწლოვანობის შესახებ, ასევე საცდურზე გავბედავ და მოვუხმობ. ჭეშმარიტება ყოველგვარ დახშულ კარს აღებს, ასე მოხვდა ცხოვრების შეჭირვებებს გარიდებულ უფლისწულთან ქრისტიანი ბალავარი. ამცნო სიბრძნე და როცა ასაკი იკითხა მან, მიუგო – თორმეტისა ვარო. გაოგნდა უფლისწული, ხედავს რომ ის სამოცზე ნაკლების არაა და პასუხიც არ დააყოვნებს – „დაბადებით სამოცისა ვარ, მაგრამ როდესაც ღმერთს გაუსაკუთრე თავი ჩემი, ათორმეტი წელი არს, რამეთუ წინათ მკვდარი ვიყავ და ათორმეტი წლითგან ცოცხალ ვარ“. სიბრძნესნაზიარები მადლობის ნიშნად სიმდიდრეს სთავაზობს – შენს სულიერ ძმებს წაუღეო და საოცარი პასუხი უფლისშწულის კეთილ ქმედებაზე – „როგორ მივართო გესლი, რომელი აღაშფოთებს გონებასა“, მაშინ უფლისწულმა თავად ითხოვა ძაძის სამოსი და გლახაკივით შეიმკო. რამდენი ყოფილა უწლოვანი თუ სულიერად მკვდარი და „გესლში“ მყოფი ამ სიბრძნის მიხედვით. სწორმოქმედების წიგნია ეს.

ესა თუ ის „არჩევანი“ რაღა გასაკვირია, როცა ხედავ მცდარი გზით თავიდან წასულ კაცობრიობას და არსებობს არჩევანის დიდი შემზარაობა – როცა ბარაბა–ავაზაკი არჩიეს თავად ღმერთს. მერეც არა და არ გასწორდა შეცდომა. არა ერთხელ წავედით უღირსი გზით. არც ზვიადის მოწოდება შეისმინა ყველამ – ხელმეორედო ნუ დაადგებითო ბარაბას გზას! სიბრძნეს მაშინაც აქციეს ზურგი! ტვინშია ყველა სასიცოცხლო ფუნქცია, ძალა და სწორედაც ის მოაძაბუნეს!

მოდი და მწარედ ნუ გაიხსენებ აკაკი წერეთლის მოხმობილ იგავს, რომელიც ერთ–ერთ წერილში დაიმოწმა: „ეშმამ გუთნეული გააბა და ხვნა დაიწყო – შეხედა ბეჩავმა ხალხმა და თქვა – ბიჭოს, ე ჩვენი ეშმაკი არკი მორჯულებულა და კეთილი ხელობა დაუწყიაო. შეეშველნენ, ზოგმა სახრე მიაწოდა, ზოგმა „ხიო“ მიაძახა (იგულისხმება გამხნევება), ზოგი წინ წაუძღვა, ზოგიც უკან მიჰყვა და ა.შ. დახნა ხელ–შეუშლელად, დათესა და გაქრა. გავიდა დრო, ამოვიდა თესლი, დამწიფდა. მაგრამ თქვენს მტერს! სულ ნარი და ეკალი! მაშინ კი შექმნეს ღრიალი – ეს რა მოგვივიდა, რატომ არ ვიცოდით, რომ ის საკეთილოდ არას დახნავდა და სასარგებლოს არას დათესავდაო“.

ასე გვემართება ხოლმე ხშირად! აქ ქართველების ტრაგიკული მიამიტობა იკითხება! ჩემს წერილებში ხშირია მაგალითები, იქნებ ჩემზე ბევრად დიდ ავტორიტეტებს მაინც ერწმუნონ! თვითაღდგენა ხომ სწორი თვითშეფასებიდან მოდის. მორალურად გამართულ ადამიანზე მშვენიერი რაა! მაინცდამაინც სიმართლის გზაზე გვისხლტება ფეხი... ბოროტება ყოველთვის არაა პირდაპირი, ის ზოგჯერ შეფარვით მოქმედებს, ამიტომაცაა საშიში; ნუ დავექვემდებარებით იმას, რომელიც „ლტოლვილად ცათაგან“ იწოდება და თვით ღმერთმა გააძევა!

დღეს ყველა ერთის წინააღმდეგაა – ზნეობის, მათგან განსხვავებულნი კი სადღაც მიგვჩეხეს!..

**ლალი ბარძიმაშვილი,**
*ფილოლოგი*

# 1790 წლის „ივერიელთა ერთობის ტრაქტატის“ ტექსტის სემანტიკური ანალიზი

## (ყოველნი ივერიელნი; ზემო და ქვემო ივერიის ქვეყანანი; ერთისა ენისა მქონებელნი; მავასხებლობითი/მავასხელობითი სიყვარული)



**პროფ. ტარიელ ფუტკარაძე**
*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის სრული პროფესორი*

თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო და საინფორმაციო სივრცეში, არაიშვიათად, არასწორადაა წარმოდგენილი საქართველოს ენობრივ-ეთნიკური ისტორია. ბოლო პერიოდში კი განსაკუთრებით გახშირდა **ქართველთა ერთი ნაწილის** (მეგრელების, ლაზების, სვანების, მესხების...) **არაქართველებად გამოცხადება.** საწუხაროდ, ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ისტორიას არასწორად წარმოადგენს ზოგი ქართველი მეცნიერიც*.

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო ცნობილი ქართველი ისტორიული მოღვაწეების სამეცნიერო პოზიციების გაყალბებაც; მაგ., 1997 წელს გამოქვეყნდა **პეტრე ჭარაიას** მიერ 1910 წელს შექმნილი **მეგრული სალექსიკონო მასალა;** ქართველმა რედაქტორმა და გამომცემელმა დიდი შრომა გასწიეს, მაგრამ, რატომღაც, არ გაითვალისწინეს გარდაცვლილი ავტორის პრინციპები და დიდი მოღვაწის ნაშრომს დაარქვეს **მეგრულ-ქართული ლექსიკონი; არადა,** პ. ჭარაია თვლიდა, რომ მეგრული ქართულის დიალექტია.

ანალოგიური „შეცდომა“ იქნა დაშვებული 2007 წელს გამოცემულ **ბესარიონ ნიჟარაძის** ლექსიკონშიც: ბესარიონ ნიჟარაძემ 1888 წელს შექმნა ორენოვანი ქართულ-რუსული ლექსიკონი, სადაც ქართულ ფორმებს მიწერილი აქვს ბალსზემოური კილოს სალექსიკონო მასალაც. ბ. ნიჟარაძე სამართლიანად თვლიდა, რომ **სვანების დედაენა ქართულია,** მაგრამ გამომცემლებმა ეს არ გაითვალისწინეს და ლექსიკონს უწოდეს: **სამენოვანი ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი...**

ამ ფონზე არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობის ობიექტურად წარმოჩენას და ქართველთა აკადემიური ენობრივ-ეთნიკური ისტორიის გავრცელებას საზღვარგარეთაც.

ქართველთა ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის ისტორიული დინამიკის წარმოსაჩენად დღეს ჩვენ წარმოვადგენთ 1790 წელს შექმნილ „ივერიელთა ერთობის ტრაქტატის“ ტექსტის ძირითადი ცნებების ანალიზს.

ტრაქტატის სრული დასახელება ასეთია:

**„ტრახტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, საზოგადოსათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეუფოისა ქალაქსა ტფილისს 1790 წელსა“.**

ტრაქტატი მოიცავს შესავალ ზოგად ნაწილსა და ოთხი ქართული სამეფო-სამთავროს პირველი პირების მიერ შექმნილ 4 დოკუმენტს; კერძოდ, შესავალ ნაწილში ვკითხულობთ:

„ვინაიდგან (ვინათგან) ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთმორწმუნება (ერთმორწმუნეობა), არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხებლობითიცა (მავასხელობითიცა) სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენებულთა (ზემოხსენებულად) ქვეყანათა ივერიისათა (ივერიისა) მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა, სახელითა ყოვლად ძლიერისა ღმრთისათა, აღუვსთქვამთ (აღვსთქვამთ) მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თითოეულად შემდგომთა ჰაზრთა ცხად იქმნების“ (ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 501-507).

ამ შესავალ ნაწილს მოჰყვება „ტრახტატი პირველი“, რომელსაც ხელს აწერს **ერეკლე –** მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა, ასევე: დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა **დარეჯანი,** საქართველოს **კათოლიკოსი ანტონი** და ვიცე-კანცლერი **სოლომონ ლიონიძე.**

მოვიყვანთ ერთ ამონარიდს ერეკლე მეორის ტექსტიდანაც:

„აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამდებობითა (/თანავალდებულებით – ტ.ფ.) თვით ძეთა ჩემთა, თავადთა **საქართველოსათა,** კეთილშობილთა და საზოგადოთა ერთა, სჯულუდებ საუკუნოდ **ერთგვამად შეერთებასა** ამას **ქვემოისა ივერიისა თანა** და ვამცნებ ყოველთავე, ვითარცა სჯულთა ზედა ეკლესიურთა. იყავნ ესრეთ!“

ერეკლე მეორის ტრახტატის მონაცვლე დანარჩენი სამი „ტრახტატი“ ეკუთვნით იმერეთის მეფე სოლომონს, ოდიშისა და სხვა სამთავროთა **მთავარს გრიგოლ დადიანს** და გურიის **მთავარს სიმეონს.** თავის მხრივ, ისინიც აცხადებენ, რომ **ერთ სხეულად ერთიანდებიან ზემო ივერიის ქართველებთან.**

წარმოდგენილ ციტირებებში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე ცნებაზე:

- ყოველნი ივერიელნი;
- ზემო და ქვემო ივერიის ქვეყანანი;
- ერთისა ენისა მქონებელნი;
- მავასხებლობითი/მავასხელობითი სიყვარული;
- ერთგვამად შეერთება.

---

მაგ., ნოდარ ლადარიას მიერ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში: „სოციოლინგვისტიკა“ (თბ., 2002 წ.) ვკითხულობთ (გვ. 22-23): „მეგრელმა კითხვარის გრაფაში – „დედაენა“ უნდა ჩაწეროს მეგრული ენა და არა – ქართული ენა“.

### ყოველნი ივერიელნი.

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ ოდითგანვე ტერმინი **„ქართველი“** აღნიშნავდა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ხევი, ჰერეთი), ასევე, დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთი, ოდიში ანუ სამეგრელო, იმერეთი, გურია) და სამხრეთ საქართველოს – ლაზეთისა და ისტორიული მესხეთის (სპერი/ისპირი, აჭარა, ლაზეთი, ლივანა, შავშეთი, ტაო, ერუშეთი, სამცხე, ჯავახეთი) ისტორიულ, ავტოქთონ მოსახლეობას.

1555 წელს ამასიის ზავით ოსმალეთისა და ირანის მიერ საქართველოს გაყოფის შემდეგ ვიდრე 1790 წლამდე, ტერმინი „საქართველო“ დაკნინდა ოდენ აღმოსავლეთ საქართველოს, ზოგჯერ კი საკუთრივ ქართლის პროვინციის აღსანიშნავად. სამაგალითოდ მოვიყვანთ ერთ ფრაგმენტს თავად ერეკლე მეორის „განწესებიდან“:

„განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვისდამი სამეფოისათვის საქართველოისა“: „ის განწესებაები, რომელნიც ქვეით დაიწერება ჩემის სახელისა და საქართველოს დიდთა და მცირეთათვისა, ისინი სრულებით უნდა მიიღოთ და ჩემმა შვილებმაც და შვილიშვილებმაც და საქართველოსა და კახეთისა ერთა...“ (ქართული სამართლის ძეგლები, 1965, გვ. 509).

პარალელურად, ერეკლეს დროს „ქართველი“ დამცრობილი იყო მხოლოდ ქართლელის აღმნიშვნელად. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ერეკლე მეორის ტექსტებში გამოყენებული სიტყვა „საქართველო“, ხან ქართლის სამეფოს, ხან კი ერეკლეს სამფლობელოს – ქართლ-კახეთს აღნიშნავს.

**სოლომონ ლიონიძის** ინიციატივით შექმნილი ტრაქტატის ხელმომწერებმა კარგად იცოდნენ, რომ ერთი ისტორიის, ერთი ენისა და ერთი სისხლის მქონენი იყვნენ, ამიტომ ბუნდოვნებისგან თავის დასაღწევად გააქტიურეს უცხოურ წყაროებში საქართველოსა და ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინები: **ივერია** და **ივერიელნი**.

ქართველები თითქმის მსგავს სიტუაციაში ვართ დღესაც, ვინაიდან საერთაშორისო ველშიც და ქართულ სამეცნიერო თუ საინფორმაციო წრეებში ერთმანეთისგან იმიჯნება „ლაზი“ და „ქართველი“.

დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტერმინების: „ივერიელი“ და „ივერია“ გააქტიურებამ მომდევნო საუკუნეში თავისი ისტორიული მნიშვნელობა და არსი დაუბრუნა ტერმინებსაც: **„საქართველო“** და **„ქართველი“**.

### ზემო და ქვემო ივერიის ქვეყანანი.

1790 წლის ტრაქტატის ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ივერია (=საქართველო) იყოფა ორ ნაწილად: ზემო ივერია და ქვემო ივერია. **ზემო ივერიაა** აღმოსავლეთ საქართველო – ქართლ-კახეთი და ერეკლეს სხვა სამფლობელოები. **ქვემო ივერია** არის იმერეთის სამეფო, ოდიში (დღევანდელი სამეგრელო) და დადიანის მმართველობას დაქვემდებარებული სხვა სამთავროები (იგულისხმება აფხაზეთის ნაწილი, სვანეთი, ლეჩხუმი) და გურია.

ცალკე მსჯელობის საგანია ტერმინი „ქვეყანა“. მსგავს კონტექსტში „ქვეყანა“ გვახსოვს ცნობილი ფორმულიდან: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების...“. გამოთქმა „ფრიადი ქვეყანა“ აქ ნიშნავს მრავალ ქვეყანას, მრავალ მხარეს, მრავალ სამეფო-სამთავროს, რომელსაც აერთიანებს ერთი ენა, ერთი საერთო წარსული და ერთი სახელმწიფოებრივი ისტორია. ასეა ტრაქტატის შემთხვევაშიც ფრაზაში: „ჩვენ, ზემოხსენებულთა **ქვეყანათა ივერიისა** მეფენი და მთავარნი“ **ქვეყანანი ივერიისა** ნიშნავს ერთი სახელმწიფოს – ივერიის – შემადგენელ ნაწილებს, ივერიის მხარეებს; კერძოდ: ქართლს, კახეთსა და ერეკლეს სხვა სამფლობელოებს; ასევე, იმერეთის სამეფოს, ოდიშს და დადიანს დაქვემდებარებულ სხვა მხარეებს (იგულისხმება აფხაზეთის ნაწილი, სვანეთის ნაწილი, ლეჩხუმი) და გურიას.

აქვე აღვნიშნავ, რომ ტერმინი „ივერია“, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სარწმუნო მტკიცებით, წარმოიშვა ერთი ქართული პროვინციის სახელისგან – „სპერისგან“. 1790 წლის ტრაქტატზე ხელმოწერის დროს ეს ქართული პროვინცია უკვე ოსმალეთის მფლობელობაშია საქართველოს ისტორიულ ნაწილებთან – ლაზეთთან და ისტორიულ მესხეთთან (სამცხე-ჯავახეთთსა და ტაო-კლარჯეთთან) ერთად. ამჟამად საქართველოს დაბრუნებული აქვს ისტორიული მესხეთისა და ლაზეთის მხოლოდ მცირე ნაწილი, ხოლო მაჭახლის ნაწილი, ლივანა, შავშეთ-კლარჯეთი, ამიერ და იმიერ ტაო, ერუშეთი, სპერი და ლაზეთის დიდი ნაწილი ამჟამინდელი თურქეთის შემადგენლობაშია.

### ერთისა ენისა მქონებელნი.

მე-18 საუკუნის დასასრულის ქართველ ხელისუფალთა ტექსტებში ჩვენთვის მთავარი ფრაზაა: **„ერთისა ენისა მქონებელნი“.** გასაკვირია: ის მკვლევარნი თუ დაინტერესებულნი პირნი, ვინც დღეს ქართველთა რამდენიმე ენას ასახელებენ და მეგრელ-სვანთა დედაენად ქართულს არ თვლიან, რატომ უწევენ იგნორირებას ამ დოკუმენტში დაფიქსირებულ საყოველთაო პოზიციას? არ მგონია, რომელიმე თანამედროვე პირმა თუ მკვლევარმა უფრო კომპეტენტურად განუსაზღვროს დედაენის სტატუსი 220 წლის წინ ტრაქტატის ხელმომწერ გრიგოლ დადიანსა თუ მეფე სოლომონს.

### მავასხებლობითი/მავასხელობითი სიყვარული.

220 წლის წინანდელი ტრაქტატის ხელმომწერი **„ერთისა ენისა მქონებელნი“ ზემო და ქვემო ივერიის მეფენი და მთავარნი** ალბათ მაშინდელი თუ გვიანდელი „სკეპტიკოსებისთვისაც“ საუბრობენ ივერიელთა ერთიანობის სხვა არსებით საფუძველზეც; კეძოდ, ისინი წერენ: **გვაქვს „მავასხებლობითიცა (მავასხელობითიცა) სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის“.**

აქ საკვანძო სიტყვაა: **მავასხებლობითი,** რომელსაც ხელნაწერებში უდასტურდება მეორე ვარიანტიც: **მავასხელობითი.**

ამოსავალი ფუძეა **„ვასხება“,** რომელიც ძველ ქართულში **„სესხებას“** ნიშნავს; საეკლესიო მწერლობიდან დავიმოწმებ ორ წინადადებას:

**„ავასხებდე** შენ ნათესავთა მრავალთა, ხოლო შენ არ ივასხებდე“;

**„ივასხის** ცოდვილმან და არა მიაგის“...

სიტყვები: მიმღეობები: მა-**ვასხ**-ელ-ობ-ით-ი და მა-**ვასხებ**-ლ-ობ-ით-ი ეყრდნობა **ვასხ-** ზმნური ფუძის თემისნიშნიან და უთემისნიშნო ვარიანტებს და არსებითად ერთი და იმავე შინაარსისანი არიან. „ტრაქტატის“ მოცემულ კონტექსტში ორივე ფორმა ღრმაშინაარსიანი მეტაფორაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს „სისხლისმიერი ნათესაობის“ გამო სამუდამო „სესხით“ ანუ სამუდამო ვალდებულებით **ერთმანეთთან მარადიულად დაკავშირებულ საზოგადოებას – ერთგვამად, ანუ ერთ სხეულად შეკრულ საზოგადოებას;** მაშასადამე, მავასხელობითი სიყვარული – ურთიერთვალდებულებითი სიყვარული.

აქვე შევეხები **გვამ-** სიტყვის ისტორიასაც:

არქაულ ქართულში „გვამი“ ნიშნავდა ქარქაშს, სხეულს, ორგანიზმს. XVII- XVIII საუკუნეებში „გვამს“ ორგვარი სემანტიკის მქონედ წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანი:

**გვამი** – პირი, ხატი;

**გვამი –** „სულისგან შეზავებული ხორცი“ ანუ ადამიანი.

თავად ერეკლე მეორე იყენებს ტერმინს: **სამგვამოვანი ღმერთი: კერძოდ,** 1791 წელს ერეკლეს მეორის მიერ განახლებულ და ხელმოწერილ დოკუმენტში: „განწესებანი საქართუელოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვისთადმი სასამეფოისათვის საქართველოისა“ ვკითხულობ: „სახელითა **ერთარსისა და სამგვამოვანისა ღმრთისა** მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა ვსწერ მე, მეორე ირაკლი ბაგრატოვანი...“ (ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 507).

**ამრიგად, 220 წლის წინანდელ დოკუმენტში ქართველი მეფე-მთავრები აცხადებენ, რომ ისინი, ენით, სისხლით, ისტორიით ერთნი და ერთი ეკლესიის შვილები ისევ ერთიანდებიან ერთი სულის მქონე ერთ სხეულად.** ვფიქრობ, საინტერესოა პარალელის გავლება ერთი მხრივ, ქართველთა ერთიანობის ისტორიულ ძეგლში – **1790 წლის ტრაქტატში – წარმოდგენილ ივერიელთა ერთობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებსა** და **მეორე მხრივ, ერის** ტრადიციულ და **ეთნოსის** თანამედროვე დეფინიციებს შორის.

1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, გარეშე ძალები ისევ გააქტიურდნენ საქართველოს დასანაწევრებლად და ქართველი ერის დასაშლელად. სწორედ ამიტომ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ინება, შექმნილიყო იბერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატი, რომლის სათაურიც ასე ჟღერს: **„ღვთისმშობლის წილხვედრი სრულიად საქართველოს და ყოველთა ივერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატი (2009-2010 წწ.).**

სასიხარულოა, რომ მას ყველა ქართველი და საქართველოს მოქალაქე დღემდე აწერს ხელს და ასე ადასტურებს თავის ერთგულებას ქვეყნისა და ერისადმი...

# ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

## რომანტიკოსი პოეტი, რომელმაც გარდაცვალების თარიღი წინასწარმეტყველა

*ჯემალ ბოლქვაძე — წარმატებული სტუდენტი და პერსპექტიული ახალგაზრდა — 2008 წლის 11 დეკემბერს, საკუთარი მანქანით ავტოკატასტროფაში დაიღუპა. იგი მხოლოდ 19 წლისა იყო. ავბედითი 11 რიცხვი, მის ლექსებში, ნიშანდობლივ თარიღად დომინირებს. ვარდებისა და მუსიკის ტრფიალმა (ყველა დასაკრავ ინსტრუმენტზე უკრავდა) ახალგაზრდა პოეტმა, ერთ წინასწარმეტყველურ ლექსში თავისი გარდაცვალების სურათ-ხატიც აღწერა. იგი, რომელიც ხალისით ერთვებოდა ყოველი ახალი წლის სამზადისში (როგორც დედამისი თამარ ხელაშვილი იხსენებს), დამდეგ წელს უჩვეულო გულგრილობით თუ იდუმალი სევდით ხვდებოდა, თურმე. თოვლის მოლოდინსაც წინასწარმეტყველურად შეუკრთია: „როგორც-კი მოთოვს, მანქანას გარაჟიდან აღარ გამოვიყვანო“, იდუმალი ხმით უთქვამს დედისთვის. იმ დღეს, მხოლოდ უწვიმია. 19 წლის ჯემალი, სასიძოსავით საგანგებოდ გამოწყობილი გასულა იმ დღეს (როგორც სურათშია). თოვლი კი მისი დაკრძალვის დღეებში მოვიდა. უთუოდ გრძნობდა, რომ ეს ზამთარი ტრაგიკულ აღსასრულს უმზადებდა. და ის დამდეგი ახალი წელიც არ იყო მისი...*

*ალბათ, ისიც ნიშანდობლივია რომ, იმ უცხო მძღოლმა, რომელიც ახალგაზრდა პოეტს დაეჯახა და თავადაც მძიმედ დაშავდა, ზუსტად 1 წელი, 1 თვე და 11 დღე იცოცხლა.*

*არის, არა თანხვედენა ბედისწერის რიცხვში?! (რედ.)*



* * *

წვიმა... დანიშნული ფანჯრები... ჩუმი, ჭაპჭაპა წვეთები...
გზა უსასრულო... ცა პირშეკრული... ჩაფიქრებული
სივრცე, სიცივე და სიცარიელე...
მზერა განაბული, გულები გადაბმული... ფიქრი ჩახლართული...
თვალი
დანამული...
სიტყვები არეული... გრძნობები ფარული...
ჩუმი ვნებები... შეხვედრები და განშორებები...
ცხელი ბაგეები... თვალთა უპეები...
უაზრო დღეები..... ფუჭი ოცნებები, მერე კი ხელები, კვლავ ცივი
ხელები...
ტირილი, კივილი, მოთქმა და ჩივილი...
შავი სატირა და თეთრი აბრეშუმი...
წითელი ვარდები...დარდები, დარდები.
თვალი დახუჭული, სუნთქვა გაყინული, ბიჭი ჩაცუცქული... გოგო
განაბული...
კუბო გალაქული და ფიცი ფარული...
მერე კი სინანული, უხმო სინანული, მაგრამ სატანისთვის დიდი
სიხარული...
მერე გასვენება, მიწაში ჩასვენება.... თვალების დასველება,
წარსულის
გახსენება...
გული გატეხილი, ხიდი ჩატეხილი...
ღელვა, ქარტეხილი, ბიჭი მარტოდ-მარტო, ობლად დარჩენილი...
თეთრი ღამეები, უაზრო დღეები...
დარდები ღვინოში ჩაკლული.......
ბიჭი ოცნებით ჩაგრული...
სანთლები, ხატები, მოვლილი ტაძრები... ფიქრები მტანჯველი.
წარსული.
ლამაზი, წარსული,
უგულო აზრები... წუთების ზლაზვნები...
სურვილი შეხვედრის, შეხების აზრები...
სიზმარში ნანახი თეთრი საპატარძლო...
ბეჭდები გაცვლილი, ყანწები დაცლილი...
ხელები გაშლილი... მერე კი გატაცება პატარა ბავშვივით....
მაგრამ ეს ოცნებაც უეცრად ჩაშლილი...
გრძნობები აშლილი... ფურცელი გადაშლილი.. სიტყვები წაშლილი,
მაგრამ სიყვარული...
არასდროს დაშლილი... და ბოლოს ლოდინი... უსაზღვრო ლოდინი
შეხვედრის, ბაგეთა შეხების...
მხოლოდ სიყვარული, კვლავაც სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე
გულში
ჩამალული.

### დედა

დედა. _ პირველი სიტყვა თქმული და სიყვარული
სამარადჟამო, როგორც წმინდა გრძნობა ენთება,
დედა. _ პირველი სიხარული, როგორც სიზმარი,
შენ საფიცარი ჩემი ხატი ხარ და გერქმევა.
დედა ყოველთვის გვერდით მიდგას და გულში მიკრავს
როგორც პატარას, ჯერ კიდევ ბავშვს, ახალფეხადგმულს,
ვერ წარმოიდგენთ, ვერ ჩაწვდებით თუ როგორ მიყვარს
დედა მშობელი, შეუცვლელი და მუდამ სათნო.
დედის ამბორი, დედის სიტყვა და დარიგება
მე სულს მინათებს და გულს მითბობს, მავსებს, მახარებს.
ნეტა რით შევძლო, რა ვილონო, რით დავაფასო
ამაგი, რითაც მომავალი მისი იხარებს.
დედავ, ისმინე ჩემი ლოცვა, მადლი შენდამი,
მე არა მინდა, იცოცხლე და მარად იმყოფე
რომ გამინათო, გამიკაფო წინ გზა სავალი.
მტრის წინააღმდეგ შენი ფარი გადამალოზე.
დედაო ღვთისავ, ღვთისმშობელო, წმინდა მარიამ!
შენ დაიფარე დედა ჩემი მადლით მოსილი,
გადააფარე შენი კალთა, ექმენი სასოდ,
მე ძალა მხოლოდ მისითა მაქვს გარს შემოსილი.

*3.09.2005 წ.*

* * *

ჩამოიგლიჯა მძივები მთვარემ
და ვარსკვლავებმაც დაკარგეს ფერი,
გამომეცხადა მე შენი სახე
და თმებს მიწეწავს სინაზე შენი.
ჩვეული დარდი მისერავს თვალებს
და ბროწეულის ყვავილებს მაყრის,
სარკმელში ვხედავ შენს ცისფერ თვალებს,
უსაზღვროდ ნაზს და უსაზღვროდ დაღლილს.

* * *

გეგონა მოვკვდი?
ვეღარ მოგწერდი,
რომ კვლავ მაბოდებს
შენზე წუხილით.
გეგონა რომ დღეს
დავყურდი ფარ-ხმალს
და ჩემს საფლავზე
მორთავდი ქვითინს.
არა, ძვირფასო,
მე არ მოვკვდები,
მე შენ მაცოცხლებ
შენი ღუმილით,
მე შენზე ფიქრებს
გულით ვატარებ
და შენ კი მელი
გულის წუხილით.
მელი, რადგანაც
იცი, რომ მოგწერ,

იცი, მოგიძღვნი
ლექსებს ქუხილით.
მეც ვიცი, ჩემო,
რომ შენ სულ ელი
თერთმეტ საათზე
ლექსებს დუმილით.
როცა თერთმეტჯერ
ჩამოჰკრავს ზარი,
თერთმეტჯერ გული
დაგიწყებს ცემას
და შენც ლამაზო
თერთმეტჯერ გეტყვი,
რომ შენ გადარებ
თეთრ ორქიდეას.
გეტყვი, რომ ვეტრფი
შენს ცისფერ თვალებს
ეხლა რომ კითხვით
ატარებს წამებს.

# ლიტერატურული გვერდი

## საბავშვო ლექსები



### დაბადების დღის მილოცვა

დაბადების დღეს გილოცავს,
მზესუმზირა და იაო.
გვირილა თავს აკანტურებს,
ვარდები სად არიანო?

მზე გადმომჯდარა ზევიდან,
ღრუბლები გადარიაო.
ფუტკრები დავლურს ცეკვავენ

და ისმის „ბზრია-ბზრი" აო

და ყველა მოქეიფენი
ერთად სუფრასთან ზიანო.

### „ამაყი" ცუგრია

ამაყად დაბრძანდებოდა,
ეზოში ჩვენი ცუგრია.
თავისი ყეფით დააფრთხო,
მიხო, ლალი და ფიქრია.

და როცა ბეკომ ბუჩი ქნა,
ეს ჩვენი მხდალი ბაქია,
იცით ვის ამოეფარა?
მიხოს, ლალის და ფიქრიას.

### გიგას ფიქრები

ფოთოლი წყალში ჩავარდა,
გიგა წყალს ემალებაო.
„ფოთოლი თუ კი ბანაობს,
მე რაღა მემართებაო?"

### ცელქი მარი

ცელქია და ონავარი,
ფანჯრებს ამტვრევს
ჩვენი მარი.
ბურთს ფეხს ურტყამს
ხელს კი არა.
ნეტავ, ბიჭი ხომ არ არის?

### ცელქი წვიმა

წვიმა მოდის,
წვიმა მოდის.
ნეტავ ვისა სწყურია?
ყვავილებს და ცხოველებს,
მთებს და ველებს სწყურიათ.
წვიმა მოდის,
წვიმა მოდის.
დარბის და ყეფს მურია.
მე არ მომწონს, რომ ვსველდები
და არც წყალი მწყურია.
წვიმა მოდის და თან ფიქრობს,
ეს რა ჟრიამულია?
აკი, წვიმა არ მოსწონდა
ამ დიდგულა მურიას?
წვიმა ცელქობს და თამაშობს,
ისიც მხიარულია,
რომ აბრაზებს გოგო-ბიჭებს,
და შავთვალა მურიას.

### მეც ხომ ბაირონს ვეტრფოდი წინათ!

ვკითხულობ ლექსებს და ღელვა მძირავს,
აზვირთებული , აცეტებული.
წამით ვიხსენებ იმ დროს როდესაც,
ვიყავ პოეტით გატაცებული.

მისი ლექსებით და გარეგნობით,
სულის მშვენებით და შემართებით.
სიზმრებს, ოცნებას მასთან მივყავდი,
მისი გმირობით აღტაცებული.

ეხლა კი ზამთრის დირეზე მდგარი,
გრძნობათა ღელვა მიძინებული,
შენმა ლექსებმა კვლავ გამახსენა,
ოცნება ჩემი, თავაშვებული!

სულის სიმშვიდე აზორგებული,
მოგონებებით განზავებული,
შენ დამიბრუნე, ჩემო თინათინ,
ყმაწვილქალობის ტკბილი წარსული.

*პატარა კომენტარი ქალბატონ თინათინ მღდლიაშვილს. შენმა მშვენიერმა ლექსებმა ბაირონზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ეს ლექსი დამაწერინა. ეს ლექსი, შენი საოცარი ნიჭის შედეგია და შენ გეკუთვნის ჩემო საყვარელო პოეტო.*

*მუდამ შენი თაყვანისმცემელი:*
**ლუიზა ანდღულაძე.**

---

## ციკლიდან - „ექვსაიები"



**გრიგოლ ჩუხაია**

* * *
წვიმებმდინარე ღრუბლები,
მზეები სხივებმჩქეფარე,
გორები ხშირკუზიანი,
ხევები ჩანჩქერმყეფარე...
– საქართველოა, – გითხარ და
მთვარისებრ ცას მივეფარე.

* * *
წვეთხასხასა, წვრილმანნი
გვასველებენ წვიმანი...
მიჰგალობენ ღრუბელნი
უკანანი, წინანი...
ხომ უჭკუო ვიყავი?
მაინც აღარ ვინანი.

* * *
მზე ჯერ არ ჩანს... ორკესტრობენ
დილიდანვე ეს შაშვები...
გზაზე უცხო მდედრი მზერით
მათრობს: – ფერი ფერსა შვენის!
რომ იცოდეს ჩემმა ცოლმა?
სახლში არ ვარ შესაშვები.

* * *
„შენდობით მომიხსენებდეთ...
ვარ სამარეში მწოლი მე,
ცოლი დედისებრ მივლიდა
და სისხლს მიშრობდა ცოლივე,
მეც კაი ოხერი ვიყავ...
ახლა აქ ვწევართ ორივე".

* * *
ზაფხულის ულტიმატუმი –
ზღვის წყალი... მხოლოდ ბათუმის!
დაგვხვდნენ და გაგვიმასპინძლდნენ,
მწვადი გვაჭამეს თლათ უმი...
– სხვა რამე გინდათ? ასობით
პლაჟზეა მუქი ხათუნი!...

* * *
ქვაკუთხედია ვინც სამყაროსი
ანუ ვინც არის ანი და ჰოე...
ის ესიზმრება ყველა გულნათელს –
გლეხს, მონადირეს, მწყემსსა და პოეტს...
შორიახლო დგას ჭინკა და გიხმობს:
– ჩემთან თუ მოხვალ, გრანტს მოგცემ, ოე!

* * *
ღრუბლის პიჯაკი აცვია ზეცას
და მზის სომბრერო ახურავს თავზე,
ელვის ჰალსტუხი უმშვენებს კისერს,
შინდისფერი და ქუხილით სავსე...
ცხოვრება მიდის, ასე თუ ისე,
უკან და უკან, ისე თუ ასე.

* * *
მიწა, ვით ტორტის ნაჭერი,
მიიჭრა კაცაპისტანმა,
მტრისაგან ჯიჯგნა–კორტნანი
უნახავს კაცს ამისთანა?
– ვისი ხარ მსასოებელი?
– ღმრთის... სხვასთან, არცა ვისთან ვარ.

* * *
ცა ქუდადა გიჩნს, ძმობილო,
და დედამიწა ქალამნად,
ამ შენი ჯიპის კვამლისა
დაგვახრჩო ქარ–გრიგალამა,
შენი პარტიის წაგვბილწა
ნიშანმა, – თავის ქალამა!...

* * *
მაწუხებენ დილიდან
ლობემძვრალა ფიქრები:
– თვალებს რად მინაბავენ
მდედრები გულფიქლები?
მათი მზერა რად სერავს
გულს, ვით მინდორს ჩლიქები?!

* * *
ხან აცქვეტილო და ხანაც ყრუო –
შენ გეკითხები სახედრის ყურო:
– ჩემი მამული აღდგება როდის?
თუ აღარა აქვს მერმისი ლოდის?
ხან დაჭყეტილო და ხანაც მკრთალო,
შენც გესიტყვები, აქლემის თვალო!

## რ ე ც ე ნ ზ ი ა

# მამულიშვილთა დაბრუნება სამშობლოში




საქართველოზე ფიქრითა და ზრუნვით ცხოვრობდა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე. ლევილში, ქართველთა სასაფლაოზე განსვენებული კეთილშობილი ქართველი მამულიშვილის კოკი დადიანის საფლავის ქვაზე წარწერილი ეპიტაფია — „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე...“ არ არის პოეტური ფრაზა. ეს რეალური განცდისა და ტკივილის გამოხატვაა. მათი სული ზეცად დამკვიდრებული ქართველ მამულიშვილთა დასში, დღენიადაგ აღავლენს ლოცვას საქართველოსთვის.

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, შესაძლოა, მრავალფეროვანი გახლდათ თავისი პოლიტიკური შეხედულებებითა და ბრძოლის მეთოდებით, მაგრამ მათი ოცნება და მიზანი იყო ერთადერთი — საქართველოს დახსნა საბჭოთა იმპერიის კლანჭებიდან და მისი სრული დამოუკიდებლობა.

„ვიდრე არსებობს ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, ის ვალდებულია დარჩეს თავის ისტორიულ დანიშნულების სიმაღლეზედ: ყოველივე ყოყმანის, ორჭოფობის და დათმობის გარეშე... უნდა დაიცვას საქართველოს საერთაშორისო უფლებები და მისი ისტორიული სახეობა....ყოველივე იღონოს, ხელი შეუწყოს საქართველოს განთავისუფლებას რუსეთის ოკუპაციისაგან... ამ ჩვენი ორგანოს სამოქმედო დედა აზრიც სწორედ ეს არის.... ამრიგად არსებობდეს მყარი ნიადაგი საერთო ეროვნული ფრონტისა“ — წერდა ბატონი ლევან ზურაბიშვილი 1974 წელს ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნას“ პირველი ნომრის მეთაურ წერილში.

უფრო ადრე კი, 1968 წლის 14 იანვარს, კვირას, პარიზში „მიუზე სოსიალ“-ის დიდ დარბაზში, თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ყრილობას, ლევან ზურაბიშვილი თავმჯდომარეობდა. ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვები მალევე დაიბეჭდა ჟურნალ „კავკასიონის“ 1968 წლის XII ნომერში.

ლევან ზურაბიშვილმა წარმოთქვა შესავალი სიტყვა:

„...ჯერ კიდევ 1917 წლის (12) 25 მარტს, მცხეთას შემდგარმა საქართველოს ეპისკოპოსთ — სამღვდელოების ყრილობამ აღდგენილად გამოაცხადა მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. ეს გახლდათ საქართველოს სულიერი სუვერენობის აღდგენა.

26 იანვარს 1918 წ. — უკვე დამოუკიდებელი კავკასიის პირობებში — მოხდა გახსნა თბილისის სახელმწიფო ქართული უნივერსიტეტის — მემკვიდრე გელათის და იყალთოს აკადემიებისა. ეს იყო საქართველოს სუვერენობის აღდგენა: გონების სფეროში!

და ბოლოს — 26 მაისს 1918 წ. საქართველომ აღადგინა თავისი საერთაშორისო სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სუვერენობა.

ყველასათვის ნათელია, რომ სამივე ეს, ერთი მეორის მიმყოლი, უდიდესი მნიშვნელობის აქტი, ამონახეთქია ქართველი ერის ნებისყოფისა ისტორიული სინამდვილიდან“.

ეს დიდებული განცდა ლევან ზურაბიშვილს დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ თორმეტიოდე წლის ყმაწვილს დაეუფლა და ამ სიამაყით, აღტაცებითა და ტკივილით იცხოვრა მთელი ცხოვრება.

გასული XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო ქართველ ემიგრანტთა „დაბრუნება“ საქართველოში. ისინი მხოლოდ ხორციელად იყვნენ გასულნი ქვეყნიდან, სულით კი აროდეს განშორებიან სამშობლოს. დაბრუნდა მათი სიტყვა საქმედ ქცეული, დაბრუნდა წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, ხელნაწერების, ფოტოების, მემორიალური ნივთების სახით. მრავალი საგაზეთო წერილი, შრომა და წიგნი მიუძღვნა ქართულ ემიგრაციას ბატონმა გურამ შარაძემ, მოუარა, უპატრონა და სამუდამო სავანეც მიუჩინა მათ ნაღვაწს სწორედ იმ უნივერსიტეტში, რომლის იუბილესაც აღნიშნავდნენ გულანთებული ქართველები პარიზში 1968 წელს. მათ თავისი ცხოვრების წესით, ბრძოლითა და ღვაწლით თავადვე დაიმკვიდრეს ადგილი და წვლილი შეიტანეს არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო კულტურასა და მეცნიერებაში, მაგრამ ბატონმა გურამმა მართლაცდა ღირსეულ კვარცხლბეკზე დადგა მათი ძეგლი და, რაც მთავარია, აღადგინა ერის ისტორიული მეხსიერება. ქართული საზოგადოების ერთ მნიშვნელოვან ნაწილს არასოდეს დავიწყნია ისინი, მეორე და უფრო დიდმა ნაწილმა კი უბრალოდ არაფერი იცოდა ქართველ ემიგრანტთა შესახებ.

2010 წლის 18 ოქტომბერს ქართულ საზოგადოებას ორი ქართველი ემიგრანტი დაუბრუნდა. დაუბრუნდა წიგნის სახით, რომელიც ეძღვნება ლევან ზურაბიშვილისა და პეტრე ხვედელიძის მეგობრობას და რომელსაც ეწოდება „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“. წიგნის ავტორი, ქალბატონი ციცინო ჯერვალიძე დიდ და მნიშვნელოვან საქმეს შესჭიდებია, რადგან ეპისტოლარული მემკვიდრეობის მკითხველის წინაშე წარდგენა ფრიად საფრთხილო და ფაქიზი საქმეა. ავტორს წიგნში დაცული აქვს ქრონოლოგია წერილებისა და ამავე დროს, შიდა თანმიმდევრულობაც. წიგნი იკითხება არა როგორც ცალკეულ წერილთა კრებული, არამედ როგორც ერთი მთლიანი ისტორია იმჟამინდელი ემიგრაციისა, კონკრეტულად კი ორი ჭეშმარიტი ქართველისა, რომელთაც ერის წყლული, მართლაც რომ წყლულად აჩნდათ და პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოსა და ქართულ სულზე ფიქრითა და ზრუნვით გაუმართავთ დიალოგი. აღსანიშნავია, რომ ეს არის წიგნი პირველი და იმედია, ახლო მომავალში კიდევ ბევრი საინტერესო გამოცემის მომსწრენი გავხდებით, რისთვისაც წინასწარ გვსურს მადლობა გადავუხადოთ ქ-ნ ციცინო ჯერვალიძეს. გვერდს, ვერც წიგნის რედაქტორის ქ-ნი სოფიკო ჯერვალიძისა და მთელი სარედაქციო ჯგუფის როლს ავუვლით. მათ მკითხველ საზოგადოებას პროფესიონალურად და კულტურულად მომზადებული წიგნი შესთავაზეს და როგორც ქალბატონი სოფიკო აღნიშნავს თავის წინასიტყვაობაში, ამ წიგნით მართლაცდა უმნიშვნელოვანეს მასალას გაეცნობიან, როგორც ისტორიკოსები, ისე ლიტერატორები და ქართული ენის სპეციალისტები.

ახლა მთავარს მივუბრუნდეთ. მთავარი და უპირველესი კი ამ წიგნში ბატონი ლევან ზურაბიშვილია, რომელიც ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დიდი ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილი და ივანე ზურაბიშვილის ვაჟი გახლდათ. ლევან ზურაბიშვილმა თავისი სიტყვითა და საქმით დაიმკვიდრა ადგილი ჯერ ქართულ ემიგრაციაში, ხოლო შემდეგ საქართველოში.

ალბათ, უმჯობესი იქნება მივყვეთ წიგნს, რომელიც თავად დაგვიხატავს ერთი ჭეშმარიტი ქართველი ემიგრანტის პორტრეტს...

წიგნი „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“ იწყება ბატონი პეტრე ხვედელიძის წერილით „ლევან ზურაბიშვილი ყველა პარტიულობაზე მაღლა იდგა...“ ავტორი მოკლედ მოგვითხრობს მათი დამეგობრების ისტორიას, ლ. ზურაბიშვილის პიროვნებისათვის დამახასიათებელ რამდენიმე თვისებასაც უსვამს ხაზს და ასე ამთავრებს წერილს: „ლევანი ხომ სიცოცხლის ბოლომდე ყველაზე თანაბრად ზრუნავდა, მიუხედავად მათი პარტიულობისა“.

ლევან ზურაბიშვილის მთავარი საზრუნავი საქართველო იყო. სწორედ ამიტომ მოუწოდა მან გაერთიანებისკენ ემიგრაციაში მყოფ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს და 1947 წელს შექმნა „თავისუფალ ქართველთა კავშირი“, რომლის მუდმივი თავმჯდომარე თავად იყო.

წიგნში სულ გამოქვეყნებულია ორმოცდაათამდე წერილი. მიმოწერა გრძელდება თვრამეტი წლის მანძილზე და უნდა ითქვას, რომ მათი უმრავლესობა პოლიტიკური დოკუმენტია.

ლ. ზურაბიშვილის პირველი წერილი 1952 წლის 18 მარტით თარიღდება. ამ დროს, პეტრე ხვედელიძე, ჯერ კიდევ ევროპაშია. წერილით ფაქტიურად ვეცნობით ემიგრაციის ახალი თაობის პოლიტიკური ბრძოლის გზას. მიზნის მისაღწევად მათი მთავარი იარაღი გულწრფელობა და უანგარო პატრიოტიზმია. „მარქსისტების“ მწვავე შეფასების შემდეგ ბატონი ლევანი დასძენს: „ნეტავი, მხოლოდ, ღმერთმა ისინიც კეთილ გზაზე დააყენოს, რადგან სამშობლოსთვის ეს იქნება უკეთესი! ჩვენ-კი ვეცადოთ ჩვენ სწორ გზას მივსდიოთ!“

„სამშობლოსთვის ეს იქნება უკეთესი“ — ეს არის უმთავრესი საზრუნავი ეროვნული ცნობიერების პოლიტიკოსისა, მნიშვნელოვანი შტრიხი ლევან ზურაბიშვილის პორტრეტისათვის.

მეორე და ასევე მნიშვნელოვანია ბატონი ლევანის რწმენა, რომ საქართველო გადარჩება. მისი, თითქმის ყველა წერილი, ამ ოპტიმისტური შეძახილით სრულდება. შეძახილით, რადგან ამით თავის თავსაც ჰმატებდა რწმენას და ადრესატსაც აფხიზლებდა, ძალას აძლევდა, რწმენაში ამყარებდა: „იმედს ნუ ვკარგავთ — საქართველო აღსდგება“, „ნუ ღონდები — მტკიცედ და ოპტიმისტურად გრძნობდე თავს“, „ჩვენი ნატვრა — დამოუკიდებელ საქართველოს ნახვისა აღგვისრულდება“. აკი, აღსრულდა კიდეც 1991 წლის 9 აპრილს, როდესაც ეროვნულმა ხელისუფლებამ, ბატონი ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. ბატონი ლევან ზურაბიშვილი ამ ბედნიერ დღეს ვერ მოესწრო, მისი სული, ალბათ, ზეცად ზეიმობდა. ბატონმა პეტრე ხვედელიძემ კი თავად იხილა დამოუკიდებელი საქართველო.

„მე ნამდვილად მჯერა, რომ ჯერ კიდევ 1970 წლამდე, რუსეთის იმპერია დაიწყებს ნგრევას“, — წერდა ლევან ზურაბიშვილი ერთ წერილში. იგი შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსია და მისი რწმენა არ არის მხოლოდ შიშველი რწმენა და ოცნება, იგი ფიქრის, განსჯისა და ღრმა ანალიზის საფუძველზეა განმტკიცებული.

სრულ აღფრთოვანებას იწვევს ლევან ზურაბიშვილის, როგორც პოლიტიკოსისა და მოღვაწის იშვიათი და შესაშური თვისება — იყო პოლიტიკაში დამოუკიდებელი და სუფთა. იგი საკმაოდ თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ აცხადებს უარს ამერიკულ მხარესთან თანამშრომლობაზე და წერს თავის მეგობარს პეტრე ხვედელიძეს: „ეს უხერხული იყო ე.წ. „პოლიტიკურ მოღვაწემ“ მიიღოს რამე დავალება, ან გასამრჯელო, უცხოეთის ოფიციალურ უწყებისაგან!.. „პოლიტიკაში“ ადამიანი უნდა რჩებოდეს 100% დამოუკიდებელი...“ ვფიქრობ, სწორედ ამას ჰქვია პოლიტიკის კეთება სუფთა ხელებით.

1969 წლის 22 თებერვლის წერილში ლევან ზურაბიშვილი კიდევ ერთხელ უბრუნდება ამერიკელებთან თანამშრომლობის საკითხს და წერს: „ვალდებული ვარ, როგორც ლტოლვილი პოლიტიკური მოღვაწე ძალიან ვუფრთხილდე, არ მივცე საშუალება ჩვენს მტრებს თქმისა, რომ „ცენტრი“, ან „თ. ქ. კავშირი“ ან თვით „სათვისტომოც“ — ვისიმე „დამოკიდებულებაშია“. — აუცილებელია, რომ საქართველოში სწორედ ესმოდეთ ჩვენი „პოზიცია“, და მეტიც — ჩვენი „უფლება“ ვიყოთ კატეგორიულები“. კატეგორიულობა, სიმტკიცე, ურყეობა, სისპეტაკე, სიფრთხილე, რწმენა — ლევან ზურაბიშვილის თვისებებია. სასურველია ეს იყოს პოლიტიკაში ჩართული ყოველი ადამიანის ნიშან-თვისება. უკიდურეს შემთხვევაში, სურვილი მაინც — ვიყოთ ასეთნი.

ისევ ბატონი ლევანის პორტრეტს მინდა დავუბრუნდე. მტკიცე, ურყევი, კატეგორიული... და იქვე ფაქიზი, ადამიანის მოყვარული. იგი სიყვარულითა და სითბოთი ავსებდა თავის მეგობარს პეტრე ხვედელიძეს, დიდი სიყვარულითა და სიფრთხილით ეკიდებოდა თურქეთში მცხოვრებ ქართველობას. მეგობრობდა ქართული საქმისთვის თავდადებულ თურქეთში მცხოვრებ მამულიშვილთან ახმედ მელაშვილთან. მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ლ. ზურაბიშვილის წერილები იქაური ქართველების განწყობაზე, აზროვნებაზე, პატრიოტიზმზე, მაგრამ საფიქრალიც გასჩენია: „მათს გონებაში არ ხდებოდეს „იდენტიფიკაცია“ სრული გათანასწორება საქართველოს იდეის — და „საბჭოთა“ საქართველოს იდეის... რამოდენიმესთან მიწერ-მოწერაში ვართ — ქართულ წიგნებსაც უგზავნით — მაგრამ ეს ხომ წვეთია, საჭიროების ზღვაში!“

წიგნი დიდ ინფორმაციას გვაძლევს ლევან ზურაბიშვილის აქტიური ურთიერთობის შესახებ ემიგრაციაში მცხოვრებ ქართველებთან, ქართულ სათვისტომოებთან. იგი უგზავნიდა მათ ქართული სათვისტომოს ორგანოს „ცნობის ფურცელს“, რითაც ცდილობდა მუდმივად გარკვეული ყოფილიყო საქმის ვითარებაში უცხოეთში გადახვეწილი ყოველი ქართველი და ამითვე მოეხდინა მათი სულიერი და ფიზიკური კონსოლიდაცია. 1929 წელს მართლმადიდებლური სამრევლოს შექმნის, ხოლო შემდეგ წმ. ნინოს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნის მთავარი მიზანიც ხომ ეს იყო — რწმენაში განმტკიცებულიყვნენ და გაერთიანებულიყვნენ დევნილი ქართველები.

წიგნი „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“ ფაქტიურად არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო და, შეიძლება ითქვას, დოკუმენტიც დამადასტურებელი იმ ურთიერთობებისა, რაც ემიგრანტ ქარ-

*დასასრული მე-13 გვ.*

*დასაწყისი მე-12 გვ.*

თველებსა და საბჭოთა ქართველებს შორის დამყარდა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან. განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა ბატონი ლევანი მათთან ურთიერთობას. იგი არ მალავდა აღფრთოვანებას საქართველოდან ჩასულთა პატრიოტული განწყობის გამო. ეს, როგორც ჩანს, კიდევ უფრო უმყარებდა რწმენას ემიგრანტებს — რადგან არ გადაგვარებულან „საბჭოთა" ქართველები, გადავრჩებით. ლევან ზურაბიშვილს ახარებს ქართველთა ასეთი განწყობა, მაგრამ მისი სურვილია, გააგებინოს სამშობლოში დარჩენილთ, რა არის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მიზანი:

„უკეთ გავაგებინოთ, ჩვენ თანამემამულეთ საქართველოში — რომ ჩვენ თუ ვრჩებით უცხოეთში ამას აქვს მიზეზიც, და მიზანიც, მაღალხარისხოვანი და არა ეგოისტური ან მატერიალისტური. ისიც გავაგებინოთ, რომ ჩვენ მათ სიძნელეებს და მსხვერპლს ვიცნობთ, მათი მიღწევებით ვამაყობთ... — მხოლოდ ვფიქრობთ, რომ რუსეთი უძლეველი არ არის, და რომ დღევანდელ უთანასწორო ექსპლუატაციას ბოლო მოეღება და რომ მანამდე ჩვენ უნდა დავიცვათ საქართველოს უფლებები დავიწყებისა და მიჩქმალვისგან".

ან კიდევ: „გასაოცარია რამდენსაც ვხვდები იქაურებს ჩვენ თანამემამულეთ: ყველანი შოვინიზმამდე პატრიოტებია, მხოლოდ ასე ვსთქვათ „არ ბედავენ" დამოუკიდებლობაზე ოცნებას (ბევრს მწვავედ ახსოვს 1956 წ. სისხლიანი დღეები და გაგონილი აქვთ მამებისგან 1924 წლის აჯანყების ამბავი)".

და იქვე ასკვნის: „ოკუპანტმა ვერ მოახერხა უნდობლობის ჩათესვა ჩვენდამი". ნდობის ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოობაში მყოფი ქართველებისათვის. ათეულობით წლების მანძილზე იმპერიული მანქანა მრავალ საშინელ აზრს უნერგავდა საბჭოეთში დარჩენილთ მათ მიმართ. ისინი გამოცხადებულნი იყვნენ სამშობლოს მოღალატეებად, გამყიდველებად, აგენტებად და ფაშისტებად. ქართულ ემიგრაციას მუდმივად მოსდიოდა ინფორმაცია საქართველოდან. ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემებში სპეციალური რუბრიკაც კი არსებობდა — „ამბები საქართველოდან". ამიტომ იყო, რომ საქართველოდან ჩასულებისაგან ნდობისა და სიყვარულის გამომჟღავნება მათ ახარებდათ და საქართველოს გადარჩენის იმედით აღავსებდათ.

ლევან ზურაბიშვილს, როგორც საზოგადო მოღვაწესა და პოლიტიკოსს, ბოლომდე შეცნობილი ჰქონდა ქართველი კაცის ხასიათი, იცოდა მისი ღირსებაც, ნაკლიც და სწორედ ასეთი უყვარდა, ასეთისთვის იღვწოდა: „ქართველები ყოველთვის იყვნენ მოუსვენარნი, არეულები და ჟინიანები: მაგრამ საქართველო მაინც დიადობდა გაჭირვებაშიაც და მშვიდობიანობაშიც. რას იზამ, ასეთ ძნელ ხალხთან გვაქვს ყოველთვის საქმე — მაგრამ სიმართლე და უანგარობა თავის გზას არ დაჰკარგავს".

სიტყვა „უანგარობას" ბატონი ლევანი ხშირად გამოთქვამს. ეს კიდევ ერთი შტრიხი მისი პორტრეტისათვის, უანგარობა ლევან ზურაბიშვილის ცხოვრების წესი იყო.

აი, ასეთი ავტოპორტრეტი დაგვიხატა ბატონმა ლევან ზურაბიშვილმა — პალიტრიდან გადმოსულმა ფერებმა ტილოზე შესაბამისი ადგილები დაიკავა და მივიღეთ პორტრეტი ეროვნული მოღვაწის, გამჭრიახი გონების პოლიტიკოსის, მორწმუნე ქრისტიანის, უანგარო ადამიანის, უკომპრომისო, მაგრამ ამავე დროს ზრდილი, სამშობლოს მსახური რაინდის, კარგი ქართველის...

წიგნში გამოქვეყნებული წერილებით ვეცნობით ლევან ზურაბიშვილისა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ დიდ მონაკვეთს. ბ-ნმა ლევანმა, ფაქტიურად მთელი თავისი ცხოვრება ქართულ საქმეს მიუძღვნა. წლების მანძილზე საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეობა, თავისუფალ ქართველთა კავშირის ხელმძღვანელობა მას ბევრ საზრუნავს უჩენდა და დიდ მოვალეობებს აკისრებდა. იქნებოდა ეს საეკლესიო თუ საერო დღესასწაულების გამართვა, დიდ ქართველთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა თუ ემიგრანტებზე ზრუნვა. მისი მოღვაწეობის არეალი, რასაკვირველია, ამით არ შემოიფარგლებოდა. თუკი სადმე ტარდებოდა კონფერენცია დაპყრობილ ერთა საკითხებზე, ლევან ზურაბიშვილი იქ იყო. აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ტყვეობაში მყოფ ერთა საერთაშორისო ორგანიზაციაში და იყო ყველგან, სადაც კი საბჭოთა ტირანიის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ამიტომაც იყო, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია — პოლიტიკური ცენტრი მუდმივად იყო საბჭოთა სპეცსამსახურების ობიექტივში.

1974 წელს, ბრიუსელში, ლიუცერნში და პარიზში — შეხვედრები ევროპის თავისუფლების და უშიშროების კონფერენციის თაობაზე, სადაც, როგორც თავადვე ამბობს: „ყველგან ქართულ საკითხის, ქინძის მარცვლის რაოდენობით, შიგ ჩასართავად!... „ცდა ბედის მონახევრეა", საჭიროდ მიმაჩნია".

1974 წელსვე, აპრილში, ვაშინგტონში „მსოფლიო თავისუფლების ამერიკული საბჭოს" მე-7 კონფერენციის დელეგატია.

ეს მხოლოდ დროის აღნიშნულ მცირე მონაკვეთში და გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ხდებოდა.

დღეს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრება. წიგნში გამოქვეყნებული წერილები გვაძლევს ინფორმაციას ქართველ ემიგრანტთა თითქმის მთელ სპექტრზე, არც გეოგრაფიული არეალია ვიწრო. ამდენად კიდევ უფრო ფასეულია ყოველი წერილი, ყოველი ფრაზა და, რაც მთავარია, მთლიანად წიგნი „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით".

ეპისტოლარული მემკვიდრეობის ერთ-ერთი ღირსება ის არის, რომ ამ მიმოწერაში იხატება პორტრეტი არა მხოლოდ კორესპონდენტისა, არამედ ადრესატისაც. და კიდევ, ეს ფარატინა ფურცლები ფლობს უზარმაზარ ინფორმაციას, რასაც ხშირად სამეცნიერო, ლიტერატურულ თუ საგაზეთო ნაშრომებში ვერ ამოიკითხავთ. ამდენადაც ძვირფასია ჩვენს ხელთ არსებული წიგნი.

ავტორმა ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც წიგნის ბოლო გვერდები ბატონ პეტრეს დაუთმო. მისი მოკლე ბიოგრაფია, ინტერვიუები, პ. ხვედელიძის „ფრაგმენტები ჩემი წარსულიდან" გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ლევან ზურაბიშვილის ადრესატის ვინაობაზე და თუ ზუსტ პორტრეტს ვერა, სილუეტს მაინც ვხედავთ, საინტერესო იქნება თავად ბატონი პეტრეს წერილები ლევან ზურაბიშვილისადმი, სხვა ცნობილი ქართველი ემიგრანტებისადმი და იმედს არ ვკარგავთ, რომ ეს ეპისტოლარული მემკვიდრეობაც იხილავს მზის სინათლეს ქალბატონი ციცინო ჯერვალიძის შრომით.

„უბრუნდებიან" ქართველი ემიგრანტები სამშობლოს! უბრუნდებიან სიტყვითა და საქმით!

აღსრულდა ბატონი ლევან ზურაბიშვილის სურვილი, ქართველმა თანამემამულეებმა დღეს უკვე იციან, რა იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მიზანი — საქართველოს უფლებების დაცვა და გათავისუფლება საბჭოთა ოკუპაციისაგან.

**რუსუდან კობახიძე**

*თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი*

# სომხური დიასპორა მუშაობს, ქართული?

აშშ–ი დღეს ერთადერთი ჰიპერსახელმწიფოა, რომლის პოზიცია უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს პლანეტაზე მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ–ეკონომიკურ და სამხედრო პროცესებში. ასეთ ვითარებაში აშშ–ს საკანონმდებლო ხელისუფლებაში – კონგრესის (სენატი და წარმომადგენელთა პალატა) არსებული მიდგომები, სტრატეგიები და კონცეფციები უდიდეს მნიშვნელობას იძენს სხვა ქვეყნებისთვის.

კონსტიტუციით, სენატი აკონტროლებს ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, ხოლო წარმომადგენელთა პალატა ბიუჯეტს, შესაბამისად ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ პრიორიტეტებს. ეს რეალობაა და ვინც საკუთარი ქვეყნის, თუ ისტორიული სამშობლოსადმი გულგრილი არ არის, აქტიურად ცდილობს ან სხვის მცდელობას უწყობს ხელს, რომ აშშ–ს საკანონმდებლო ხელისუფლებაში მაქსიმალურად ბევრი სენატორი და კონგრესმენი იყოს მისი ქვეყნისა და ისტორიული სამშობლოს სტრატეგიული პარტნიორი.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ამერიკის სომეხთა ნაციონალური კომიტეტი. 2010 წლის ნოემბერში გამართულ არჩევნებში ამერიკის სომეხთა ნაციონალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა სენატორობის 7 კანდიდატს (ირჩეოდა 435 კონგრესმენი ანუ სრულად). ამერიკის სომეხთა ნაციონალური კომიტეტის ლიდერის არამ აბრამიანს ამ არჩევნების შემდეგ მართლაც საზეიმოდ ჰქონდა საქმე, რადგან მათი მხარდაჭერით სენატში ახალი ნ. სენატორი: ჰარი რიდი, მარკ კირკი, ბარბარა ბოკსერი, ჩაკ შუმერი, ბარბარა მიკულსკი აირჩა, ხოლო წარმომადგენელთა პალატაში 152 კონგრესმენი. აღსანიშნავია, რომ წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობის (დემოკრატები) ლიდერი ერიკ კანტორიც ამერიკის სომეხთა ნაციონალური კომიტეტის მხარდაჭერით მოვიდა.

ასეთ ვითარებაში აშშ–ი არსებული ქართული დიასპორა სრულ ინფანტილიზმსა და ინერტულობას იჩენს. სომხური დიასპორა მუშაობს, ქართული კი?...

# მულტიკულტურა არ შედგა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართ საბჭოთა პერიოდის, ე. შევარდნაძის რეჟიმისა თუ მ. სააკაშვილის მმართველობის დროს „სასახლის კარზე" მიღებული ფსევდო ინტელიგენტების, თუ ერზაც–ინტელექტუალების მხრიდან არა ერთხელ გახმოვანდა ანტიმულტიკულტურულობის ბრალდება. მათ გასაგონად უნდა ითქვას, რომ გერმანიის გაერთიანების შემდგომ 20 წელი შენდებოდა ეს რაღაც მულტიკულტურა და გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა: „მულტიკულტურა არ შედგა". მეტიც, მან გერმანიის სახელმწიფოს ოფიციალურ პოზიციად დაადასტურა „ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქრისტიანული მორალი. გერმანიის მოქალაქე პატივს უნდა სცემდეს და ითვალისწინებდეს ამ მორალს. ვინც ამ ღირებულებებს პატივს არ სცემს, მათი ადგილი აქ არ არის".

20 წელი დასჭირდა ევროპას იმ ჭეშმარიტების საჯაროდ აღიარება, რისი დაცვისთვისაც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 22 დეკემბერს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს.

ეს დიდი ისტორიული გაკვეთილია ყველასთვის.

**დავით არაბიძე**

**კვირის ფოსტა**

# თანადგომას ვუცხადებ ჩემს ღირსეულ თანამოძმეებს



***უკანონო პატიმრებს: ნორა კვიციანს, ნელი ნავერიანს, იამზე ჯაფარიძეს, თამარ ჭანტურიას, ნანა სულავას და მრავალ მათებრ ტანჯულ ქართველ ქალებს.***

სულით ხორცამდე შემძრა ქალბატონ თამარ ჭანტურიას ინტერვიუმ სათაურით „მხნედ ვართ, რადგან გვერდით ნორა კვიციანი გვყავს" ა/წ „ასავალ-დასავალის" №44-ში გამოქვეყნებულმა.

ნუ გეშინიათ, გამაგრდით ძვირფასებო, ღმერთი გაგაძლიერებთ და გადაგარჩენთ! მოვა დრო და დედა-სამშობლო გულში ჩაგიხუტებთ.

ქართველი ხალხის გმინვა და გოდება უკვე ცას წვდება. იქნებ, პირველად ის ციხე დაინგრეს, სადაც თქვენ იტანჯებით და ქართველი ხალხის მედროშეებად მოგავლინოთ უფალმა.

ვგმობ იმ ქართველი ქალების ქმედებას, ვინც გაჭირვების ჟამს, დედა-ღვთისმშობლის წილხვდომილი სამშობლო, საკუთარი „ბაღ-ბოსტანი" უპატრონოდ მიატოვა და უცხოეთში სხვის „ბაღ-ბოსტანს" მარგლავს, როგორც მონა.

რა პასუხს გასცემთ შთამომავლობას, როცა გკითხავენ – „ჩემი სამშობლო საქართველო, უძველესი ქრისტიანული ქვეყანა, რომ იღუპებოდა, თქვენ რას აკეთებდითო?". პასუხი სხვანაირი ვერ იქნება – „თქვენ რომ გესვათ და გეჭამათ, უცხოეთში ვწვალობდითო". იქნებ, ის ჯობდა, ცოტა გვეჭამა და ცოტა გვესვა და სამშობლო გადაგვერჩინა.

ჩემო კოლეგებო, ჩემო ჩვირფასო პედაგოგებო! იქნებ ჩვენც დავფიქრდეთ, როგორ ვასრულებთ ჩვენს მისიას? რას იტყვიან მომავალში ჩვენი აღზრდილები ჩვენს დღევანდელ დუმილზე?

თითქოს თვალნათლივ ვხედავ, რატომ ატარა მოსემ, ებრაელი ერი ორმოცი წელი უდაბნოში უფლის განგებით.

**ქეთევან ხაბულიანი,** *პედაგოგი*

# რადიო "ობიექტივის" ერთი გადაცემის გამო...



*„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში იმდენად დაიკავებს მართებულ პოზიციას, რამდენადაც ერთიანობის იდეას ყველა სხვა იდეაზე მაღლა დააყენებს, როცა ყველა ჩვენგანს თავად ეს მოძრაობა ეყვარება და არა საკუთარი თავი ამ მოძრაობაში“.*

*მერაბ კოსტავა*

დიდხანს ვიკავებდი თავს, ვინძლო კომენტარი არ გამეკეთებინა იმ განცხადებაზე, რომელიც მრგვალი მაგიდის ე.წ. პრესსამსახურმა გამოაქვეყნა ა.წლის 3 სექტემბერს რადიო „ობიექტივის“ გადაცემაზე, რომელსაც ვუძღვებოდი მე – ირაკლი შონია, რომელსაც სტუმრად მოწვეული მყავდა (სხვათაშორის, არა ჩემი სურვილით და ინიციატივით...) იურისტი ზაქარია ქუცნაშვილი. არავის ეგონოს, რომ რახან აქამდე ჩუმად ვიყავი უკან დავიხიე. გასამართლებელი არაფერი მაქვს და არც ვინმესთან საბოდიშო.

მანამ სანამ უშუალოდ ამ გადაცემას შევეხები, აღვნიშნავ, რომ რაც უფრო პოლიტიკურად ვაქტიურდებოდი და ყურადღების ცენტრში ვიყავი, მით უფრო იზრდებოდა მოშურნეთა რიცხვი და ხდებოდა ჩემი დისკრედიტაცია ე.წ. თანამდგომების მხრიდან. (რა გამოლევს თიმსალმაკოების პროტოტიპებს საქართველოში), როდესაც ამა წლის 11 ივნისის მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს, მთავრობის სასახლესთან დამაპატიმრეს. ამაზეც კი ზოგიერთი „ჩრჩილი“ დაიბოღმა. ახლაც ხმამაღლა ვაცხადებ, ჩემი ნება რომ ყოფილიყო, დიდი სიამოვნებით გავუცვლიდი „მსურველს“ ცემენტის კედლებიან ვიწრო საკანს. ჟურნალი „დრო და ისტორია“, რომელსაც მე გამოვცემდი დაიხურა, იმ ჯაშუშების თავდასხმების გამო, რომელნიც მრავლად იყვნენ და არიან ეროვნულ მოძრაობაში. როდესაც რადიო „ობიექტივში“ მიმიწვიეს წამყვანად, ამან შოკში ჩააგდო ის კლანი, რომელიც  დიდი ხანია ცდილობს ეროვნული მოძრაობა მოლეკულებად დაშალოს. ვინაიდან მე არასოდეს ვეკუთვნოდი, რომელიმე დაჯგუფებას და ჩემი მართვა ვინმეს მხრიდან შეუძლებელი იყო (ამიტომაც დამაპატიმრეს, მაგრამ ამ ეტაპზე ფრჩხილებს არ ვხსნი. ამის დროც მოვა) რადიო „ობიექტივში“ ორი გადაცემის შემდგომ ე.წ. პრესსამსახურმა დაიწყო გადაცემების ბოიკოტირება. როდესაც მოწვეული მყავდა პედაგოგთა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი ქ-ნი მანანა ნიკოლეიშვილი, ეს გადაცემა ინტერნეტით აღარ გავრცელებულა (თუ არ ჩავთვლით თავად რადიო „ობიექტივის“ ინტერნეტსაიტს) ჩაწერილი დისკი, ვითომ შემთხვევით დაიკარგა. მინდა აღვნიშნო, რომ საპროტესტო მიტინგები და მანიფესტაციები შეკვეცილი და დამახინჯებული ფირებით  ვრცელდებოდა ინტერნეტით. იჭრებოდა გამომსვლელთა სიტყვები,  ან საერთოდ არ იღებდა ვიდეოკამერა (ასეთი ცენზურა შეეხო, რამდენიმე ადამიანს, მათ შორის ქ-ნ ლეილა ცომაიას, როდესაც მისი გამოსვლები მიტინგებზე შეგნებულად ამოჭრეს და მიიღეს უმწიკვლო სახეები, ვითომ არავინ არაფერი იცოდა და დააბრალეს ტექნიკურ ხარვეზს). ეროვნულ მოძრაობაში შემოგდებული ჯაშუშები, ჩასაფრებულნი იყვნენ და ასინეთებივით მითვალთვალებდნენ, რაიმე შემშლოდა ან რესპონდენტი მათთვის მიუღებელი ყოფილიყო.  ნანატრი დღეც დაუდგათ. იურისტი ზაქარია ქუცნაშვილი თავდასხმის ობიექტი გახდა. პრესსამსახურმა, რომელსაც მე რამდენიმე წლის წინ სპეცსამსახური ვუწოდე, არ დააყოვნა და გაცეცხლებული იერიში მიიტანა, როგორც რესპონდენტზე, ისე კორესპონდენტზეც. ზაქარია ქუცნაშვილი მოიხსენიეს ე.წ. იურისტად.

პრიმიტივების განცხადებაში ვკითხულობთ: „მოგახსენებთ, რომ წამყვანმა შონიამ, თავიდანვე არამართებული კითხვა დასვა (კითხვა ეხებოდა ე.წ. პარლამენტის მიერ ახალ ე.წ. კონსტიტუციას – ი.შ.), რადგან ეს დოკუმენტი ბუნებრივია არ გახლავთ კონსტიტუცია და მასზედ საუბარი სხვა არაფერია, თუ არა მისი ლეგალიზაციის მცდელობა“. ჯერ ერთი რომ დაყრუვდით და დაბრმავდით, მე ან ზაქარიამ აღვნიშნეთ, რომ ეს კანონიერი კონსტიტუციაა? ამ საკითხს იმიტომ შევეხე, რათა სრულიად საქართველოს გაეგო, რა საფრთხე და საშინელება ემუქრება ყველას, ვინაიდან ამ ე.წ.  კონსტიტუციის მიღებით, რომელიც ბუნებრივია უკანონო პარლამენტის შეთითხნილია, დიქტატორი სააკაშვილი, თავისი რეჟიმის გახანგრძლივებას ცდილობს და არსად აპირებს წასვლას.  აი ამ საფრთხეზე ვსაუბრობდით, რა შუაშია აქ ლეგალიზება. განა ის საპროტესტო მიტინგები, რომლებიც პარლამენტთან გაიმართა და იურისტებმა საჯაროდ დაწვეს ეს დამღუპველი დოკუმენტი, მის ლეგალიზებას ემსახურებოდა?.. ან, თქვენ, როდესაც სასამართლოებში დარბიხართ, ვისი მიღებული კოდექსებით ხელმძღვანელობთ? ვის სასამართლოებში დაშლიგინებთ? საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მგზავრს რომელსაც კონტროლიორი ვალდებულს ხდის საფასური გადაიხადოს, რა ამ ე.წ. პარლამენტის კანონების ლეგალიზებას ცდილობს მგზავრი?

„... შემდეგ წამყვანმა კვლავ არამართებულ ხერხს მიმართა და მავანთა საამებლად რესპონდენტს საქართველოს დღევანდელი ე.წ. პრეზიდენტის, პრემიერ–მინისტრად გახდომის საკითხზე დაუსვა კითხვა, აქ, მას (შონიას) თითქოსდა სურდა საქართველოს დღევანდელი საოკუპაციო ადმინისტრაციის ავტორიტარიზმის შესახებ ესაუბრა“. ხერხებისა და ფანდების მიმართვა ჩემგან ისე შორსაა, როგორც ცა და დედამიწა. ეს თქვენ მიმართავდით ყოველთვის ხერხებს და ფანდებს, რათა ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებისთვის ფეხი დაგედოთ, წაგექციათ და ჩაგექოლათ, რაც არაერთხელ გაგიკეთებიათ, როგორც პიროვნულად ისე მრგვალი მაგიდის სახელის ამოფარებით. „მავანთა საამებლადო?“ – მავანთა საამებლად წამოგორდით ხავერდის სავარძლებზე და გამოიკეთეთ ოთხ კედელში და დაივიწყეთ პოლიტპატიმარი ცოტნე გამსახურდია. თქვენთვის ისედაც უცხოა, რას ნიშნავს უდანაშაულო ადამიანი იმყოფებოდეს ჯურღმულში, ჯალათთა ხელში. ამიტომაც სხვა საქმე რომ აღარ გაქვთ, ვილაცეების პირად „ვალებს“ არჩევთ სხდომებზე. ერთი წელი მიიწურა, რაც ჩემთვის ძვირფასი ცოტნე გამსახურდია სააკაშვილის რეჟიმის ტყვეა, პირადად მე ყველაფერს გავაკეთებ მისი და სხვა პოლიტპატიმრების გასათავისუფლებლად. განა თავად ცოტნემ არ განაცხადა: – „გაერთიანდით, ღვთის გულისათვის, საქართველოსათვის გაერთიანდით, თქვენ არ იცით, რა ხდება საპატიმროებში!“ რომელმა შეისმინეთ მისი განაცხადი, თითქოსდა მისთვის გულდათუთქულებმა? რახან ცოტნეს შევეხე, მინდა გამძლეობა ვუსურვო და თანადგომა გამოვუცხადო, რაც შეეხება პრესსამსახურის მდაბიო განცხადებაში ნახსენებ  „ავტორიტარიზმს“ და „ნონსენსს“. როგორც ჩანს ამის შემთხზველმა, ამ სიტყვების მნიშვნელობაც არ იციან, ვინაიდან სულ სხვა კონტექსტში მოიხსენიებენ. ის შემადგენლობა (თუმცა ეს ყველას არ ეხება), რომლებმაც თავი მოიყარეს პრესსამსახურში, უფრო სპეცსამსახურია.

აი, ეს ნამდვილად ავტორიტარიზმი და ნონსენსია. გადაცემაში იყო საკითხები, რომელზეც რესპონდენტს არ დავეთანხმე და ჩემი აზრი გამოვხატე (კულტურულად, და არა თავში ჩაქუჩის ჩარტყმით, რაც პრესსამსახურისთვის უფრო მისაღები იქნებოდა), თუნდაც, როდესაც ბ–ნმა ზაქარიამ განაცხადა, რომ სააკაშვილის რეჟიმის პირველი პოლიტპატიმარი იყო ირაკლი ბათიაშვილი, მე მას შევაწყვეტინე და ვუთხარი, რომ პირველი პოლიტპატიმრები იყვნენ ეროვნული მოძრაობიდან, მათ შორის მეც, როცა ხანგრძლივი დროით დამაპატიმრეს (ბენდუქიძის შეფურთხების და მისი შეურაცხყოფის ბრალდებით), მაგრამ რაც არ გინდათ ვერ დაინახავთ, ვინაიდან , როგორც მერაბ კოსტავა წერდა: „მხოლოდ დამშვიდებულ ადამიანს ძალუძს ნორმალური აზროვნება“.

განცხადებაში, რომელიც პასკვილი უფროა, მთლად აწყვეტილი ფრაზებია, თითქოს ქუცნაშვილმა დააყენა ზვიად გამსახურდიას პასუხისმგებლობის საკითხი. და მე, რომელსაც გადაცემა მიმყავდა, ამას ვერ გავიგონებდი? უამრავი მსმენელიდან და მაყურებლებიდან რატომ ვერავინ გაიგონა და მოისმინა ეს? თავად რადიოს ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმაც კი, ამ გადაცემაში, ვერაფერი ცუდი ვერ დაინახა, მაინც და მაინც პრესსამსახურის ზოგიერთმა ერთუჯრედიანმა არსებამ გაიგონა?

კიდევ ერთი მზაკვრული ხერხი და ფანდი: „ზაქარია ქუცნაშვილმა სრულიად უტიფრად განაცხადა (ალბათ შემდავებელიც, რომ არ ჰყოლოდა იმიტომ)“ – წერია პასკვილში. თუმცა, ინტერნეტში, ამ ნაჯღაბნს ინკოგნიტო ქალბატონი კითხულობს: – ალბათ შემდავებელიც ხომ არ ჰყავდა. ამით თვითონ აყალბებს, ასეთი „მაღალი დონის დოკუმენტს“. „ქუცნაშვილი სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებლად არაკანონიერ ბერკეტებს იშველიებს, არამედ აშშ–სა და ევროპის სახელმწიფოებს ეყრდნობა. ამით იგი ხალხში უსამართლობასა და ნიჰილიზმს ნერგავს“. ბ–ნმა ზაქარიამ ჩემს დასმულ კითხვას გასცა პასუხი, რომელიც მე მაინტერესებდა. იურიდიული პროცესუალური ნორმებით შეიძლება თუ არა ჰააგის ტრიბუნალმა გაასამართლოს სააკაშვილი, სამწუხაროდ ჰააგა საქართველოს ტერიტორია არ არის, აქ რომ გაეშვირა ხელი ზაქარიას. მეორეც, განა მილოშევიჩი არ გასამართლდა? განა აშშ–ს სიკვდილით არ დასაჯა სადამ ჰუსეინი? იქნებ მოხერხებულიყოს შევარდნაძის და სააკაშვილის გასამართლებაც, ამას ეხებოდა ჩემი კითხვა. რა შუაშია უსამართლობისა და ნიჰილიზმის დამკვიდრება. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს ამ „განცხადების“ დამწერის და შემდგენელის გაუნათლებლობაზე. ასევე მივუთითებდი „განცხადების“ წამკითხველ ინკოგნიტო პრესსამსახურის თანამშრომელს, რომ როდესაც პარტიულ დოკუმენტს კითხულობს იმდენი განათლება მაინც უნდა ჰქონდეს, რომ იცოდეს ციფრი თხუთმეტი, თუთხმეტად არ იკითხება. იქნებ ჩემი რჩევა შემდგომში გამოადგეს.

პრესსამსახურის ზოგიერთი ჩინოსანი იმდენად იყო გაავებული, რომ ველარ დაამუხრუჭა, განცხადებები ხომ წერა და წერა, ვიდეო რგოლიც გააკეთა, ჩემი და ზაქარიას საუბარი ჩაახშო და თავისი მდაბიო კომენტარებით გადაფარა ინკოგნიტო არსებამ, რომელსაც თერთმეტი და თხუთმეტი ერთი და იგივე ჰგონია. მერე რუსულად და ინგლისურადაც თარგმნეს, მათ ვურჩევდი, საქართველოში ძალიან მომრავლდნენ ინდუსები და ზანგები, ამიტომაც ეს შედევრი აუცილებლად თარგმნეთ ინდურად და ნიგერიულად, თარჯიმანი გეყოლებათ, თქვენ ხომ ამისი დეფიციტი ნამდვილად არ გაქვთ.

მინდა ასევე შევეხო, რადიო „ობიექტივში“ ერთ ჩემს გადაცემას, როდესაც სტუდიაში მოწვეული მყავდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი. ძირითადი თემა ყარსის ხელშეკრულებას ეხებოდა. ეს გადაცემა მოგვიანებით რუსულ ენაზე ითარგმნა, მრგვალი მაგიდის პრესსამსახურის ერთი წევრის მიერ. ჩემს ყოფილ „კოლეგას“ შევახსენებ, რომ თარჯიმანმა სრული ზედმიწევნით უნდა გააკეთოს სინქრონული თარგმნა და არა ისე, რასაც უნდა თარგმნის, რასაც უნდა არა. იმედს ვიტოვებ ინგლისურ ენაში თარგმნილ ტექსტში ამდაგვარი „ლაფსუსები“ არ არის.

ამა წლის 11 ივნისს, როდესაც დამაკავეს ორ თანამებრძოლთან ერთად, მრგვალი მაგიდის პრესსამსახურმა საპროტესტო განცხადება გააკეთა, სადაც მე, რომელიც გახლავართ საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირის წევრი, შეგნებულად თუ უვიცობით (ორივე შემთხვევაში დასაგმობია) რადიკალური კავშირის მაგივრად თქვეს – ნაციონალური კავშირი. ამავე უზუსტობით ითარგმნა უცხოურ ენებზე, თუმცა ამას დიდი წივილ–კივილი არ მოჰყოლია (აბა მე შემშლოდა!) მრგვალი მაგიდის პრეს–ცენტრის პრეს–სპიკერს უნდა მოეხსენებოდეს, თუ რა ორგანიზაციები შედიან საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალ მაგიდაში და უნდა იცოდეს ზუსტი სახელწოდებები.

აქვე აღვნიშნავ, როგორც ქ-ნი ირინე ტალიაშვილი იტყოდა, ეროვნული მოძრაობის ჩრჩილები, რომელნიც სასტიკ წინააღმდეგობას მიწევდნენ, ასევე იმ ადამიანებს, რათა პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით ჩატარებული საპროტესტო აქციები ჩაშლილიყო. გირჩევთ იაქტიუროთ უსამართლობის წინააღმდეგ და არა პირიქით. მიხედეთ უკანონო პატიმრებს, რომელთაც სააკაშვილის გულაგებში სიკვდილი ემუქრებათ.

მთავარი ერთია, ვერც მოყვარემ და ვერც მტერმა ვერანაირად დაიჯერა, რომ მე ოდესმე ოდნავ ჩრდილს მივაყენებდი დიდ ზვიად გამსახურდიას და მის სახელს არ დავიცავდი. ვინც კი ეს ამბები გაიგო სასაცილოდაც არ ეყოთ. ათი წლის ვიყავი, როდესაც ეროვნულ მოძრაობაში მივედი პირველად მიტინგზე 1988 წელს და მოვდივარ დღემდე. სადაც ვიყავი, თუნდაც ორთაჭალის ციხეში, ან კპზ–ში დაპატიმრებული, ყველგან ჩემი კვალი დავტოვე, პატივისცემის და საბრძოლო მუხტის, მათ შორის კრიმინალურ ავტორიტეტებთან ასევე პოლიციელებში და სპეცრაზმში,რადგან შინაგანად ისინიც პატივს სცემენ მოუსყიდველ და უღალატო ადამიანებს. დღეს სკოლაში ბავშვებს საქართველოს ისტორიას ვასწავლი და ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მოსწავლეებს ვუყვარვარ. თან, შესაძლებლობა მაქვს მათთან ვისაუბრო მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიაზე, რომელნიც ბრწყინავენ საქართველოს ისტორიაში.

ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო თანადგომისა და მხარდაჭერისათვის ქ-ნ ეთერ მგალობლიშვილს.

**ირაკლი შონია**

**P.S. ამ წერილში მინდოდა კიდევ რამდენიმე „ღრმადპატივცემული“ ვაჟბატონებიც მომეხსენებია, მაგრამ, ამჯერად დავინდე. ნათქვამია „რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის“.**

# სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დაჯილდოვებული "გმირები"



გაურკვეველი წარმომავლობისა და დანიშნულების, ოპოზიციურ ტელეარხად წოდებულ „კავკასიის“ მეპატრონე აქუბარდიასთან ერთად, ერთ ბედნიერ დღეს, მისთვის უჩვეულო პოზასა და ჩაცმულობაში მოგვევლინა ქართული პოლიტიკის „ვარსკვლავი“, ფრანგული ორდენის — „რაინდული ღირსების ორდენი“-ს კავალერი გოგა ხაინდრავა.

პიჯაკზე ორდენ მიმაგრებულ ხაინდრავას სიფათიც მორგებული და მიმაგრებული ჰქონდა.

კმაკოფილი და ბედნიერია ხაინდრავა, რამეთუ მისი შრომა და ამაგი საერთაშორისო სარბიელზე დაფასდა.

აქუბარდიასთან მასლაათი ერთ საათზედ მეტი გაგრძელდა. აქუბარდია, რომელიც ყოვლისმცოდნეობის პრეტენზიით ზღუდავს და ახშობს ნებისმიერ კომპეტენტურ სტუმარს და შეუძლებელს ხდის კომპენტენტური აზრის სრულფასოვან მოსმენას, ხაინდრავასთან უტყვი მსმენელ — მასპინძელი იყო.

გადაცემიდან შევიტყვეთ, რომ ეს ორდენი საფრანგეთის პრეზიდენტ შარლ დე გოლს დაუარსებია და საფრანგეთის პრეზიდენტი გადასცემს ამ ჯილდოზედ წარდგენილ ნომინანტებს მას ამა თუ იმ სფეროში გაწეული ღვაწლის შესახებო.

წამყვანი და მოპასუხე გაუთავებლად საუბრობდა კეთილშობილურ თვისებებზე, რაინდობაზე, ღირსებაზე, სიმართლისთვის და სამრთლიანობისთვის ბრძოლაზე და ასე შემდეგ.

ჩვენი წერილის მიზანია გავარკვიოთ, თუ რა „ღვაწლი და ამაგი მიუძღვის“ ამ „პოლიტიკოსს“ ჩვენი გავერანებული სამშობლოს წინაშე.

სიტყვაკაზმულად საუბრობდა გადაცემის სტუმარი, სიტყვაკაზმულად გვაყრიდა თვალში ნაცარს, თავს სიმართლისათვის, თავისუფლებისათვის მუხლჩაუხრელ მებრძოლად გვისაღებდა.

გადაცემის მსვლელობისას შიგა და შიგ მაყურებლის ზარები გაისმოდა, რომლებიც ხოტბა- დიდებას ასხამდნენ და სიყვარულს ეფიცებოდნენ ორდენოსან რაინდს და ისიც „სტოიკურად“ იღებდა მილოცვებს, ჩვენ, რა თქმა უნდა შორსა ვართ იმ აზრისაგან, ვინმეს ვისმესი სიყვარული და პატივისცემა დავუშალოთ. არა, ყველა მატარებელს თავისი მგზავრი ჰყავს დანიშნულების ადგილამდის მისაყვანი...

საბედნიეროდ, საქართველოში ჯერ კიდევ ცოცხალია ხალხი, ვისაც ახსოვს ხაინდრავას „საქმენი საგმირონი“.

მოვიყვანთ იმ „მარგალიტებს“, რომლითაც საფრანგეთის ორდენის კავალერს ამკობდნენ ყოფილი თუ ახლანდელი თანამებრძოლები. „მარგალიტები“ შეუკრიბავს გაზეთ „დრონ“-ს, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

მაშ ასე, ხაინდრავას ამ ორდენის მინიჭებით თავი მართლაც რაინდად წარმოუდგენია და კუდი ყავარზე გააქვს.

ვნახოთ რას წერენ ხაინდარავას შესახებ მისი ყოფილი და ახლანდელი თანამებრძოლები, თუ მოწინააალმდეგეები.

ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი და საბაბი კონფლიქტების დარეგულირება და მათი მშვიდობიანი გადაჭრა ყოფილა.

**პაატა ზაქარეიშვილი:** თუ ხაინდრავა თავისი დაჯგუფებით აფხაზეთში იბრძოდა, აფხაზების წინაალმდეგ, ვერ გავიგე, ამ კაცს რა უნდა კონფლიქტების მინისტრად, რა კონფლიქტი უნდა მოაგვაროს, როცა აფხაზები ცალსახად აფიქსირებენ, „ვინც იარაღით გვებრძოდა, იმ ხალხს სახალხო დიპლომატიის დონეზეც კი არ დაველაპარაკებით, არა თუ სახელმწიფო დონეზეო“.

**ზვიად ძიძიგური:** „არ მომწონს ხაინდრავას დანიშვნა კონფლიქტების მინისტრად, როცა ეგ აფხაზეთში იყო სახელმწიფო მინისტრი, მის სახელს უკავშირდება ბევრი სიბინძურე, მათ შორის აფხაზებთან და რუსებთან ერთად კონტრაბანდული ბიზნესი, და რა დაუშლის იგივე აკეთოს ოსებთან და კოკოითთან ერთად?“

**მიხეილ ქარელი:** „გოგა ხაინდრავა ოსურ ლუდსა და ხაბიზგინებზე ქეიფობს ცხინვალში, საეჭვო ხალხთან. ის ნამდვილად ვიცი, ამ ხალხს საქართველოს სიკეთე ნამდვილად არ უნდა და ბევრი მათგანი 90-იან წლებში იარაღით იბრძოდა ჩვენს წინააღმდეგ“.

ხაინდრავასთვისაც ხომ ის ხალხია მისაღები და სამეგობრო, ვინც 90 –იან წლებში ლახვარი ჩასცა საქართველოს!

**გუბაზ სანიკიძე:** „გოგა ხაინდრავამ, ჯერ იმ დიდ კითხვის ნიშნებს გასცეს პასუხი, როცა აფხაზეთში სახელმწიფო მინისტრად მუშაობდა. დღეს ყველა ამბობს, რომ გაგრა გაიყიდა, გაგრა ჩაბარდაო. თუ თანამონაწილე არ არის ხაინდრავა ამ ისტორიული ღალატისა, გამოვიდეს და თქვას, ვინ ჩააბარა გაგრა. ის ცალკე იყოს, როცა იარაღით ხელში დარბოდა ზვიად გამსახურდიას დასამხობად, ამაზე ისტორია გასცემს პასუხს და აქ თუ არა, იქ, ღვთიურ სამსჯავროზე მოეკითხება“.

**მიხეილ ქარელი:** „გოგა ხაინდრავამ, ბორის ჩოჩიევის გარემოცვასთან ერთად, აართქლა ეუთოს საკმაოდ სოლიდური გრანტი, რომელიც ქართული და ოსური სოფლების ინფრასტრუქტურას უნდა მოხმარებოდა. ფული შეჭმულია, თითი არავის დაუკარებია, სამუშაოები არავის შეუსრულებია და ქაღალდზე თანხა ათვისებულია. იმ სოფლებში მგონი, არც შესულან საერთოდ. კარგი იქნება, თუ ეუთო და ქართველი სამართალდამცველები ერთად დაიწყებენ ამ თანხის ასავალ-დასავალის მოკვლევას“.

ამ ვაჟბატონს კი ერთი სურვილი ამოძრავებს, გამოიკვლიოს დღეს მის გარეშე გაიმასქნებული კოლოსალური თანხები, აბა, გაბედეთ და რომელიმემ მოკითხეთ მას ეუთოს გრანტი, მტრისას, ისეთი დღე დაგადგებათ!...

ახლა სხვა მხარესაც მოვუსმინოთ:

**მამუკა კაციტაძე:** „მე მაქვს ძალიან დიდი და საფუძვლიანი ეჭვი, რომ ცხინვალის რეგიონში ოქრუაშვილი და ხაინდრავა ვერ იყოფენ კონტრაბანდისტულ ტვირთს და ამის გამო ერთმანეთს ებრძვიან“.

ჩვენ არ ვიცით, ზუსტად როდის გამოთქვეს ზემოხსენებული მოსაზრებები ქართველმა პოლიტიკის ვარსკვლავებმა(გაზეთ დრონში მითითებული არ არის), დღეს კი ისინი ერთიან ოპოზიციურ არმადას წარმოადგენენ.

ჩვენ ყველას ისიც კარგად გვახსოვს, როდესაც გოგა ხაინდრავამ და მისმა კომპანიამ საქართველოს სახელმწიფოს და ქართველი ხალხის დაუძინებელი მტერი ტორეზ კულუმბეგოვი პოლიტპატიმრად გააასაღა და დედამიწა შეაზანზარა – არიქა, გამსახურდია ოს ხალხს სდევნისო. მაინც რა რიგად შესტკივა გული ამ ჩვენს საფრანგეთის „ღირსეულ“ რაინდს „დევნილ და ტანჯულ“ ოსებზე, დღესაც ცხარე ცრემლებს აღვარღვარებს: ამ ხალხს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული სახელმწიფოს წინაშეო. უწიგნურსა და უვიცს დღევანდელ კასტას უწოდებს და თვითონ თუ წაუკითხავს საქართველოს ისტორია, თუ წაუკითხავს ფარნავაზიდან მოყოლებული რა ხეირს აყრიდნენ საქართველოს მისი ქებული ძმები, ხაინდრავა, ვახტანგ გორგასალსაც ჯვარს აცვამდა, უთუოდ, ოსი ხალხის უფლებების შელახვის გამო.

თავი გავანებოთ ადრეულ საუკუნეებს, სულ ახლახანს, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დღემოკლე არსებობის ჟამს, თუ როგორი თანადგომა და ერთგულება გაუწიეს ოსებმა საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს, წაიკითხოს ქართველი მეცნიერების ნაშრომები და არა მარტო ქართველების, არამედ არაქართველი მეცნიერების ისტორიული ნარკვევებიც, სადაც პირუთვნელად და სამართლიანად არის აღწერილი ფრანგული რაინდული ღირსების ორდენოსანი ქველი რაინდის ხაინდრავას ძმების „გმირობა“.

მაგრამ ხაინდრავას ფეხზე ჰკიდია ქართველი ხალხი და მისი უფლებები მის მშობელ მიწაზე!

მოვუსმინოთ რას ამბობს საფრანგეთის ახლად გამომცხვარი რაინდის შესახებ იმდროინდელი ამბების მომსწრე;

**ლევან ხაჭაპურიძე, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს მისი წარმომადგენელი დიდი ლიახვის ხეობაში:**

**„რატომ არ გამიხმა ის ხელი, რომლითაც ხაინდრავას ავაცილე. ხაინდრავა კაცი კი არა – არა კაცია! რამდენიმე დღე მატყუა, ცოცხლები არიან ბიჭებიო, მერე ოთხ ოჯახს და ამხელა სანათესაო-ჭირისუფალს ერთიანად ატყუებდა.**

**რამდენიმე კარგად მოხვდა მინისტრ ხაინდრავას ყბაში ჩემგანაც და სხვა ბიჭებისგანაც, კურდღელივით გაიქცა (ფრანგული რაინდული ღირსების ორდენის კავალერი, რომელიც სიმხდალესა და კურდღლობაში სხვას დასცინის – ა.ს.). ეგ ხეობაში ველარ შემოადგამს ფეხს, მე იქით ვიყო, ხალხია ძალიან აჯაგრული – ხაინდრავა აქ ამოსული რომ ვნახოთ, ცოცხალს არ გავუშვებთო.**

**ამ ხალხმა 15 წელი გაიტანა ერთმანეთი, ალყაში არიან, ტყვიების წვიმაში არიან, მაგრამ მშობლიური მიწა არ მიუტოვებიათ. ერთგულებისა და სიტყვის ფასი იციან და ვერ იტანენ გაიძვერა და სიტყვის გამტეხ ხალხს – ხაინდრავასნაირებს.**

ქართველი ხალხის სამართლიანი უფლებების დამცველს, მის ჭირისუფალსა და სარანგს, დედ-მამითა და სისხლ-ხორცით, სულითა და გულით ქართველ ზვიად გამსახურდიას, რა განაჩენიც გამოუტანეს დასავლეთელმა დემონთკრატიის მამებმა, ამის მომსწრე და მნახველია ჩვენი თაობა. მათი ვერდიქტით, საქართველოს მიწაზე, ათასი ჯურის ავაზაკისა და გადამთიელის უფლებებს უნდა ენაცვალოს ამ მიწის ღვიძლი შვილების სასიცოცხლო ინტერესები და ვინც ამას ცხოვრებაში გაატარებს, მის მკერდს არ მოაკლდება ეშმაკის მოციქულთა ჩინ-მედლები და ორდენები, ხოლო ქართველთა ქომაგსა და მეოხეს — ეკლესიის ქონგურებიდან დაშენილი ჭურვები.

ბოლო დროს, გოგა ხაინდრავას მიმართ, ხშირად გაისმის ბრალდება 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობის შესახებ. საფრანგეთის რაინდული ღირსების რაინდი შეძლებისდაგვარად ცდილობს დაფაროს წარსული საქმენი საგმირონი და აცხადებს: იარაღი მქონდა, მაგრამ ქართველისათვის არ მისვრიაო.

აგერ უკვე სამი წელიწადია, ხაინდრავა აღშფოთებული და შეძრწუნებულია, 7 ნოემბერს რეზინის ტყვიები დაგვიშინა მიშას ხელისუფლებამო, ამ ავაზაკს ის კი ავიწყდება, როგორ ტყვიებს უშენდა თვით საქართველოს მტრებისა და მოღალატეების მიერ მოწყობილი ამბოხის შედეგად ქვეყნიდან განდევნილ მის პირველ და ჯერჯერობით უკანასკნელ კანონიერ პრეზიდენტს.

ამ და სხვა ავაზაკთა მამხილებელი სანდო და წყალგაუვალი საბუთები დაგვიტოვა მათმა სულიერმა წინამძღოლმა და უსტაბაშმა ჯაბამ.

ავაზაკთა უსტაბაშმა ჯაბამ, მიაბარა რა ეშმას სული, შთამომავლობას მართლაც რომ ჩინებული მამხილებელი საბუთები დაუტოვა, რომელიც არანაირ რევიზიასა და გადახედვას არ ექვემდებარება!

მოვუსმინოთ ჯაბას:

**ჯაბა იოსელიანი: „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: 6 იანვარს გამთენიისას ბარათაშვილის ხიდთან გოგა ხაინდრავას „დევიატკამ“ და გია სვანიძის ბიჭებმა გაუხსნეს ცეცხლი ზვიად გამსახურდიას და მის მომხრეებს. პირველმა, ვინც ისროლა – ხაინდრავას ხალხმა თუ ჩვენებმა – „მხედრიონელებმა“, ვერ გეტყვით. ეს იყო შეცდომა, რადგან, როცა კაცს ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევ და კაცურად ჰპირდები უსაფრთხოდ დასტოვებ ქვეყანასო, უნდა შეასრულო.**

**მერე გოგაც და გიაც მიმტკიცებდნენ, ბატონო ჯაბა, ჯერ იმათ გვესროლეს ავტობუსებიდანო, მაგრამ ამხელა კაცი მაგას ვჭამ? რა ესროლეს? ერთი სული ჰქონდათ, ბუნკერიდან თავდაღწეულებს, საქართველო მშვიდობიანად დაეტოვებინათ. არა, მაგარი მიქარვა მოუვიდათ, თან იმ ავტობუსში ქალები და ბავშვები ისხდნენ, პრეზიდენტს რომ თავი დავანებოთ!**

**რაღა უნდა მექნა? დავტუქსე ორივე, ბოდიში, აღარ ვიზამთო და ეგ იყო.ცხონებული გია მართლა შეწუხებული იყო, კიდევ კარგი არ მოვკალით ვინმეო. მეორედ აღარ ვიზამთო, ეგ იყო მაგარი – მგონი შევარდნაძის ჩამოგდებასაც აპირებდნენ, ეგრე გამოუვიდათ, რა“.**

ხედავთ, გია სვანიძე შეწუხებულა ძლიერ, ეს ვაზაკი კი დღესაც გაიძახის, არ ვნანობ გამსახურდიას რომ დავუპირისპირდიო და ასეთ კაცს ასხამს მისებრ ავაზაკი გმირისა და რაინდის შარავანდედს.

არსებობს მრავალი საბუთი და მტკიცებულება იმის შესახებ, რომ იმ ავადმოსაგონარ, საქართველოს დამაქცევარ დღეს, ქაშუეთის ეკლესიის ეზოდან, გოგა ხაინდრავამ და მისმა ყაჩაღების „დევიატკამ“ გაისროლა პირველი ტყვია:

**გურამ პეტრიაშვილი,** ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს წევრი (შენიშვნა: დედანში სწორედ ასე სწერია, ჩვენ კი ერთს შევახსენებდით გაზეთ „დრონის“ პატივცემულ რედაქციას, რომ ის უზენაესი საბჭო, ზვიად გამსახურდიასი კი არა, საქართველოს უზენაესი საბჭო იყო, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ აირჩია და თავკაცობა ზვიად გამსახურდიას მიანდო. ასეთი შეიძლება ვთქვათ შევარდნაძის სახელმწიფო საბჭოდ წოდებულ გკჩპ-ზე, შევარდნაძის იმედისა და მილიონი სამუშაო ადგილის პარლამენტებზე, რომლებიც, მართლაც რომ არ აურჩევია საქართველოს მოსახლეობის

*დასასრული მე-16 გვ.*

# სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დაჯილდოვებული "გმირები"

*დასაწყისი მე-15 გვ.*

დიდ უმრავლესობას, — ან კიდევ, მიშას სალაყბოებზე): სწორედ გოგა ხაინდრავამ ისროლა პირველი ტყვია ქაშუეთის ეზოდან, ამ უწმინდურმა ისროლა პირველად მთავრობის სახლის მიმართულებით. პირველი მსხვერპლი იყო გია ბახია, გოჩა ბახიას ძმა. მერე, როცა სიგუაკიტოვანმა და იოსელიანმა მოგვცეს ხელშეუხებლობის გარანტია, 1992 წლის 6 იანვარს, გამთენიისას, ბარათაშვილის ხიდთან, სწორედ ხაინდრავამ და მისმა „დევიატკამ" გაგვიხსნა ცეცხლი. იქ იმყოფებოდნენ ზვიადიც, მისი ოჯახიც, მცირე წლოვანი ბავშვები".

საინტერესოა, საფრანგეთის პრეზიდენტს ყველაფერი ეს რომ წაეკითხა, მოაწერდა კი იმ გუჯარს ხელს, რომლითაც ეს ორდენი ჩამოკიდა ხაინდრავას?

არ მოაწერდა!

საფრანგეთის პრეზიდენტმა ხომ ამ ორდენით ლანა ღოღობერიძე, დიდი ქართველი ბოლშევიკის ლევან ღოღობერიძის ასული დააჯილდოვა, ლანა ხომ მისი მამის საქმეების ღირსეული გამგრძელებელია. საფრანგეთის პრეზიდენტმა, აჯილდოებდა რა, პუტჩისტ ხელოვანს, უთუოდ იცოდა მისი მამის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „Вы знаете, товарищи, что в Грузии дворянство составляет 6 процентов населения. Это необыкновенный процент, которого нет ни в одной другой стране. Даже в Польше, стране панов, число дворян достигает 4 процентов. Мы должны сократить в Грузии процент дворянства" — **Леван Гогоберидзе**.

ამ ორდენით დაჯილდოებულია მეორე არანაკლებ პუტჩისტი ხელოვანი ოთარ იოსელიანი (როგორც ამბობენ, დედით ოსი), რომლის ფილმებს გულმოდგინედ ეწაფება დასავლეთის დემონთკრატიული ელიტა, მის კადრებზე აღბეჭდილია „საბრალო ოსების" ხვედრი გამსახურდიასეულ საქართველოში.

არაკაცობისა და არაკაცური იდეოლოგიის შექმნასა და მის პროპაგანდაში სამარცხვინო წვლილი მიუძღვის **კრიმინალურ ინტელიგენციას** — აქ მოტანილია მაგალითები იმისა, თუ როგორ იქმნებოდა და ვრცელდებოდა მთელს მსოფლიოში ბოროტი, არაკაცური სიცრუე — ადამიანის უფლებების ვითომ დიდი ქომაგის, აღიარებული რეჟისორის, მაგრამ არაკაცის **ოთარ იოსელიანის** ფილმის „**Seule, Georgie** — ული საქართველოს (1994)" მაგალითზე.

მოღალატე, კრიმინალური ინტელიგენციის შეთითხნილი სიცრუე, შემდეგ მასობრივი ტირაჟებით ვრცელდებოდა მთელს მსოფლიოში და ფართოდ გამოიყენებოდა ქართველი ერის წინააღმდეგ. კერძოდ „Seule, Georgie — მხოლოდ საქართველო" (განსხვავებით დოკუმენტური ფილმისაგან „შევარდნაძის მხილება" — რომელიც მასზე ბევრად ადრე, 1992 წელს გამოვიდა და მხოლოდ ერთხელ იყო ნაჩვენები ამერიკაში და არც ერთხელ არ ყოფილა ნაჩვენები ევროპასა ან რუსეთში) მრავალგზის იყო ნაჩვენები ევროპაში, ამერიკაში და განსაკუთრებით რუსეთში!

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ თითქმის საათნახევრიან, ფარისევლურ — ვითომ ობიექტურ და ვითომ დოკუმენტურ ფილმში, რომელიც მთლიანად საქართველოს 1998-1994 წლების მოვლენებს მიეძღვნა — გაკვრითაც არ არის ნახსენები საერთაშორისო ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების მიერ ფართოდ დოკუმენტირებული ის მხეცობები და ადამიანის უფლებების საშინელი დარღვევები, რომლებიც არაკაცთა ხუნტამ ჩაიდინა — მთელი ფილმი კანონიერი ხელისუფლების ნომენკლატურული კრიმინალიტეტის მიერ დამხობის გამართლებას ემსახურება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ თითქმის საათნახევრიან ფილმში, რომელშიც მოიძებნა ადგილი ყველა, ასე თუ ისე გამოჩენილი პუტჩისტის ყბედობისათვის — და რომელშიც ყბადაღებულად ქადაგებენ, რომ გამსახურდიას რეჟიმი, თითქოს მოწინააღმდეგეთა სიტყვასა და აზრს ახშობდა — **არ და ვერ მოიძებნა ადგილი კანონიერი ხელისუფლების, თუნდაც ერთი წარმომადგენლის, ან მომხრის აზრის გამოხატვისათვის** — „პლურალიზმის" თვალნათელი დადასტურება...

http://mamuli.net/Simartle/default.asp?bpgpid=111&pg=1

ხედავთ ქართველებო, ის ჩვენი დასავლეთელი მეგობრები, ვის და რის გამოც აჯილდოებენ?

ასე, რომ ეს ორდენი ვერაფერი სამაყო და საბაქიბუქოა!

შორს არ არის ის დღე, როდესაც ქართველი ხალხი ამ მოღალატე მანქურთებს საკადრის ორდენებს მიუძღვნის!

ხაინდრავა ახსენებს ნაპოლეონის მიერ დაარსებულ საპატიო ლეგიონის ორდენს, რომელიც თვით ნაპოლეონმა გადასცა კაცობრიობის ყველა დროის უდიდეს მოაზროვნესა და შემოქმედს გერმანელ იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს, რომელმაც მისი ქვეყნის დამპყრობელს დითირამბები მიუძღვნა და გენიოსი უწოდა, გოეთე დიდი სიამაყით ატარებდა ნაპოლეონის მიერ ბოძებულ რკინის ჯვარს. მაშინდელი გადმოცემებიდან ცნობილია ისიც, რომ გოეთე დიდად არ თანაუგრძნობდა გერმანელი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას, პირიქით...

ისევ საფრანგეთის ორდენების შესახებ, საფრანგეთის მთავრობები ორდენებს წითელი ჯვრისა და წყალწაღებულთა მაშველთა კორპუსის სამკერდე ნიშნებივით ურიგებდნენ ყოველი ჯურის ავაზაკსა და გარეწარს, მათ შორის ბორის ელცინსა და ვლადიმერ პუტინს.



საფრანგეთის საპატიო ორდენი აქვს, აგრეთვე მიღებული რუმინეთის ყოფილ დიქტატორს ნიკოლაი ჩაუშესკუს, მას დასავლეთის დემკრატიის მებაირახტრე ქვეყნების მთავრობებიდანაც აქვს მიღებული ორდენები. აი, ისინიც: ორდენი „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინაშე დამსახურებისათვის", დანიის სპილოს ორდენი, დიდი ბრიტანეთის ბანის საპატიო ორდენი, წმინდა ოლაფის ნორვეგიის სამეფო ორდენი.

ბრიტანელების ორდენებზე უამრავ ნომინანტს განუცხადებია უარი, მათ შორის კანადის პრემიერ მინისტრ ალექსანდერ მაკნეზის, რომელმაც შეუთავსებლად ჩათვალა ჯილდოს მიღება შოტლანდიაში მომხდარი მოვლენების გამო. აი, ეს არის ჭეშმარიტი ღირსება, რომელსაც ამ გადაცემაში წამდაუწუმ ახსენებდა ხაინდრავა. საერთოდ ღირსებაზე, პატიოსნებაზე და ამგვარ კეთილშობილურ თვისებებზე გაუთავებლად გაჰკივის ის, ვისაც ამ თვისებების ნატამალი არ გააჩნია, თორემ ღირსებიანი და პატიოსანი კაცი უსიტყვოდ აშუქებს გარშემო მყოფთ და აკეთილშობილებს მათ.

გერმანიის კანცლერმა ქალბატონმა ანგელა მერკელმა კარლოს დიდის საერთაშორისო პრემია გადასცა პოლონეთის ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრს დონალდ ტუსკის ევროპის გაერთიანების საქმეში გაწეული წვლილის გამო. დონალდ ტუსკი კი წარმომავლობით განეკუთვნება კაშუბელ ეთნიკურ უმცირესობას, ზოგიერთი წყაროს ცნობით კატინ 2 ტრაგედია (2010 წლის 10 აპრილი) პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკისა და პოლონეთის სახელმწიფო ელიტის წარმომადგენლობის განადგურებით (ავია კატასტროფა), რუსეთის პრემიერ მინისტრ პუტინთან მისი საიდუმლო გარიგებით განხორციელდაო. აი, ამგვარად უთხრიან ძირს არააბორიგენი მოსახლეობის წარმომადგენლები ამა თუ იმ ქვეყნების სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ამის მსგავის მაგალითები მრავლად გვაქვს საქართველოს ისტორიაშიც.

საფრანგეთის მთავრობა, დემოკრატიის განვითარებისათვის, ადამიანის და ეროვნული უმცირესობების უფლებების „განუხრელი დაცვისათვის" აჯილდოებს საქართველოში „ჩაგრულ ოსთა" ინტერესების თავდადებულ დამცველს ვინმე გოგა ხაინდრავას, ეს იმ დროს, როდესაც დემოკრატიის აკვანში – საფრანგეთში ხელისუფლება „დემოკრატიული მეთოდებით" ახშობს თავისუფლებისათვის მებრძოლ ბრეტონელების, კორსიკელების, კომორის კუნძულების მოსახლეობის ნებას. ჩვენთან კი, შეიარაღებული ექსტრემისტებისა და მკვლელების უფლებების დამცველს, ორდენით აჯილდოვებს. ასეთი რამ მხოლოდ საქართველოს მიმართებაშია დასაშვები, ის ხომ „მცირე იმპერიაა"!

კიდევ ერთი კურიოზის შესახებ; დანიის უმაღლესი სპილოს ორდენით დაუჯილდოებიათ ბენიტო მუსოლინიც (!). ხოლო საკუთარი სამშობლოს თავისუფლებისათვის, ადამიანის ჭეშმარიტი უფლებებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ზვიად გამსახურდია, იგივე დასავლურმა სამყარომ ანათემას გადასცა და შეაჩვენა.

მიზეზი?

– ზვიად გამსახურდია თავისი ქრისტიანული მრწამსითა და მეობით წინ აღუდგა გადაგვარებულ და ეშმას გზაზე მიმავალ ამა ქვეყნის ძლიერთ, ამხილა ისინი სიცრუესა და ბოროტებაში, ფარისევლობასა და ფსევდო დემოკრატიაში!

ახლა კი ხაინდრავას პორტრეტის შტრიხებისათვის:

რაც შეეხება გოგა ხაინდრავას და მისი მოღვაწეობის ერთ სფეროს, რომელიც რატომღაც ფართო საზოგადოებისათვის ფარდა წაფარებულია.

ეს „მოღვაწეობა" მჭიდრო კავშირშია მის მრავალჯერად მინისტრობასთან. ხაინდრავა მინისტრობასთან შეთავსებით ეწეოდა ნარკოტიკების მოხმარება-გასაღების საქმიანობასაც მოყოლებული აფხაზეთის ომიდან დამთავრებული ცხინვალის ომით.

2005 წლის აპრილში გოგა ხაინდრავა იმყოფებოდა ცხინვალში. ვინმე ბორის ვალიევთან სტუმრობის შემდეგ ხაინდრავას მოუნახულებია ბორის ჩოჩიევი. მის კაბინეტში ნარკოტიკების „პერედოზიროვკის" შედეგად, გოგა ხაინდრავას კინაღამ წაუღია წერილი. გამოძახებულ ექიმს სათანადო მედიკამენტის ორმაგი დოზის შეშხაპუნებით გამოუბრუნებია ხაინდრავა ჯოჯოხეთის ბილიკებიდან.

ეს ყველაფერი კი ბორის ჩოჩიევს ვიდეოფირებზეც გადაუღია (ჟურნალი „პრაიმ ტაიმი", პაატა გაგნიძე)

ამ ფაქტამდის კი უფრო საჩოთირო ამბავიც დამართნია მინისტრ გოგას. ოსებთან „მოსალაპარაკებლად" ჩასული ხაინდრავა თბილისისაკენ ბრუნდებოდა, რუსულ საგუშაგოზე გაუსკვანჩავთ და 700 აბი სუბოტექსიც უპოვნიათ მისთვის, რომელიც ტყვიაგაუმტარი ჟილეტივით შემოუხვევია ტანზე. გასკვანჩულ ხაინდრავას მოუხერხებია, იმჟამად უცხოეთში მყოფ ზურაბ ჟვანიასთან დაკავშირება. ჟვანიას პრეზიდენტისთვის გადმოურეკავს და საერთაშორისო სკანდალის თავიდან ასაცილებლად, ოპერატიულად უმოქმედნიათ. თბილისში დაბრუნებული გოგა ხელისუფლების თავკაცებს უმტკიცებდა, რომ ის 700 აბი ჩემთვის მინდოდაო (?!). (გაზეთი „დრონი", ლევან ჯავახიშვილი).

გოგა ხაინდარავას მიერ მიშას და ვანოს მისამართით მრავალგზის განმეორებულ მუქარას, 6 მაისს გამოგიყვანთ წირვასო, 6 მაისიც ვიხილეთ, მაგრამ... მიშა და მისი ვანო უვნებელი და მრთელია, ხოლო ამ ავაზაკების მიერ მრავალგზის გაცუცურაკებული ხალხი კი ისევ ცხვირ-პირ შეღებილი დარჩა.

გოგა ხაინდრავა გულზე მჯიღს იბრახუნებდა, მთელს ქალაქს გამოვიყვანო, მიშას და ვანოს წესს ავუგებო, მაგრამ სააკაძის მოედანზე შეკრებილი მისი ამფსონების რაოდენობა მხოლოდ რამოდენიმე ასეულს თუ აღწევდა. გაბრაზებულმა ხაინდრავამ ჩვეული ქუჩური მარგალიტებით შეამკო თბილისი და თბილისელები. „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების".

აქ ერთ რამესაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, პუტჩისტების ხროვა, დღევანდელ დღეს ორივე ბანაკში თავშეფარებული ავაზაკები, ზვიად გამსახურდიას ბრალს სდებდა და სდებს — ყველას ლანძღავდაო. მხილებას ლანძღვად ასაღებდნენ. არა, ბატონ ზვიადს, ოდსმე ვინმეს პიროვნების ღირსების შეურაცხმყოფელი სიტყვა უკადრებია? ესენი კი ერთმანეთს რას არ აკადრებენ, დედის გინებასაც კი!

ზვიადი ჭეშმარიტ ქართულ ოჯახში იზრდებოდა, ჭეშმარიტი ქართველი დედა ზრდიდა, ხოლო ამათი გამზრდელ-აღმზრდელები, ვინ არიან ღმერთმა უწყის...

ისე რა შეხმატკბილებულად ღიღინებდა გადაცემის წამყვანი აქუბარდია და მისი ორდენოსანი მოპასუხე?! სულ ძმობას ეფიცებოდნენ ერთმანეთს. სულ ღირსება, ღირსებაო – ქაქანებდა ორი უღირსებო არსება. მაგრამ, ორიოდე კვირის შემდეგ, ხომ გამოჩნდა რა ღირსების მატარებელი და მქადაგებელია ეს ცრუ ეროვნული და დემოკრატიული ტელევიზია „კავკასია"?!

საინტერესოა, კიდევ გამოანათებს ხაინდრავა თავისი პიჯაკითა და საფრანგეთის ორდენით „კავკასიის" ფერადი ეკრანიდან?

ჭეშმარიტ ღირსებას არავითარი რკინის თუ ოქროს ორდენი არ სჭირდება დასტურად, ჭეშმარიტად ღირსეული კაცი, თვით არის ჩვენი საზოგადოების ორდენიცა და ჯილდოც! ეს რკინის ხარახურები სწორედ, რომ უღირსებოთათვისაა შექმნილი მათი უღირსობის დასამალად და მისაფუჩეჩებლად!

*უჩინო, უმედლებო და უორდენო,*
*უბრალო ქართველი*
**ალ. სანდუხაძე**

# პეტრე დიდი და რუსული ეკლესია

პეტრე დიდის უძლიერესი მოწინააღმდეგე მის ევროპეიზაციის პოლიტიკაში იყო ეკლესია და მართლმადიდებლური სარწმუნოება. მიტომ, პეტრე პირველის აქციების შესწავლა, რომელიც მიმართული იყო ეკლესიის წინააღმდეგ, იძლევა მისი რეფორმების ნათელ სურათს უფრო ფართო პერსპექტივაში. ის გვიჩვენებს რუსეთის მონარქის პიროვნების ორ მხარეს: ჭკვიანი და ეშმაკი პოლიტიკოს-რეალისტისა, ამასთანავე გამოუცნობი და დემონური მმართვლისაც კი. ეკლესიასთან ბრძოლა ნიშნავდა ბრძოლას ხელისუფლების მოცილე სტრუქტურასთან, აგრეთვე ბიზანტიური კულტურის მემკვიდრეობასთან, რომელიც ეგზომ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამ ეკლესიასთან.

სწამდა კი თვით პეტრეს ღმერთის? ბევრ მის ახალგაზრდულ წერილში გვხვდება მოკლე ლოცვები და ვერაფერი გვაიძულებს მის ეკლესიასთან დამოკიდებულებაში ეჭვი შევიტანოთ. პეტრეს სიამოვნებით მოჰყავდა ციტირება ბიბლიიდან, ხოლო როდესაც ცხოვრებისეული გზის დასასრულს ის აჯამებდა შედეგებს, თუ რის გაკეთება შესძლო თავისი ქვეყნისათვის, მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგობის მიუხედავად, ის მადლს უძღვნიდა ღმერთს და არა სხვა ვინმეს: „ჭეშმარიტად, ეს ღვთიური სასწაულია, და ეს შეიძლება დავინახოთ, რომ ყველა ადამიანური გეგმა – არარაობაა უფლის ნებასთან“.

პირიქით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მართლმადიდებლური ღვთისმოსაობის მისტიური მხარე მისთვის სრულიად უცნობი იყო. მისი ეკლესიური შეხედულებები ბნელით იყო მოცული მსროლელთა სისხლიანი ამბოხით, რომლის მოწმეც ის ბავშვობაში შეიქნა. ამ ამბოხს მეთაურობდა კონსერვატიული რასკოლნიკების ჯგუფი, სტაროვერებად წოდებულნი, რომლებიც მოგვიანებით მისი უმთავრესი მოწინააღმდეგენი გახდებიან.

ეკლესიისა და სახელმწიფოს იდეალური ურთიერთობა მართლმადიდებლურ სამყაროში არის შეხმატკბილებული მდგომარეობის არსი, ჰარმონია. ეს ნიშნავს, რომ ეკლესია თავს უძღვნის სასულიერო საკითხებს, კეისარი კი – საეროს. ეკლესია მორალურად მხარს უჭერდა სახელმწიფოს და იცავდა ხელმწიფის მართლმადიდებლურ რწმენას, იმავდროულად, როგორც სახელმწიფო ხელისუფლება, მხარს უჭერდა ეკლესიას საჭიროების შემთხვევაში თავისი საერო ძლიერებით. ასეთი იყო შეხედულებები ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რომელიც დამკვიდრდა ჯერ კიდევ იმპერატორ იუსტინიანეს დროს VI საუკუნეში. ფაქტიურად კი ბიზანტიაში საიმპერატორო ხელისუფლება ეკლესიაზე უდიდეს გავლენას ახდენდა. ამ სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ რამოდენიმე უმთავრეს საკითხში ეკლესია იმარჯვებდა თავის უთანხმოებაში იმპერატორთან, მაგალითად კამათში – უნდა ყოფილიყო თუ არა ხატები. VIII-IX საუკუნეებში ხატთან მებრძოლი იმპერატორები იძულებული შეიქნენ დაეთმოთ ეკლესიისთვის – ხატთთაყვანისმცემლისთვის. მაგრამ იმპერატორსა და ეკლესიას შორის ადგილი ჰქონდა რაღაცნაირ „ქონების განაწილებას“, და ამ ორი ინსტიტუტის ერთმანეთთან შერწყმის შესახებ ლაპარაკიც კი არ იყო. ასეთივე იდიალური სიმფონია იყო კიევის რუსეთშიც, მხოლოდ ივანე მრისხანის დროს უკვე XVI საუკუნეში რუსულმა ეკლესიამ დაიწყო თავისი ქონების თანდათანობითი დაკარგვა; 1587 წელს რუსული ეკლესია ნებაყოფლობით ჩამოშორდა ბერძნულს, არჩეულ იქნა საკუთარი პატრიარქი. ამან კიდევ უფრო შეასუსტა ეკლესიის როლი, რამდენადაც კონსტანტინეპოლის პატრიარქმა, რომელსაც ადრე შეეძლო ყოფილიყო ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის პაექრობაში საპირწონე, დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

პატრიარქი ნიკონი, რომლის მოღვაწეობა XVII საუკუნის შუახანებში წარიმართა, ცდილობდა ნაწილობრივ აღედგინა ეკლესიის დაკარგული გავლენა. იმავდროულად ნიკონმა გააღვივა კონფლიქტი რუსული ეკლესიის წიაღში, რომელიც აქამომდისაც არ ჩამქრალა. ნიკონმა შეიტანა ცვლილებები ეკლესიურ პრაქტიკაში, რომლებიც მოდიოდა ბერძნული დედა-ეკლესიის რიტუალთან შესაბამისობაში. ნიკონმა ეს ნაბიჯი მტკიცედ დარწმუნებულმა გადადგა, რომ ბერძნული ტრადიცია – უფრო სწორია. ის ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი როლი, როგორც უზენაესი ყველა მართლმადიდებლური იერარქებიდან. ამიტომაც იყო ეგზომ მნიშვნელოვანი რუსული ღვთისმსახურების მოყვანა მართალ რწმენასთან აბსოლუტურ შესაბამისობაში. ბევრი რუსი მორწმუნე უარს ამბობდა ბერძნული წესების მიღებაზე, მაგალითად სამი თითით პირჯვრის გამოსახვა და არა ორით, რომელიც შეესატყვისებოდა ძველ რუსულ ტრადიციას. ძველი ტრადიციების მომხრეებს ეწოდათ სტაროვერები (ძველმორწმუნეები ა.ს.). ისინი სასტიკად იდევნებოდნენ ნიკონის მიერ, მან ამაშიც მოიპოვა სახელმწიფო ხელისუფლების მხარდაჭერა. ნიკონის რეფორმებს მიზნად ჰქონდა ეკლესიის გაძლიერება, მაგარამ შედეგად ის შესუსტდა. რეფორმებმა გამოიწვია არა მარტო შინაგანი განხეთქილება, არამედ ნიკონსა და მეფის შორის კონფლიქტის თანდათანობითი გამძაფრება ეკლესიის ხელისუფლებისადმი დაუფლების გამო. მეფე ალექსეი მიხეილის ძემ გარკვეული დროის განმავლობაში თავზე აიღო ხელისუფლება ეკლესიაზედ. სხვათაშორის საჭიროა მივუთითოთ, რომ მიუხედავად ამ დროებითი შესუსტებისა, ეკლესია კვლავ რჩებოდა რუსული საზოგადოების ერთობ მნიშნელოვან ძალად. მაგრამ ეკლესიის შესუსტება თავის თავში ატარებდა ერთ-ერთს პეტრე დიდისეული რეფორმების წინამძღვრებიდან. რეფორმები კი, როგორც ასეთი ნიშნავდა იმ დროისათვის ერთ ნაბიჯს ეკლესიის თვითმყოფადობის სრულ შეცვლაზე და მის მარგინალიზაციაზე რუსულ საზოგადოებაში.

## პატრიარქობის გაუქმება

ეკლესიის დამორჩილების პეტრესეული გეგმა ხორციელდებოდა თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ. ჯერ კიდევ ადრიანეს პატრიარქობისას (1690-1700) პეტრემ თქვა, რომ ის სულ მცირედითაც არ არის დაინტერესებული ძველი „სიმფონიის“ შენარჩუნებაში. ამრიგად, ის უარს ამბობდა, მაგალითისათვის, მონაწილეობა მიეღო ვირით მსვლელობაში ბზობის კვირას, ამ ძველი მოსკოვური ტრადიციით, როდესაც პატრიარქი მოსკოვში შემოდიოდა ვირზე ამხედრებული, რომელსაც მეფე უძღოდა სადავეებით. ეს იყო ქრისტეს იერუსალიმში შემოსვლის პერიფრაზა, მაგრამ პეტრესათვის ასეთი ცერემონია ნიშნავდა მეფური ღირსების დამცრობას.



1700 წელს ადრიანეს სიკვდილისთანავე პეტრემ მოსამსახურე გაგზავნა საპატრიარქოში, რათა გამოესყიდა ყველა ქაღალდი, რომელზედაც პატრიარქი ოფიციალურ დოკუმენტებს წერდა. ეს პეტრესათვის დამახასიათებელი პრაქტიკული ნაბიჯია და მოწოდებული იყო იმისათვის, რომ ეჩვენებინა — უკვე არ არსებობს პატრიარქის არანაირი ავტონომიური თანამდებობა. მაგრამ უპირველეს ყოვლისა პეტრე დაინტერესებული იყო იმით, რათა ამ თანამდებობისთვის აწი არავინ გარჯილიყო. თავისი გეგმის, მიმართული ეკლესიის თვითმყოფადობის სრული ლიკვიდაციისაკენ, განხორციელებაში თანაშემწეებს პეტრე არჩევდა ეპისკოპოსებიდან და მღვდლობიდან იმ ოლქებიდან, რომლებიც აწ უკრაინისა და ბელორუსიის ეკლესიებს განეკუთვნებოდა, ესე იგი, ტერიტორიებიდან, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში პოლონეთის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ. იქ უკვე დიდი ხანია განმტკიცდა ზოგიერთი დასავლურ-ევროპული იდეები, და საერთოდაც თავის რეფორმატორულ მოღვაწეობაში პეტრე იყენებდა ამ სლავ-მოდასავლეთელთა მხარდაჭერას. ამ მხარეთა სწავლული ეპისკოპოსები განათლებას პოლონეთისა და რომის კათოლიკურ სასწავლო დაწესებულებებში ღებულობდნენ. პეტრემ პირველად სტეფანე იავროველი მიიწვია, როემლმაც მიიღო locum tenens ტიტული, ესე იგი, საპატრიარქო ტახტის მპყრობელისა. მაგრამ მეფე მოტყუვდა მასში – სტეფანმა უარი განაცხადა გამხდარიყო პეტრე I დამჯერე იარაღად. ერთხელ სტაფანმა წარმოთქვა კონკრეტულად პეტრე I წინააღმდეგ მიმართული მძაფრი კრიტიკული ქადაგება. ამან მეფე ისე გააცოფა, რომ მან შემოიღო სამიტროპოლიტო ქადაგების წინასწარი ცენზურა.

სტეფანე იავორელით იმედგაცრუებულმა პეტრემ მოგვიანებით მიმართა სხვა იერარქს იმავე მხარეებიდან, თეოფანე პროკოპოვიჩს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მას კათოლიკური განათლება ჰქონდა, იმყოფებოდა პროტესტანტული იდეების გავლენის ქვეშ. თეოფანე გახდა ეკლესიის სფეროში პეტრეს გეგმების პრაქტიკული თანამგზავრი. თეოფანეს რწუნება იმისა, რომ მონარქი ერთდროულად ეკლესიის უზენაესი მეთაური უნდა იყოს, როგორც ამას პროტესტანტულ ქვეყნებში ჰქონდა ადგილი, ბუნებრივია იმსახურებდა პეტრეს მოწონებას. მაგრამ თეოფანე იცავდა, აგრეთვე პროტესტანტულ თეოლოგიურ პრინციპებსაც.

ამრიგად, ის სხვათა შორის, მრავალგზის ამტკიცებდა მართლმადიდებლური ტრადიციის საწინააღმდეგოს, რომ ადამიანი გადარჩება საკუთარი რწმენით, ხოლო მის ქმედებებს არ გააჩნია არავითარი გადამრჩენი ძალა. ამ სახით, თეოფანე უერთდებოდა მარტინ ლუთერის იდეას sola fide („верою единой“).

რუსულ ეკლესიას ტრადიციულად არ განუვითარებია საკუთარი თეოლოგია, თეოლოგიური ნაშრომები კი, შექმნილნი XVII საუკუნეში კიევში, იწერებოდა კათოლიკური და პროტესტანტული იდეების მძაფრი გავლენის ქვეშ. დასავლური გავლენა კი უფრო ძლიერი გახდა XVIII საუკუნეში, როდესაც თვით მისი თანმხლები არცთუ ვინმე სხვა, არამედ თვით თეოფანე გახდა. ეკლესია მისდევდა თავის ტრადიციულ რიტუალს და ლიტურგიკულ ტექსტებს. ამავე დროს თეოლოგია ხდებოდა მეტ-ნაკლებად კათოლიკური ან პროტესტანტული. ამ სახით რუსულ ეკლესიაში იქმნებოდა შინაგანი განხეთქილება, რომელიც დაძლეულ იქნა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში.

სტეფანე იავორელი ცდილობდა ხელი შეეშალა თეოფანელი ფსკოველი ეპისკოპოსებისათვის, ამტკიცებდა რომ ის ერეტიკოსი იყო, შემოჰქონდა რა პროტესტანტული დოგმები. ამ თავის წინაღდგომით მიტროპოლიტმა წააგო, თეოფანი გახდა პეტრეს ნდობით აღჭურვილი პირი და „პროპაგანდის მინისტრი“, მეფის ბოლომდე ერთგული და შეუქცევადი.

## საზღვარგარეთული ნიმუშები

იდეებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეეცვალა დამოკიდებულება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის თავდაპირველად ეძებდა ინგლისში. ერთ-ერთი მისთვის საინტერესო საგანი ინგლისში მოგზაურობისა იყო ანგლიკანური ეკლესიის მდგომარეობა. ის დაინტერესებული იყო ლუთერით და როგორც წყაროები გადმოგვცემენ, ვიტენბერგის მონახულებისას, რეფორმატორის ძეგლთან მიახლოებისას წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „ამ ადამიანმა ნამდვილად დაიმსახურა ამგვარი ძეგლი. მან დიდი სარგებლობა მოუტანა მრავალ ხელმწიფეს, რომლებიც სხვებს აღემატებოდნენ აზროვნების სიცხადით, და ის ვაჟკაცურად ეწინააღმდეგებოდა პაპს სრული თავისი მეამბოხეობით“.

პეტრე I თვლიდა, რომ ეკლესიას სწორედ სახელმწიფოსთვის უნდა მოეტანა სარგებელი და არავითარ შემთხვევაში, როგორც კათოლიკურს, არანაირი საკუთარი პრეტენზიები არ უნდა ჰქონოდა ხელისუფლებაზე.

საბოლოოდ პეტრემ თავისი საეკლესიო რეფორმებისათვის გადმოიღო შვედური მოდელი (ზუსტად ისევე, როგორც სახელმწიფო რეფორმებისათვის), ესე იგი ეკლესია სრულად უნდა დამორჩილებოდა საერო ხელისუფლებას.

მოსამზადებელ სამუშაოებს ძალიან დიდი დრო დასჭირდა და ეკლესია უფრო მეტ შეძრწუნებას გამოხატავდა, რამდენადაც მას არ შეეძლო ახალი პატრიარქის არჩევნების ჩატარება. როგორღაც მოულოდნელად მეფეს დაუსვეს პირდაპირი კითხვა ამ თემაზე, რომელზედაც მან ხუმრობით გასცა პასუხი „სწორედ ახლა ვამთავრებ მისი ანაფორის კერვას“. მაგრამ ის თეოფანესთან ერთად ამზადებდა პატრიარქობის გაუქმებას. 1720 წელს ეს რეფორმაც გატარდა, რომელიც უფრო გადატრიალებას ჰგავდა. პატრიარქობა შეიცვალა, მისი მოვალებანი გადაეცა სასულიერო კოლეგიას. თვით კოლეგიის იდეა, როგორც სახელმწიფო მმართველობის ნაწილი, პეტრემ გადმოიღო შვედური ადმინისტრაციული სტრუქტურიდან, რომელსაც ის სიამოვნებით აღიარებდა. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, ყველა ეპისკოპოსმა მოაწერა ხელი ახალ მდგომარეობას ეკლესიის შესახებ – სასულიერ რეგლამენტად წოდებულს – ზოგმა ნებაყოფლობით, ზოგმაც მუქარის ქვეშ. მეფის კურიერი მოგზაურობდა ქვეყანაში, გადადიოდა ერთი საეპისკოპოსოდან მეორეში, თან ჰქონდა ინსტრუქცია მიცემული, რომ ხელმოწერები ნებისმიერ ფასად მიეღო. საჭიროა დამატება, რომ ეპისკოპოსობა მთლიანობაში ღიად გამოხატავდა დათმობებს. მთელი XVII საუკუნის განმავლობაში სამღვდელოებამ სრულიად დაკარგა მისი მეამბოხე სული, რას განსაკუთრებით გამოიხატებოდა სტაროვერების წინააღმდეგ ბრძოლაში.

## რეფორმა

სასულიერო რეგლამენტს დაეწერა 1917 წლამდის არსებობის ბედი. კოლეგიის ხელმძღვანელობაში უნდა ყოფილიყო ეპისკოპოსები, არქიმანდრიტები და მღვდლები, 11 კაცის შემადგენლობით. კოლეგიის წევრები ინიშნე-

გაგრძელება მე-18 გვ.

# პეტრე დიდი და რუსული ეკლესია

*დასაწყისი მე-17 გვ.*

ბოდნენ მეფის მიერ. კოლეგია ექვემდებარებოდა მეფეს და სწორედ მეფეს ეძლეოდა უზენაესი უფლება გადაწყვეტილების მიღებისა. რეგლამენტში მითითებული იყო, რომ კოლეგიის უზენაესი მსაჯული მეფე იყო, რაც ბუნებრივია, სამღვდელოების მიერ აღიქმებოდა ღვთისმგმობელობად. უზენაესი მსაჯული, რათქმა უნდა სხვა არავინაა, თუ არა ღმერთი: „ Исповедую же с клятвою крайняго Судию Духовныя сея Коллегии, быти Самаго Всероссийскаго Монарха, Государя Нашаго Всемилостивейшаго“.

სასულიერო რეგლამენტი – საოცარი დოკუმენტია. დამატებებით ის წარმოადგენს დოკუმენტს, სადაც ერთიანად შერეულია კანონები, კომენტარები და განსჯები ეკლესიის მდგომარეობის შესახებ. შექმნილი მდგომარეობის გამო არსებობს პირდაპირი კრიტიკა, რუსმა ეკლესიის ისტორიკოსმა გიორგი ფლოროვსკიმ რეგლამენტს უწოდა პოლიტიკური პამფლეტი. რეფორმების მიზეზად რეგლამენტი მიუთითებს წესრიგის აუცილებლობაზე ეკლესიაში. პირველი თავი მოიცავს კოლეგიალური მმართველობის მთლიანი სარგებლობის პანეგერიკულ განსჯას. ის თავიდან იცილებს მექრთამეობას, ის წარმოშობს უკეთეს გადაწყვეტილებებს. თუ მხოლოდ ერთი ხელმძღვანელი არსებობს (პატრიარქის ტიტული არ მოიხსენიება) მაშინ წარმოიშობა პრობლემა – რა ვქნათ, როცა ის ავად გახდება ან მოკვდება. ეს არის თითქმის დემოკრატიის აპოლოგია, მაგრამ ის ყალბად ჟღერს, თუ გავიხსენებთ, რომ პეტრემ ყველაფერი თვითმპყრობელობის განსამტკიცებლად გააკეთა. არანაკლებ ნათელია დოკუმენტის მიზანი – განადგურება თვით საერო და სასულიერო ხელისუფლების შორის კონკურენციის შესაძლებლობისა: „Велико и сие, что от соборнаго правления не опасатися отечеству мятежей и смущения, яковые происходят от сдинаго собст-веннаго правителя духовнаго. Ибо простой народ не ведает, како разнствует власть духовная от Самодержавной; но великою Высо-чайшаго Пастыря честию и славою удивляемый, помышляет, что таковый правитель есть то вторый Государь Самодержцу равносильный, или и больши его, и что духовный чин есть другое и лучшее Государство, и се сам собою народ тако умствовать обык. Что же егда еще и плевелныя властолюбивых духовных разговоры приложатся и сухому хврастию огонь подложат? Тако простые сердца мнением сим развращаются, что не так на Самодержца своего, яко на Верховнаго Пастыря, в коем либо деле смотрят“.

დანარჩენში რეგლამენტი მოიცავს საეკლესიო წესდებას, რომელშიც დიდი ადგილი ეთმობა დისციპლინის საკითხს. ორ ადგილას განსაკუთრებით იგრძნობა პროტესტანტობის გავლენა – საკლესიო წიგნების შემოღების წესებში და იმ დიდ ყურადღებაში, რომლებიც ეძღვნება მღვდლების საგანმანათლებლო მოღვაწეობის აუცილებლობას. რეგლამენტში ეკლესია წარმოდგენილია, როგორც ორგანიზაცია სხვა ორგანიზაციათა რიგში. და ის, რაც ამ დოკუმენტში საერთოდ არ არსებობს, არის ეკლესიის აღქმა, როგორც ქრისტეს სხეული, როგორც მისტიური ღვთისმსახურების საკრებულო ქრისტეში.

რეფორმების წინააღმდეგ თითქმის არ ყოფილა რაიმე ღია კრიტიკა, მაგრამ სასულიეროთა შორის იყო, არც თუ მცირე, თუმც ფარული უკმაკოფილება. კოლეგიის პირველი სხდომების შემდეგ პეტრემ შემოიტანა კიდევ ერთი ოპერატიული სიახლე, რომელმაც პარალიზება გაუკეთა ამ კრიტიკის დიდ ნაწილს. შესაძლებელია ეს იყო ყველაზე გენიალური მის ნაბიჯებს შორის თავის საეკლესიო რეფორმატორულ მოღვაწეობაში. პეტრემ მოულოდნელად გამოაცხადა იმის შესახებ, რომ კოლეგია გარდაიქმნებოდა სინოდად. სხვაობა მასში მნიშვნელოვანი იყო. სინოდი, ისევე,როგორც სხვა კოლეგიები არ უნდა დაქვემდებარებოდა სენატს, მაგრამ უფლებებით მას უტოლდებოდა. სენატი კი იყო ორგანო, რომელსაც ექვემდებარებოდნენ კოლეგიები და სხვა სამმართველო სტრუქტურები.

## სინოდი

თვით სიტყვა სინოდი უფრო მეტად ეკლესიურად ჟღერდა, ვიდრე კოლეგია. ის ეკლესიის უმაღლესი მმართველი ორგანო იყო. ის ამ სახით ზოგიერთ ურთიერთობებში აყვანილია უმაღლესი საერო ხელისფლების დონემდე. ყოფილი საეკლესიო მმართველობისაგან განსხვავება მდგომარეობდა იმაში, რომ ამიერიდან ეკლესიის სათავეში იდგა არა პატრიარქი, არამედ თვით მეფე, რომელიც საკმაოდ რეგულარულად ესწრებოდა სინოდის სხდომებს. საეკლესიო ქონება, რომელიც ადრე ხაზინაში შეიტანეს, ახლა უბრუნდებოდა ან უფრო სწორად ხვდებოდა სინოდის იურისდიქციაში. ეკლესია იტოვებდა უფლებებს საკუთარ სასამართლოზე, შეიქმნა მისი საკუთარი ცენზურა და ა. შ. სენატსა და ახლადშექმნილ სინოდს შორის ბუნებრივია, აღმოცენდა მრავალი კონფლიქტი გადაწყვეტილების მიღების ირგვლივ სოციალური სფეროს სხვადასხვა დარგებში. ასე რომ საჭირო შეიქმნა სოციალური ორგანოს შექმნა ამ ორი უწყების თანამშრომლობისათვის.

მიუხედავად ყველაფერ ამისა, სინოდმა მოიპოვა დიდი მნიშვნელობა, ვიდრე სასულიერო კოლეგიამ, რისგანაც რეფორმები ეკლესიისთვის აღმოჩნდა შეუქცევადი. მრავალი გადაწყვეტლიებათაგანი, მიღებული სინოდის მიერ პირველ წლებში, ეხებოდა სენატთან პარიტეტის შენარჩუნებას უმნიშვნელო დეტალებისთვისაც კი. სინოდის კოლეგიალური მმართველობის პირველი შემადგენლობისათვის უმთავრესი იყო, რომ ჩინოვნიკთა ჯამაგირი იმავე სიდიდის იყო, რაც სენატელებისა, რომ ინტერიერები იყო ისეთივე, როგორიც სენატში და ა.შ. სენატისა და სინოდის შენობები პეტერბურგში განლაგებულია გვერდიგვერდ, ესეც კიდევ ერთი ნიშანი იყო მათი თანასწორუფლებიანობისა. ეკლესია უკვე იბრძოდა არა საკუთარი თვითმყოფადობისათვის, არამედ იმისათვის, რომ რაც შეიძლებოდა მეტი გავლენა შეენარჩუნებინა საზოგადოებრივ სტრუქტურებში.

სინოდის მდივანი, რომელიც ობერ პროკურორად იწოდებოდა, უშუალოდ იმპერატორისაგან ინიშნებოდა. წმინდა სინოდის ობერპროკურორის თანამდებობა XVIII საუკუნის ბოლომდის იყო რაღაც ზესაიდუმლო. თანდათანობით მონარქის პირადი კონტროლი მცირდებოდა, და ბოლოს და ბოლოს სწორედ ობერპროკურორმა, საერომ, დაიწყო ეკლესიის ბედის ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება. იმპერატორები, არც თუ იშვიათად ამ თანამდებობაზე ნიშნავდნენ გადამდგარ გენერლებს, რათა ამ სახით შეენარჩუნებინათ კონტროლი დისციპლინაზე და ობერპროკურორთაგან მრავალი საერთოდ არ ინტერესდებოდა საეკლესიო საკითხებით. განსაკუთრებით ცნობილია, თანაც ცუდი მხარით, კონსტანტინე პობედონოსცევი, რომელიც 1880-90 წლებში იყო ობერპროკურორი. თავის მრავალი წინამორბედისაგან განსხვავებით მას მხურვალედ სწამდა ღმერთი და სხვა მრავალთა შორის რუსულად გადათარგმნა თომა კემპიელის თხზულება „მიბაძვა ქრისტესი“. ერთდროულად ის იყო ბოლო პერიოდის მეფის ხელისუფლების თავგამოდებული კონსერვატიული იდეოლოგი. სწორედ მისი მოღვაწეობის წლებში გახდა სინოდი სინონიმი მეფის ხელისუფლების ტოტალიტარული პრეტენზიებისა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# კრიკუნის ჩანაწერები



* ქართველ ერს, დიდი იაკობ გოგებაშვილი რომ არ გვყოლოდა, „დედა ენა“ არ გვექნებოდა და არ გვეყოლებოდა უამრავი ერისკაცი, საზოგადო მოღვაწე, მამულიშვილი, რომლებითაც ვამაყობდით, ვამაყობთ და ვიამაყებთ! რადგან ისინი, სულცხონებულ იაკობ გოგებაშვილის „დედაენით“ გაიზარდნენ დიდ ქართველ ადამიანებად, ჩამოყალიბდნენ ეროვნულ მოღვაწეებად. იაკობ გოგებაშვილი – შეუფასებელია!!! ესენი კი, ამ დიდებულ წიგნს სპობენ, „დედა ენა“, ყველა ქართველის დედაა. ამათ კიდევ უნდათ ეს „დედა“ – დედინაცვლით შეგვიცვალონ...

* ეს ულირსი „ხელისუფლება“, ხალხს არ აძლევს არავითარ საშუალებას არჩევნებში, რათა ღირსეულები ავირჩიოთ, როგორც პრეზიდენტად, ისე პარლამენტის წევრებად. აყალბებდა და აყალბებს არჩევნებს, უნამუსოდ, უსინდისოდ...

ასეთი, არარჩეული, თვითმარქვია პრეზიდენტი და პარლამენტი, შეიძლება კარგი იყოს?!

* ჩვენმა ე.წ. პრეზიდენტმა თავის თავს – ჩერჩილი უწოდა და ამით შეურაცხყოფა მიაყენა ინგლისის სიამაყეს. მე კი მიშა სააკაშვილს ვუწოდე – ჩერ–ჩრჩილი, ე.ი. ჩერჩეტი ჩრჩილი, რომელმაც საქართველოს შეჭმა განიზრახა და ჭამს, მაგრამ ქართველმა ხალხმა მას ნაფტალინი უნდა მივაყაროთ, თორემ ამ შესანიშნავ ქვეყანას გაანახევრებს, ნაკუწ–ნაკუწებად აქცევს!!!

* ცოტნე გამსახურდიამ დაამტკიცა თავისი სიმტკიცით, შეუპოვრობით, პატრიოტობით, რომ დიდი ზვიადის ღირსეული შვილია და რაც მთავარია – თავისი ცოტნეობა! ჩემთვის იგი ცოტნე მეორეა!!!

* ვინც მიშაზე თქვა: – მიშა მაგარია! ვისაც უთქვამს და კვლავ ამბობს, ღმერთმა არ გამოულიოს ოჯახში ისეთები, მხოლოდ არა სახელმწიფო მოხელე!.. მიშა, ბევრს აწყობს ფულების საკეთებლად...

* ვაი ქართველებო, საქართველოს მტრები აკლია, თქვენც რომ ემატებით?! თქვე არაკაცებო, გონს მოდით, რას აკეთებთ?! საკუთარ სულებსაც ღუპავთ?!

ჩვენი ე.წ. პრეზიდენტის – სახელი და გვარიც აღარ მჯერა, არათუ მისი დაპირებების... მისი ტყუილები და ბაქიბუქები ამოგვივიდა ყელში. აღარც ვუმზერ და აღარც ვუსმენ, დასანახავადაც კი ვერ ვიტან!!! მე, უპირველეს ყოვლისა, ჩემი სამშობლო მიყვარს. ვისაც სამშობლო უყვარს, ის მიყვარს, ვისაც არ უყვარს, რა თქმა უნდა არც მე მიყვარს ისინი. მტრების სიყვარული შეიძლება?! შინაური მტერი, ორჯერ მტერია! აშკარა მტერზე ორჯერ მეტ ზიანს და ზარალს გაყენებს. ის გმტრობს, ქვეყნის და ერის საზიანოდ აკეთებს ყველაფერს, შენ კი უფლება არ გაქვს უპასუხო, შეებრძოლო, ცხვრის ტყავში გახვეული მგლები არიან ესენი! შეებრძოლები – დაგიჭერს...

* ჩვენ, რომ ჩვენივე პრეზიდენტი და მისი ხელისუფლება არ გვმტრობდეს, ჩვენზე ძლიერი სახელმწიფო და ერი ამიერკავკასიაში არ იქნებოდა.

* აზერბაიჯანელებს, საქართველოში, ბუზსაც კი ვერ აუფრენენ სხეულიდან, ისე გრძნობენ თავს, ჩვენს ისტორიულ მიწა–წყალზე – საინგილოში, ქართველებს ტანჯავენ, აწამებენ, ავიწროებენ ყოველნაირად, ქართული სახელების დარქმევის უფლებას არ აძლევენ ბავშვებისათვის. ეკლესიებს უკეტავენ, ქართული წიგნების შეტანის უფლებას არ აძლევენ. ტელევიზიაზე და რადიოზე სარგებლობის უფლებას ართმევენ.... ხმას კი არავინ იღებს ჩვენი ხელისუფლებიდან.

## რაღაცეები და ვიღაცეები

„რაღაცას ხომ აკეთებს“! „რაღაც ხომ კეთდება!“ ისმის ხოლმე კანტიკუნტად ხალხში ასეთი მდაბიური გამოთქმა, პრეზიდენტის და მისი მთავრობის მისამართით.

რაღაცის კეთება შველის და უშველის ჩვენს გაპარტახებულ ქვეყანას?!.. რაღაცას პლეხანოველი კიკაც კი გააკეთებდა. რაღაცას ნებისმიერი მოქალაქე გააკეთებს ამ პოსტზე და მთავრობაში რომ დაჯდეს.

ასეთ დღეში ყოფნას ჩვენს მტრებსაც კი არ ვუსურვებ.

თვითონ ხომ გაკეთდნენ, თვითონ ხომ აშენდნენ და დამშვენდნენ?!

თავიანთთვის დიდ საქმეებს აკეთებენ (მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს) ქვეყნისთვის და ხალხისთვის კი – „რაღაცას აკეთებენ“?!

ყოჩაღ, თქვე მართლა – „ვიღაცეებო“, „რაღაცეებს“ რომ აკეთებთ!

ამ „რაღაცეების“ საკეთებლად და გასამდიდრებლად მოხვედით ხელისუფლებაში, თქვე, ვიღაცეებო?! ასეულობით მილიონებს ხარჯავთ ამ რაღაცეების კეთებაში. ერთი ქვეყანას ხმარდება, 9 – თქვენ!

* * *

ვიხოცებით – შიმშილით,
ვიხოცებით – სიცივით...
მკვდრები – სასაფლაოზე,
მიაქვთ ცინცილ–ცინცილით...
მიშა სააკაშვილი, –
მთავრობის მეთაური, –
იჭაჭება სიცილით.
გამკითხავი ვინ არის?! –
ქვეყანაა მძინარი!
თუ არ გამოვიღვიძეთ, –
უარესი – წინ არის!..

**ავთანდილ მეგრელიშვილი**

## თავისუფალი ტრიბუნა

# რუსულის ნაცვლად ინგლისური ენის სწავლების ასპექტები

საქართველო რუსეთის ურთიერთობაში შეიძლება ითქვას დიდი შემობრუნების ეტაპი დადგა. საქმე ეხება ათასი ინგლისურენოვანი მასწავლებლის ჩამოყვნას საქართველოში და მათი ქართულ პედაგოგიურ საქმიანობაში შერწყმის მცდელობას. ამ მოვლენას ჩვენი საზოგადოება, ცხადია გამოეხმაურა, მაგრამ იმ მოცულობითა და მაშტაბით არა, როგორსაც ეს საკითხი იმსახურებს. ვინაიდან ფაქტიურად სწრაფი ნაბიჯებით დაიწყო ჩვენი რუსულენოვანი სივრციდან გამოსვლა და ამას მხოლოდ უნდა მივესალმოთ.

როდესაც გამოვაცხადეთ, რომ ევროპის ნაწილად ვთვლით თავს და კვლავ ევროპულ ოჯახში გვსურს დაბრუნება, ამით რუსეთს პოლიტიკურად დავცილდით. რადგან ეს უკანასკნელი, ივანე–IV მრისხანედან მოყოლებული, ევროპაში ყოველთვის მტერსა და მოწინააღმდეგეს ხედავდა. ჩვენი სწრაფვა ევროპული სტრუქტურებისაკენ მათ სერიოზულ შეშფოთებასა და გაღიზიანებას იწვევს. კრემლში არც მალავენ, რომ საქართველო თავიანთი გავლენის სფეროდ კი არა უფრო ნაწილად მიაჩნიათ და ამის ილუზიას მათ სწორედ რუსული ენის საქართველოში ჯერ კიდევ ხმარება უქმნის. ისინი ფიქრობენ, რომ საკმარისია საქართველოში პრეზიდენტი გახდეს ქართველი იანუკოვიჩი და მაშინვე საქართველოს რუსულ წიაღში შეტრიალება უპრობლემოდ ჩაივლის, ამ საქმეში კი გადამწყვეტ როლს რუსული ენა შეასრულებს.

ჩვენ ინგლისურ ენაზე გადასვლით რუს ოკუპანტს ჩვენთვის გასაგებ ენაზე მოსაუბრე გაუგებრობის მსხვერპლ, გზააბნეულ ყოფილ მოყვარედ კი არა, ყველაზე ველურ უცხო ელემენტად მივიღებთ და მის წინააღმდეგ იმ საშუალებებით ვიბრძოლებთ, რომელიც მთელი ერის სულიერ და ფიზიკურ შესაძლებლობებშია. რაც ქართველ იანუკოვიჩებს ჩრდილოეთიდან ამოსულ მზეს ერთხელ და სამუდამოდ დაავიწყებს.

ინგლისურენოვანი მასწავლებლების მასიურად შემოსვლას საქართველოში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ერთ–ერთმა პოლიტიკოსმა ერთ–ერთ მიტინგზე იქ შეკრებილებს განუცხადა, რომ ჩვენ ქართველები სამი ათასი წელია ქართულად ვლაპარაკობთ, შესანიშნავად გვესმის ერთმანეთის ამ ენაზე და მაშასადამე, არავითარი ინგლისური ერთმანეთს, რომ რამე გავაგებინოთ არ გვჭირდება, სწორია! იმ შემთხვევისათვის, თუ თვითიზოლაციას გამოვაცხადებთ, ნატურალურ მეურნეობაზე გადავალთ და იგივე ეს დავატრიალებთ საქართველოში, რაც წითელმა ხმერებმა კამბოჯაში დაატრიალეს.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში – ევროპელი მისიონერების შემოსვლას საქართველში ყველა ქართველი ტაშისცემით არ შეხვედრია. მაგრამ ამ ადამიანებმა სულ მოკლე დროში დაამტკიცეს, რომ ქართველი ხალხის დიდი გულშემატკივრები იყვნენ და როდესაც მათი მოწინააღმდეგე ქართველები, ქართველ ბავშვებს იტაცებდნენ და თურქებზე უმოწყალოდ ყიდდნენ, ევროპელი მისიონერები ხშირად გროშებს აკონწიებდნენ, რომ ეს ბავშვები გამოესყიდათ. აღარაფერს ვამბობ მათ ჩანაწერებსა თუ წერილებზე, რომელიც ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის ფასდაუდებელი წყაროა. ის რომ XXI საუკუნის ქართველს საშუალება აქვს ნახოს, თუ როგორ გამოიყურებოდა: თეიმურაზ I, გიორგი სააკაძე, ქეთევან დედოფალი და სხვა არაერთი ისტორიული პირი, სწორედ ამ მისონერთა ჩანახატების წყალობით.

ვერ გეტყვით ორი–სამი საუკუნის შემდეგ საქართველოს ისტორიის მკვლევარებს, როგორ გამოადგებათ საქართველოში დღეს ჩამოსული ინგლისური ენის მასწავლებლების დღიურები, მოგონებები, რომელსაც მათი ნაწილი, ალბათ დატოვებს. მაგრამ დიდი შემობრუნების წინაშე რომ ვდგებით, ეს კი ფაქტია. ჩვენ გამოვდივართ რუსულენოვანი სივრციდან და ამით ჩვენს დამოუკიდებლობას კიდევ უფრო მყარსა და შეუქცევადს ვხდით.

არც თუ ისე შორეულ წარსულში, როდესაც ერთი სახელმწიფოს შემადგენლობაში ვიყავით, უფრო სწორად კი რუსებს რომ ვყავდით თავიანთ შემადგენლობაში, ჩამოყალიბებული იყო ის ურთიერთობა, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია ცენტრსა და კოლონიას შორის. ცენტრი იგივე მოსკოვი განაგებდა ყველაფერს, საქართველო კი, როგორც კოლონია ვალდებული იყო ყველა მითითება თუ ბრძანება უსიტყვოდ და უზადოდ შეესრულებინა, ასრულებდა კიდეც! დროთა განმავლობაში კოლონიებში მცხოვრებთათვის მოსკოვში მუშაობა, მოსკოვში სწავლა პრესტიჟისა და წარმატებულობის უპირველესი ნიშანი იყო. ხოლო, ენობრივი ბარიერი, ხელისშემშლელი დაბრკოლება, რომ არ გამხდარიყო ქართველი ბავშვების საკმაოდ დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი თბილისში დადიოდა რუსულ სკოლებში და განათლებას რუსულად იღებდა.

რუსეთის კომუნისტური იმპერიის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ყველას კარგად ახსოვს, რომ ქართველი ბავშვების უდიდესი უმრავლესობა გამოვიდა რუსული სკოლებიდან, რუსულენოვანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საკუთარი ინიციატივით გავიდა საქართველოდან, რამაც ფაქტიურად რუსული სკოლები მოსწავლეების გარეშე დატოვა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია მათ სწავლების ენად ქართულის არჩევით შეინარჩუნეს არსებობა.

ასეთ პირობებში კი, უპრიანია სერიოზულად დადგეს ქართულ სკოლებში და საერთოდ საქართველოში რუსული ენის სწავლების საკითხი. ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა, ჩემი აზრით, რთულ მდგომარეობაში აყენებს ქართველ მოსწავლეებს, როდესაც მათ დაწყებითი კლასებიდან რამოდენიმე უცხო ენის შესწავლას ავალდებულებს და უპირველეს ყოვლისა რუსული ენა მაქვს მხედველობაში პატარა მოსწავლე, რომელმაც ქართულიც კი არ იცის წესიერად, ფაქტიურად მისი შესწავლაც უწევს, იძულებული ხდება ამავე დროს სხვადასხვა უცხო ენების დაუფლებასაც შეეჭიდოს. ცხადია, მის გონებას ძალუძს ქართულთან ერთად ერთი უცხო ენის დაძლევა, მაგრამ როდესაც ამას ასე ადრეულ ასაკში ემატება მეორე და ხანდახან მესამეც კი, ეს ვფიქრობ მხოლოდ უკუშედეგის მომცემია. რა თქმა უნდა, არიან გამორჩეული მოსწავლეები, ბუნებრივი მიდრეკილებებით ენების სწავლების მიმართ, თუმცა ასეთები იშვიათობაა და არა მგონია განათლების ჩვენი სისტემა მთელი თავისი პროგრამებითა და მეთოდიკით მათზე იყოს ორიენტირებული.

ინგლისური ენის საყოველთაო შესწავლა სახელმწიფოს მხრიდან ერთ–ერთი პრიორიტეტული ხდება, რუსული ენა – იგივე ოკუპანტის ენა, რომელიც საუკუნეებია თავს არ გვანებებს, სასკოლო პროგრამიდან, როგორც სავალდებულო ამოღებულ უნდა იქნას. და ის გარკვეული პერიოდი შეიძლება არჩევითი გახდეს. ასეთ შემთხვევაში. რა თქმა უნდა მესმის, რომ რთულ მდგომარეობაში ჩავაყენებთ ათასობით რუსული ენის მასწავლებლებს, მაგრამ შესაძლებელია მათი გარკვეული ნაწილის გადაკვალიფიცირება და თან ამ ნორმატივის, თუნდაც ეტაპობრივად ამოქმედება.

ვიცი ზოგიერთები აღშფოთდებიან, როგორ! ეს ხომ პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის ენაა! ისე კაცმა რომ თქვას, თუ ძალიან გაინტერესებთ გეტყვით, არც ერთი არ იყო რუსი. აი, რუსები კი ნამდვილად არიან: ვოსტორგოვი, როდიონოვი, პუტინი, მედვედევი და ყველა ის გენერალი 2008 წელს, ვინ იცის მერამდენედ არბევდა საქართველოს.

ეს არ არის ჩვენი არჩევანი, ის კრემლის შოვინისტმა მესვეურებმა თვითონ მოგვახვიეს, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს იძულების წესით და საკმაოდ უხეშად გამოგვაძევს რუსული სივრციდან. ჯერ იყო და ჩვენს სასოფლო–სამეურნეო პროდუქციას ამოუკეტეს კარები. შემდეგ, ქართველებზე ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს და ათასობით მათგანი, ან გამოაძევეს, ანდა იძულებული გახადეს თვითონ გაქცეულიყვნენ – უამრავი შემთხვევაა გვარებიც გადაიკეთეს და ბოლოს, ეს ყველაფერი ომითა და ოკუპაციით დააგვირგვინეს. ვითომ წარმატებულ წერეთელს ისე მიუდის საქმეები, არ გამიკვირდება თავის ძეგლებიანად მშობლიურ საჩხერეში ამოაყოფინონ თავი, თუ კი ციმბირს გადაურჩება. ის მუდამდღე რუსეთის გამშვენიერებაზე ფიქრობდა, მაგრამ მთავარი კი დაავიწყდა – კრემლის მესვეურები ბუნებით უმადურები არიან, – სტალინმა ისინი ლამის მსოფლიოს მბრძანებლები გახადა, ის კი ფეხებით გამოათრიეს და ცოტა დააკლდა ძაღლებს არ მიუგდეს საჯიჯგნად. ეს ყველაფერი იმათი ხვედრია – ვისაც დიდი რუსობა უნდა საკუთარი სამშობლო კი ავიწყდება. გავიხსენებ გენერალ პეტრე ბაგრატიონსაც, რომელიც ქართველებს რუსებისადმი მორჩილებისაკენ – მუქარით სავსე წერილებს უგზავნიდა, შემდეგ რუსეთის სადიდებლად ნაპოლეონს თავი შეაკლა, მისი ძვლები კი რუსებმა მართლაც ძაღლებს მიუგდეს.

რუსული ენა – ჯერ კიდევ იმპერატორების ეპოქაში, რუსი ოკუპანტების მიერ სერიოზულად განიხილებოდა, როგორც ქართული თვითმყოფადობის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალება, მას იძულების წესით ნერგავდნენ, განსაკუთრებული გულმოდგინებით ეროვნულ უმცირესობათა შორის. საიდანაც წამოვიდა კიდეც სეპარატიზმის ბაცილა, რომელიც შემდგომ ბოლშევიკებმა კომუნისტური დიქტატურის პირობებში ქართული სახელმწიფოებრიობისათვის დაუძლეველ ბარიერად აქციეს და ამის შედეგებს დღესაც მწარედ ვიმკით.

რუსული ენის გავრცელებასთან ერთად საქართველოში, ფართოდ მოიკიდა ფეხი რუსული ყოფისათვის დამახასიათებელმა ისეთმა მანკიერმა თვისებამ, როგორიცაა ბილწსიტყვაობა, დედის უცერემონიო გინება. ამ მანკიერმა ჩვევამ, განსაკუთრებით კი ჩვენს ახალგაზრდებში, ისეთი არასასურველი გავრცელება ჰპოვა, რომ დღეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ახალგაზრდების ერთი ნაწილის მხრიდან უწმაწური სიტყვების კორიანტელი და რაც ყველაზე მკრეხელურია, საკუთარი დედის მისამართით.

რუსული ენის უარყოფითი გავლენის ერთი თვალსაჩინო მაგალითი ისიც იყო და საბედნიეროდ ახლა სულ უფრო ნაკლებად გვხვდება, როდესაც ქართველი ქართველს მამის სახელით მიმართავდა რუსული ვიჩ–ის დაბოლოებით. ეს ჩვეულება, ჯერ კიდევ ძველი სლავებიდან მოდის, როდესაც ოჯახში მოყვანილ პატარძალთან, თუ ქალთან იქ დამხვდურ ყველა მამაკაცს შეეძლო თანაცხოვრება. შემდეგ კი მამა, რომ გაერჩიათ თუნდაც პირობითად, რომელიმეს სახელით მიმართავდნენ. ეს ჩვეულება დროთა განმავლობაში თანდათან შეწყდა, მაგრამ მამის სახელით მიმართვა კი დარჩა. ეკატერინე II–ის დროიდან რუსულმა ელიტამ რუსულ ენაზე პრაქტიკულად უარი თქვა და ფარანგულზე გადავიდა. ამიტომ მათ შორის მიმართვის ისეთი ფორმები დანერგა, რომელიც საერთოდ მიღებული იყო ცივილური სამყაროსათვის. მაგრამ ქვედა ფენებში ძველი ტრადიცია მამის სახელით მიმართვისა არავის შეუცვლია. ბოლშევიკები კი, როგორც ცნობილია, თავდაპირველად ყველაფერ ცივილურს სასტიკად სდევნიდნენ, ამიტომ ძველი სლავური ჩვეულება მიმართვისა მათთვის სრულიად მისაღები გახდა – ეტყობა, არც თუ ისე უსაფუძვლოდ, და მოახდინეს მისი საყოველთაო დანერგვა. ფეხის ხმას ცხადია, ქართველი ბოლშევიკებიც შეუერთდნენ და მშვენიერი „ბატონო და ქალბატონო"–ს ნაცვლად, საქართველოში გაავრცელეს სწორედ ისეთი რუსული მიმართვა, რომელზედაც ზემოთ მქონდა ლაპარაკი – ასე რომ, როდესაც ქართველი ქართველს რუსული მანერით მამის სახელით მიმართავს უნდა იცოდეს, რომ ეს ფაქტიურად დედის გინების ტოლფასია.

ამდენად, თუ ჩვენ გვსურს დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობა და მის ნაწილად გახდომა – სხვა არჩევანი დამოუკიდებლობის პირობებში უბრალოდ არ არსებობს! მაშინ, ინგლისურ ენას საყოველთაოდ უნდა გავუღოთ კარები. ვიშვიში იმის შესახებ, რომ ეს ქართულ ენას საფრთხეს შეუქმნის გაზვიადებულია. ჩვენი თანამემამულენი ოთხასი წლის განმავლობაში ოსმალების მიერ სასტიკი ასიმილატორული პოლიტიკის პირობებშიც კი, და დღესაც არ არიან განებივრებულნი, ახერხებენ და ინარჩუნებენ ქართულ ენასა და ეროვნებას. ასე რომ, საშიშროება ქართულ ენას, ცხადია არ ემუქრება. თუმცა, ჩვენს ამ გადაწყვეტილებას, – შეიძლება არ შეიმჩნიონ, – მაგრამ მას საოცრად ნეგატიური გამოძახილი ექნება კრემლში. იმიტომ, რომ ამ ვიჩ–ებს დასავლეთი ჭირის დღესავით ეზიზღებათ. მათ მიაჩნიათ, რომ არა დასავლეთ ევროპა, ნახევარი მსოფლიო ციმბირელი ჩუჩმეკებივით დაჩმორიკებულები ეყოლებოდათ და მათ ბატონობას წინ ვერავინ დაუდგებოდა. კრემლში არანაირი სურვილი არა აქვთ და არც უნარი, რომ თავის ყოფილ კოლონიებს, როგორც თანასწორებს ელაპარაკონ. მათ ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება ამის გაკეთება, სტალინის ფორმულა – რაც შეიძლება მეტი ტერიტორია, რაც შეიძლება მეტი ჯარით იქ – მათთვის დღესაც აქტუალურია. არადა, დანარჩენმა მსოფლიომ დიდი ხანია კოლონიალიზმის ეს ფორმულა დაივიწყა და სწორედ, თანასწორობის პრინციპებზე აგებს თავის ურთიერთობებს. რასაც ყოფილი იმპერიების ბრიტანეთის, საფრანგეთის და სხვათა მაგალითზეც შეგვიძლია მივადევნოთ თვალი.

ჩვენ თვითონ არ უნდა მივცეთ საშუალება ოკუპანტებს იმისი შეგრძნებისა, რომ ისინი მათთვის შინაურ გარემოში არიან. ეს კი მაშინ ხდება, როდესაც ქართველი ჩინოვნიკები – ხშირად დამტვრეული რუსულით ელაპარაკებიან სხვადასხვა შეხვედრებზე, მათ შორის საქართველოშიც კი, ოკუპანტებსა და სეპარატისტებს. რაც შემდგომ რუსულ იუმორისტულ გადაცემებში გაშარჟებისა და დაცინვის საგანი ხდება. თვითონ მათგან აიღეთ მაგალითი, როგორც ცნობილია აფხაზი და ოსი სეპარატისტების ნაწილმა, მათ შორის თავად ლიდერებმაც მშვენივრად იციან ქართული, მაგრამ პრინციპული მოსაზრებებით ერთ სიტყვას ვერ წამოაცდენინებთ. ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება! იქნებ ფიქრობთ, რომ დალეწილი რუსულით ლაპარაკი – თქვენს დიდ ტვინიკოსობაზე მეტყველებს, ანდა მათი გულის მოგებას ხომ არ აპირებთ?! მომხდურებს: რუსებს, ოს სეპარატისტებს, ადიღეელებს თავს რომ აფხაზებად ასაღებენ – უნდა ველაპარაკოთ ინგლისურად, ან ქართულად თარჯიმნის საშუალებით. ამით ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ საქმე გვაქვს უცხო ელემენტთან, რომელიც ჩვენი სხეულის ნაწილის მიტაცებას ცდილობს.

ევროპასთან სალაპარაკოდ და ევროპულ სტრუქტურებში ჩვენი კუთვნილი ადგილის დასაკავებლად რუსული ენა არ გამოგვადგება. ის ჩვენ გვთგრუნავს და უკან, წარსულისაკენ გვექაჩება, როდესაც რუსული უღელი გვედგა და ქართული სახელმწიფო შაგრენის ტყავივით თვალ და ხელ შუა ქრებოდა.

რუსულ ენაზე უარის თქმით – ჩვენ ოკუპანტს ვეუბნებით, რომ მართლმადიდებლობის მანტიაში გახვეული მგელი მაინც ადვილი შესაცნობია, და რომ ის ჩვენთვის მოძალადე ეთნოსად რჩება. ტყუილად არ ატარა მოსემ თავისი ხალხი ორმოცი წლის განმავლობაში უდაბნოში. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, სანამ ოკუპანტის ენაზე ერთხელ და სამუდამოდ უარს არ ვიტყვით, მორჩილებისა და შიშის უხილავი კოდი ტვინსა და გონებას აგვირევს. ჩვენ კი ჩრდილოელ ბარბაროსთან ურთიერთობაში, რომლის არმია XXI საუკუნეშიც, უკაცრავად პასუხია და, ნახმარ უნიტაზებსა და ტუალეტის ქაღალდებს იტაცებს – თავისუფალი ფსიქიკა და შემართება გვჭირდება.

**აკაკი ვარაზაშვილი**

***ათასობით ინგლისურენოვანი უცხოელი მასწავლებლების ჩამოყვანას, ჩვენ ნამდვილად არ განვიხილავთ წერილის ავტორისეული იდეალური პერსპექტივით. ამ ე.წ. მასწავლებლებს, არამც და არამც არ მოვიაზრებთ პრეისტორიის ეპოქისეულ „განმანათლებელ მისიონერებად". მით უმეტეს, როდესაც დღეს საქართველოს მართავს ყოვლად დენაციონალიზებული და ფსიქიურად არამდგრადი „ხელმწიფე", რომლისთვისაც ასე უცხოა ეროვნულ–პატრიოტული და ზნეობრივ–მორალური ფასეულობები ჩვენს წინაპარ დიდ მეფეთაგან განსხვავებით (როსტომ ხანსაც კი ვერ შევადრით მიშას, თუმცაღა, მშენებლობების კუთხით შეიძლება ვჰპოვოთ მსგავსება მასთან).***

***საქართველოს მრავლად ჰყავს ინგლისური ენის კვალიფიციური მასწავლებლები, რომლებსაც დაფასება და ფულადი წახალისება სჭირდებათ და არა სრული იგნორირება.***

***ჩამოყვანილი ინგლისურენოვანი უცხოელი მასწავლებლებისა კი, არათუ ცოდნა და კვალიფიციურობაა საეჭვო, არამედ მათი ზნეობა და მორალიც, რომელთა უმრავლესობა (თმაშეღებილი, საყურეებიანი ბიჭები, მამაკაცივით მორთხრონი ქალები და სექსუალური მანიაკები) უკვე შემჩნეულნი არიან გაუკუღმართებულ ცხოვრების წესებში, რაც დიდ საფრთხეს უქმნის ქართველი მოზარდების ნორმალურ აღზრდას, რაზედაც გვმართებს დაფიქრება! (რედ.)***

# „საქართველო ყველა დაკარგულ მიწა-წყალს დაიბრუნებს!“

**კითხვა: მამაო, ჩვენ პატარა ერი ვართ, მტერი და არაკეთილმოსურნე ბევრი გვყავს, გავუძლებთ?**

**პასუხი:** ჯერ ერთი – სულაც არა ვართ პატარა ერი. მეორე კიდევ – ძალა სიმრავლესა და ტანკებში როდია! ძალა ჭეშმარიტებაშია! რიცხვით თორმეტნი იყვნენ მოციქულები, მერე–და განა დამარცხდნენ?!..

ჩვენ საზეპურო ერი ვართ. საქართველო ქრისტეს ქვეყანაა და ქრისტე არ დათმობს მას. ქრისტეს არასოდეს მიუტოვებია საქართველო, მხოლოდ ჩვენ არ მივატოვოთ ქრისტე ღმერთი. ის რუსეთიცა და ის ამერიკაც ქრისტეს ხელშია. ვერც ერთი ვერაფერს დაგვაკლებს, გჯეროდეთ ეს! ყველა და ყველაფერი უძლურია იქ, სადაც ღმერთი ძალას გამოავლენს.

საქართველოს ისტორია ხილული და უხილავი ომების ისტორიაა! ხომ ხედავთ, ვერ ჩაკლეს ჩვენში ღმერთის სიყვარული, სწრაფვა თავისუფლებისა და სრულყოფილებისაკენ. დღეს ქართველობა ახალი ძალით დაიძრა ღმერთისკენ. იწყება დიდი გამოღვიძება! საქართველო მსოფლიო დონის სულიერი აღმოჩენების წინა პერიოდშია. გამაოგნებელი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საიდუმლოებები გამჟღავნდება საქართველოში. ღმერთი მსოფლიოს დაანახებს ქართველობის ნამდვილ სახეს და ეს მალე იქნება. ეს არ არის ლეგენდა – ეს სიმართლეა. ღმრთისაგან დაფარული უზარმაზარი ცოდნა, რომელიც საიდუმლოდ გადაეცემოდა წმ. ბერებს თაობიდან თაობაში და რომელსაც წიგნებში ვერ ამოიკითხავთ, მალე გაგვეხსნება. ამიტომ ცოცხალი წმიდანები უნდა ვეძებოთ. ნურავინ გეტყვით, რომ დღეს არ არიან დიდი ძალის, მადლისა და ცოდნის მატარებელი ადამიანები, მით უმეტეს ჩვენთან, საქართველოში ისინი არიან და არიან საიდუმლოდ; ოღონდ საქმე ისაა, წმიდანის ამოცნობა თავად სიწმიდეს მოითხოვს. საქართველოს წმიდანთა სამჭედლოა! მთელი მსოფლიოს კეთილი სისტემა ელოდება ქართველთა გამოსვლას. ეს იცის ბოროტმა სისტემამაც, ამიტომაც არ გვანებებს თავს, როგორც სულიერად, ისე პოლიტიკურადაც. მაგრამ ფუჭია მათი შრომა, ვერ მოგვერევიან!... ის, რაც ღვთისგან დაიგეგმა და წინასწარმეტყველებით გვეუწყა, ყოველივე აღსრულდება. ოღონდ დიდი შრომაა საჭირო. ეს შრომა ქართველებისაგან უდიდეს ძალისხმევასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. არც სხვათა მიბაძვით და არც სხვების იმედად არაფერი გამოვა. ძნელია ქართველობა, მაგრამ აუცილებელი!...

მთავარია სულიერი განწმენდა, ნამდვილი რწმენა და სიყვარული ღმრთისა. განწმენდა ეკლესიიდან დაიწყება. როცა ერს ღმერთთან შუამავლად ღირსეული და წმიდა ადამიანები ეყოლება, ერი მეტად განმტკიცდება რწმენასა და სიყვარულში და წარმატებაც არ დააყოვნებს!

ომის ბედი ცაში წყდება. ომს ჯერ ბერები (სულიერ ღვაწლში დაბრძენებული) იგებენ – სულიერ ომს, მერე კი ხილული (პოლიტიკური) გამარჯვება მიწაზე ხდება. ჯერ წმიდანები ამარცხებენ ცოდვებსა და ბროტებას, მერე კი ერი ღებულობს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და იწყებს აღორძინებას.

საქართველო ყველა დაკარგულ მიწა–წყალს დაიბრუნებს! დაიმახსოვრეთ ეს!

**კითხვა: მამა გიორგი, ყველასათვის ცნობილია ბოლო საუკუნეების მანძილზე ქართულ ეკლესიაში შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანზე“ ჩამოყალიბებული შეხედულება. თქვენ რას გვეტყვით ამის შესახებ?**

*ვაგრძელებთ ბეჭდვას მოწამეთას დავით და კონსტანტინეს მამათა მონასტრის ფეხით მოსიარულე წმინდა ღმრთისმსახურის მამა გიორგის (ბასილაძის) საღმრთო ხედვებს და წინასწარმეტყველებებს თავისივე წიგნიდან, რომელიც, ტირაჟის სიმცირის გამო, ხელმიუწვდომელია მრავალი დაინტერესებული ადამიანისათვის.*

**პასუხი:** მე ასე გეტყოდით: „ვეფხისტყაოსანი“ არის არა მხოლოდ მსოფლიო დონის ლიტერატურული შედევრი, როგორც მას კაცობრიობა აღიარებს, არამედ უაღრესად სასულიერო – საეკლესიო ნაწარმოებიც!.. უდიდესი პოეტური ხელოვნებით შაირებში შეფარულია დიდი სულიერი სიბრძნე, საიდუმლო და წინასწარმეტყველება ბოლო ჟამის საქართველოს გაბრწყინებაზე. „ვეფხისტყაოსანი“ არის ქართული სულის უკიდეგანო სამყარო. სულიერების ისეთი სიმაღლე, რომელსაც დღემდე ვერ მიაღწია მსოფლიოში ვერც ერთმა ერმა და აწი – მით უმეტეს!...

ეს არის ქართული ეკლესიის წინასწარმეტყველების და იგიავთმეტყველების საუკეთესო ნიმუში, რომლის გასაღბეი, სამწუხაროდ, ქართულმა ეკლესიამ დიდი ხნის წინათ დაკარგა (არ ვამბობ ცალკეულ წმიდანებზე, რომლებიც საიდუმლოდ ინახავდნენ დრომდე და თაობიდან თაობებს გადასცემდნენ).

აყენეს ურჯულო ბოლშევიკებმა, ეს ყველამ ვიცით. ერს ღმერთი დაავიწყეს, ხოლო ეკლესია (ოფიციალური) უმწეო, დამორჩილებულ მდგომარეობაში ამყოფეს. ამიტომ არც უნდა გიკვირდეთ, რომ ეკლესია და ერი ჯერჯერობით ვერ არის იმ სულიერ სიმაღლეზე. იმ დონეზე, რა დონეც შესაძლებელს გახდის „ვეფხისტყაოსნის“ სულიერ წვდომას, ხედვასა და შეფასებას!.. ჩვენ ჯერჯერობით ახლად აღდგენილ ლაზარეს ვგავართ, რომელსაც ჯერ კიდევ თეთრი ბურუსი ედგა თვალწინ. აწი იწყება დიდი გამოღვიძება.

მიუხედავად იმისა, რაც ჩვენმა ერმა და ქართულმა ეკლესიამ ბოროტის მანქანებით განიცადა – ქართული ქრისტიანული სული სულ ცოცხლობდა! ცოცხლობდა ცალკეული წმიდანების სახით, რომლებიც მძიმე ტანჯვის ფასად, საიდუმლოდ ინახავდნენ ქართული სულის ჭეშმარიტ საგანძურს.

შოთა რუსთაველი დიდი წმიდანია, რომელიც



„ვეფხისტყაოსანი“ არის სულიწმიდის ჩაგონებით შექმნილი ნაშრომი და შეუძლებელია მის სულიერ სამყაროში შეღწევა ქართულ–ქრისტიანული სულიერი ხედვისა და ცოდნის გარეშე.

კიდევ ვიმეორებ: ჩვენ ვართ ღვთის რჩეული ერი, რომელსაც მიეცა ჭეშმარიტი ღმერთის ჭვრეტის განსაკუთრებული ნიჭი და უნარი. ასევე, სამყაროს შექმნისა და მართვის საიდუმლოებების ღვთაებრივი ცოდნა. სწორედ ეს თ მიზეზი იმისა, რომ მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე ბოროტი არ გვეშვება. ვინ და რა ჯურის დამპყრობელი არ აღძრა მან ჩვენს წინააღმდეგ. ისინი აქ მხოლოდ ვაზის ასაჩეხად არ მოსულან, ისინი აქ დიდ საიდუმლოს ეძებდნენ!... მტრობა და შუღლი არც ერთმორწმუნე ერებმა დაგვაკლეს. მიწა–წყალ დაკარგულ ქართველებს რწმენაც შეგვირყიეს. განსაკუთრებული მზაკვრობით ებრძოდნენ ჩვენს სულიერ ცნობიერებასა და ხედვას, რასაც ისინი იმჟამად მნიშვნელოვნად ჩაომრჩებოდნენ. ბერძნულ–რუსულ–ებრაული ცნობიერებით სახეშეცვლილი ქართული ეკლესია და მთლიანად ერი თუ რა დღეში ჩა-

დაჯილდოებული იყო არა მხოლოდ პოეზიის ნიჭით, არამედ მომავლის ჭვრეტის უნიკალური მადლითაც. ჟამი ახლოსაა და ჩვენ გაგვეხსნება ნამდვილი „ვეფხისტყაოსანი“ იმ სახით, რა სახითაც შექმნა ის მისმა ავტორმა. მე არავის განვიკითხავ!... ვგულისხმობ თანამედროვე „რუსთველოლოგებს“, მაგრამ ერთს ვიტყვი, ეს ის არ არის!...

ღმერთის გარეშე „ვეფხისტყაოსანი“ არ შეიძლება, იყოს შოთა რუსთაველის შედევრი. მსოფლიო გაოგნდება, როცა მას ქართველები ჩაახედებენ ვეფხისტყაოსნის ჭეშმარიტ არსში!... ეს დრო მოდის. თქვენ კი მინდა გითხრათ: რომ ძალიან მომწონს ბატონ ზაურ ბიძინაშვილის კომენტარები. აქვს მას ასეთი ნაშრომი: „სიმართლე რუსთაველისა და თამარის შესახებ“. ეს ნაშრომი სხვა ხედვაა. წაიკითხეთ, ბევრ ახალს აღმოაჩენთ. ეს სამზადისია!... ასევე გირჩევთ, წაიკითხოთ ბატონ მერაბ ცინცაძის ნაშრომი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის რიცხვითი მეტყველება“. ეს ნაშრომიც სულიერი ხედვის ნიმუშია.

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

**რედაქტორი** ლეილა ცომაია

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55
ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli.webs.com***
ელ.ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo.com***